

სამეცნიერო ჟურნალი
LA REVUE SCIENTIFIQUE
THE SCIENTIFIC JOURNAL

სამართალი
და
ეკონომიკა

LE DROIT ET L'ECONOMIE
LAW AND ECONOMICS

ISSN 1987-8303

ჟურნალი რეგულირდება ტექნიკური „ქართულ რეგულაციულ
ჟურნალში“.

განთავსებულია ინტერნეტში www.tech.caucasus.net; www.tech.org.ge

03ლისი 2018

№9

საქართველო-GEORGIE-GEORGIA

თბილისი-TBILISSI-TBILISI

2018

სამართლებრივი განვითარების
ინსტიტუტი
L'INSTITUT DU DEVELOPPMENT DE DROIT
INSTITUTE OF LEGAL DEVELOPMENT

მთავარი რედაქტორი
Redacteur en chef
Editor in chief

ქართლოს შრიდონაშვილი
Kartlos Pridonachvili
Kartlos Pridonashvili

რედაქტორები

ნოდარ გრძელიშვილი
ვალერი მოდებაძე

Redacteurs

Nodar Grdzelichvili
Valeri Modebadze

Editors

Nodar Grdzelishvili
Valeri modebadze

მისამართი: 0160, ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზირი №16
Adress : Georgia, Vaja Pshavela ave. №16, თბილისი, 0101
Phone : (+995) 790 476075; მობ: (+995) 595 508599
E-mail: law.economics@yahoo.com

ს ა რ ჩ ე ვ ი

<i>ქართლოს ფრიდონაშვილი</i> - კონვერგენციის პროცესი თანამედროვე პოლიტიკურ-სამართლებრივ სისტემებში	4
<i>ვალერი მოდებაძე</i> - დემოგრაფიული აფეთქება და ეკოლოგიური კატასტროფა	20
<i>ნოდარ გრძელიშვილი</i> - უმუშევრობა და შრომის ბაზრის რეგულირება	27
<i>Kartlos Pridonashvili</i> - Processus de Convergence dans les Systèmes Politico – Juridiques Contemporains	35
<i>ანა მაზმიშვილი</i> - გასტროტურიზმის მნიშვნელობა რეგიონული ტურიზმის ბრენდინგში ...	49
<i>კესო სუმბაძე</i> - კომუნიკაციის როლი ორგანიზაციის მართვასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში	55
<i>გიორგი ლალუაშვილი, შორენა ხალვაში</i> - საერთაშორისო სტატისტიკის პრაქტიკაში გამოყენებული ეკონომიკური ზრდის ძირითადი მაჩვენებლები	61
<i>პაატა ლელაშვილი</i> - რისთვის შეიქმნა და რას წარმოადგენდა „ჩეკა“	68

კონვერგენციის პროცესი თანამედროვე პოლიტიკურ - სამართლებრივ სისტემებში

ქართლოს ფრიდონაშვილი

სოციალისტური - ბანაკის დაშლის შემდეგ სახელმწიფოები (გარდა რელიგიური ფუნდამენტალიზმის იდეოლოგიის ქვეყნებისა) აღმოჩნდნენ თითქმის იმანენტური შინაარსის მქონე პოლიტიკურ-სამართლებრივ პლატფორმაზე. ერთმნიშვნელოვნად იქნა აღიარებული კერძო საკუთრების უფლების ხელშეუხებლობა, უფლება ღირსებაზე და სიტყვის (გამოხატვის) თავისუფლება. ადამიანის ამ და სხვა ძირითადმა უფლებებმა უზრუნველყო თითქმის უნივერსალური პოლიტიკურ-სამართლებრივი, სოციალური და ეკონომიკური სისტემის შექმნა. სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს შესახებ კონცეფციები გარდაიქმნა თანამედროვე კონსტიტუციონალიზმისა და დემოკრატიის პრინციპებად.

სოციალური სახელმწიფოს კონცეფციას ვხვდებით სხვადასხვა ქვეყნის კონსტიტუციის ძირითადი უფლებების ნაწილში სადაც „... განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში ექცევა სოციალური სახელმწიფოებრიობის უმთავრესი ელემენტები: ადამიანის ღირსეული საარსებო მინიმუმი; თავისუფალი, კერძო სამეურნეო ინიციატივა; სოციალური თანასწორობა; სოციალური უზრუნველყოფა; კეთილდღეობის საერთო აღმავლობა... განათლება და სტიპენდიების პრობლემა, უმუშევრობის, პენსიებისა და დახმარებების საკითხი, მზრუნველობა ინვალიდებზე, ავადმყოფებზე, ბავშვებზე, სახელმწიფოს სამედიცინო მომსახურება; ბიუჯეტის წყაროებით უმუშევართა და მოხუცებულთა გარკვეული დახმარება და სოციალური კეთილდღეობის სხვა საკითხების მოგვარება“.¹

გიორგი გოგიაშვილი სამართლებრივ სახელმწიფოსთან დაკავშირებით წერს: „თანამედროვე გაგებით, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი არ დაიყვანება მხოლოდ სახელმწიფოებრივი ძალაუფლებისაგან ადამიანის დაცვაში, არამედ იგი ისახავს ორმაგ მიზანს: თანაბარი ზომით შეზღუდოს და უზრუნველყოს ადამიანის ღირსება და თავისუფლება, სამართლიანობა და სამართლებრივი დაცულობა, როგორც სახელმწიფო ხელისუფლებასთან ურთიერთობაში, ასევე ინდივიდებს შორისაც“.

სამართლებრივი სახელმწიფოს საგარანტიო კონკრეტული ნორმები, ფორმირებულია სხვადასხვა კონსტიტუციურ დონეზე. მისი თეორიული კონსტრუქცია ეყრდნობა ორ ძირითად საფუძველს: პიროვნების ღირსების სუბიექტურ-სამართლებრივ პრინციპს და ხელისუფლების ობიექტური-სამართლებრივ დანაწილებას, რომელიც აუცილებელია სამართლებრივი სახელმწიფოს კონსტიტუციისათვის. ორივე კომპონენტი უზრუნველყოფს სამართლებრივი სახელმწიფოებრიობის ორი მიმართულებით რეალიზაციას: ავალდებულებს სახელმწიფო ხელისუფლების თანაბარი ზომით პატივი სცეს და დაიცვას ადამიანის ღირსება და ამასთანავე განახორციელოს პრაქტიკული ზომები მისი დაცვისათვის, ხოლო ხელისუფლების დანაწილების პრინციპი ახდენს სახელმწიფო ორგანოთა კონსტიტუირებასა და ფუნქციების შეზღუდვას: ²

სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფციასთან დაკავშირებით ოთარ მელქაძე კი აღნიშნავს შემდეგს: „მსოფლიო გამოცდილება იმის დასტურია, რომ სამართლებრივი

¹ ოთარ მელქაძე, კონსტიტუციონალიზმი, თბილისი, 2008 წ. გვ. 88

² გიორგი გოგიაშვილი, შედარებითი კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2014 წ. გვ. 69

სახელმწიფოსა და დემოკრატიული საზოგადოების კონსტიტუცია საზოგადოებრივი ძალებისა და ინტერესების სოციალური ბალანსის სამართლებრივი გამოხატულებაა და არა საზოგადოების ერთი ნაწილის ნების რეალიზაციის იარაღი. მოცემული თვალსაზრისიდან გამომდინარე, სამართლებრივი სახელმწიფოს უმთავრესი ნიშანი ის არის, რომ იგი მოიაზრება როგორც სოციალური სამართლებრივი სახელმწიფო, ანუ სამართლებრივი სახელმწიფოს იდეის რეალიზაცია სოციალური სამართლიანობის მყარი საფუძვლითაა გარანტირებული. ადამიანის და მოქალაქის ყველა უფლება და თავისუფლება იურიდიულთან ერთად, სოციალური გარანტიითაც უნდა იყოს განმტკიცებული“.³

კონსტანტინე კუბლაშვილი ადამიანის უფლებას ღირსებაზე განიხილავს თვითმმართველობისა და დემოკრატიის, აგრეთვე სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს საფუძვლად: „თავისუფალი პიროვნება და მისი ღირსება არის საქართველოს კონსტიტუციის უზენაესი ღირებულება და უმნიშვნელოვანესი პრინციპი. კონსტიტუციით ადამიანი მიჩნეულია ინდივიდად, რომელსაც აქვს თავისი ცხოვრების დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით ჩამოაყალიბების შესაძლებლობა და უნარი. ამ უნარიდან გამომდინარე, ყველა უნდა იყოს უზრუნველყოფილი საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების შესაძლებლობით. საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალური სფეროებისათვის ეს ნიშნავს იმას, რომ ადამიანებმა შეძლებისდაგვარად ფართოდ უნდა მიიღონ მონაწილეობა სახელმწიფოს მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. სახელმწიფო ვალდებულია ადამიანს ამისათვის შეუქმნას შესაბამისი პირობები და მისცეს თავისუფალი ცხოვრებისა და საქმიანობის საშუალება. სწორედ აქ არის თვითმმართველობისა და დემოკრატიის ფესვები.

... ღირსების ძირითადი უფლება სახელმწიფოსაგან მოითხოვს ადამიანის ღირსეულად ცხოვრებისათვის აუცილებელი მინიმალური მატერიალური პირობების შექმნას. აქ იგულისხმება როგორც ქვეყნის საზოგადოებრივი, ისე სოციალური სისტემა“.

სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფცია ასახულია საქართველოს კონსტიტუციის მე-14 და მე-17 მუხლებში კონსტიტუციის მე-14 მუხლი ხაზს უსვამს ადამიანთა თავისუფლებას - „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია“. თავისუფლება და თანასწორობა დემოკრატიის ძირითადი პრინციპებია, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი ერთმანეთთან. თანასწორობის პრინციპის მიზანი გაჭირვებულთა და ღარიბთა, აგრეთვე სხვაგვარად დისკრიმინირებულთა სიტუაციის გაუმჯობესებაა და არა კარგად მცხოვრებთა უარეს მდგომარეობაში ჩაყენება - ასედაც ხომ შეიძლება თანასწორობის მიღწევა. სწორედ ამით უკავშირდება იგი თავისუფლების პრინციპს და დემოკრატიული სახელმწიფოს ლეგიტიმაციის საფუძველს - ღირსება - დაცული ადამიანი (იხ.მუხლი 17). თანასწორობისა და თავისუფლების ელემენტარული მოთხოვნა. სწორედ ადამიანთა ღირსეული ცხოვრება და მათი ღირსების დაცვაა. ღირსეული ცხოვრებისათვის კი აუცილებელია პირობების უზრუნველყოფა. **სიღარიბეში მცხოვრებ ადამიანთა არსებობა სახელმწიფოში თანასწორობისა და თავისუფლების არარსებობას ნიშნავს. სწორედ ამიტომ, სიღარიბის დაძლევა თანასწორობისა და თავისუფლების აუცილებელი წინაპირობაა, სიღარიბეში ცხოვრება კი თანასწორობის დარღვევას და თავისუფლების დაკარგვას ნიშნავს“**⁴

სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფცია ასახულია სხვადასხვა ქვეყნის კონსტიტუციაში. აშშ-ს კონსტიტუციის პრემბულის მიხედვით, შეერთებული

³ ოთარ მელქაძე, კონსტიტუციონალიზმი, თბილისი 2008 წ. გვ. 89

⁴ კონსტანტინე კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, თბილისი, 2003 წ. გვ. 322

შტატების ხალხი უფრო სრულყოფილი კავშირის შესაქმნელად სხვა სახელმწიფოებრივი ღირებულებების დამკვიდრებასთან ერთად ხელს უწყობს საყოველთაო კეთილდღეობას...

არგენტინის კონსტიტუციის პრეამბულაშიც განცხადებულია არგენტინელი ერის წარმომადგენლების სურვილი ხელი შეუწყონ საერთო კეთილდღეობას... საყოველთაო კეთილდღეობას, იგივე სოციალური სახელმწიფოს კონცეფცია არგენტინის კონსტიტუციის პრეამბულიდან ბლანკეტირებულია ამავე კონსტიტუციის 14¹ მუხლში: ... „სახელმწიფო აწესებს სოციალური უზრუნველყოფის შემწეობებს, რომლებიც ხელშეუვალ ხასიათს ატარებს და არ შეიძლება გადაცემულ იქნეს სხვისთვის. სახელდობრ, კანონები ადგენენ: სავალდებულო სოციალურ დაზღვევას, რომლებისთვისაც პასუხისმგებელი არიან ეკონომიკური და ფინანსური ავტონომიის მქონე ეროვნული და პროვინციების ერთეულები, რომლებიც სადაზღვევო შესატანების ოდენობის ნაწილობრივი შემცირების გარეშე დაინტერესებული მხარეების მიერ სახელმწიფოს მონაწილეობით იმართებიან; სამსახურიდან გასვლასთან დაკავშირებულ შემწეობებსა და პენსიებს; ოჯახისა და საცხოვრებელი ადგილის მიღების შესაძლებლობას“.

შვეიცარიის კონფედერაციის ფედერალური კონსტიტუციის პრეამბულაში წარმოდგენილია სოციალური (საყოველთაო კეთილდღეობის) და სამართლებრივი სახელმწიფოს შესახებ კონცეფციათა სანიმუშო სინთეზი: „ ჩვენ, შვეიცარიელი ხალხი და კანონები, გამსჭვალულნი ვართ რა ყოვლის შემოქმედის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით, ვისწრაფვით განვაახლოთ კონფედერაცია და მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან სოლიდარობითა და საჯაროობით განვამტკიცოთ თავისუფლება და მშვიდობა, ჩვენი ცხოვრების მრავალფეროვნებას განვსაზღვრავთ რა ურთიერთპატივისცემის ერთიანობით, შეგნებული გვაქვს ჩვენი საერთო მიღწევები და მომავალი თაობების წინაშე პასუხისმგებლობა, გვწამს რა, მხოლოდ ის არის თავისუფალი, ვინც თავისუფლებით სარგებლობს და რომ ხალხის სიძლიერე მის უსუსტეს წევრთა კეთილდღეობით განიზომება, ვამტკიცებთ წინამდებარე კონსტიტუციას“.

შვეიცარიელი ერი არ შემოიფარგლება სოციალური (საყოველთაო კეთილდღეობის) და სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფციის დეკლარაციული ასახვით პრეამბულაში და მას აკონკრეტებს ფედერალური კონსტიტუციის მეთერთმეტე და მეთორმეტე მუხლებში:

„მუხლი 11. ბავშვებისა და ახალგაზრდების დაცვა

1. ბავშვებსა და ახალგაზრდებს აქვთ ხელშეუხებლობის განსაკუთრებული დაცვისა და განვითარებისათვის ხელშეწყობის მოთხოვნის უფლება.
2. ისინი საკუთარ უფლებებს ახორციელებენ ქმედუნარიანობის ფარგლებში.

მუხლი 12. გასაჭირში მყოფთა დახმარების უფლება.

გასაჭირში მყოფ პირს, რომელსაც არ შეუძლია იზრუნოს საკუთარ თავზე, უფლება აქვს მოითხოვოს დახმარება და მომსახურება, ასევე მიიღოს ადამიანის ღირსეული არსებობისათვის აუცილებელი საშუალებები“.

სოციალური (საყოველთაო კეთილდღეობის) სახელმწიფოს კონცეფცია მოცემულია **დანისის 1953 წლის 5 ივნისის კონსტიტუციურ კანონში**:

„ §75 (1) საზოგადოებრივი კეთილდღეობის ხელშეწყობის მიზნით, სახელმწიფომ ყველა ღონეს უნდა მიმართოს, რათა თითოეულ შრომისუნარიან მოქალაქეს მიეცეს სამუშაო მისი არსებობის უზრუნველყოფილი პირობებში.

(2) ყოველ პირს, რომელსაც არ აქვს თავისი თავისა და მის კმაყოფაზე მყოფი პირების რჩენის უნარი, იმ პირობებში, როდესაც არც ერთი სხვა პირი პასუხს არ აგებს მის რჩენაზე,

აქვს სოციალური დახმარების უფლება, რომელსაც მიეცემა, თუ დაცულ იქნება ამ საკითხის შესახებ კანონით დადგენილი მოთხოვნები“.

იაპონიის 1946 წლის 6 ოქტომბრის კონსტიტუციის ზოგიერთ მუხლში იმპლიმენტირებულია სოციალური (საყოველთაო კეთილდღეობის) სახელმწიფოს შესახებ კონცეფცია, კერძოდ,

1) მუხლი 13

„ყოველი პირი დაფასებულ უნდა იქნეს როგორც პიროვნება. მისი სიცოცხლის, თავისუფლებისა და ბედნიერებისაკენ სწრაფვის უფლება, თუ ეს არ არღვევს საზოგადოებრივ კეთილდღეობას კანონმდებლობისა და სხვა სახელმწიფოებრივი საქმიანობის სფეროში, წარმოადგენს ზრუნვის უმაღლეს საგანს“...

... „მუხლი 25.

- 1) ყველას აქვს ჯანმრთელობისა და კულტურული ცხოვრების მინიმალურ დონეზე დაცვის უფლება.
- 2) სახელმწიფო ყველა ღონეს ხმარობს ცხოვრების ყველა სფეროში საზოგადოებრივი კეთილდღეობის, სოციალური უზრუნველყოფის, ხალხის სიჯანსაღის დონის ამაღლებისა და შემდგომი განვითარებისათვის.

მუხლი 26.

- 1) ყველას აქვს თავისი შესაძლებლობების შესაბამისად კანონით გათვალისწინებული წესით განათლების მიღების თანაბარი უფლება.
- 2) ყველა ვალდებულია კანონის შესაბამისად უზრუნველყოს მისი მზრუნველობის ქვეშ მყოფი ბავშვების სავალდებულო განათლება. სავალდებულო განათლება უფასოა.“

საფრანგეთის 1958 წლის კონსტიტუციის მეორე მუხლის თანახმად, „საფრანგეთი განუყოფელი, საერო, სოციალური და დემოკრატიული რესპუბლიკაა. იგი უზრუნველყოფს ყველა მოქალაქისათვის კანონის წინაშე თანასწორობას მიუხედავად მისი წარმოშობის, რასისა ან რელიგიისა. იგი პატივს სცემს ყველა სარწმუნოებას.

ეროვნული ემბლემაა სამფეროვანი დროშა - ლურჯი, თეთრი და წითელი.

ეროვნული ჰიმნია „მარსელიეზა“.

რესპუბლიკის დევიზია „თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა“.

მისი პრინციპია: ხალხის მმართველობა, ხალხის მიერ, ხალხისთვის“.

ამგვარად, საფრანგეთის 1958 წლის კონსტიტუციის მეორე მუხლი ერთმნიშვნელოვნად განამტკიცებს სოციალური სახელმწიფოს კონცეფციას კონსტიტუციურ რანგში და ამავდროულად აღიარებს კიდევ, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს ცნებათა განუყოფლობას, რადგანაც საფრანგეთის სოციალურ რესპუბლიკად გამოცხადებისთანავე ზემოაღნიშნული მუხლი ავალდებულებს საფრანგეთს უზრუნველყოს ყველა მოქალაქისათვის კანონის წინაშე თანასწორობა. საფრანგეთის სახელმწიფოს მმართველობის ფუნდამენტურ პრინციპში: „ხალხის მმართველობა, ხალხის მიერ, ხალხისთვის“. ლაკონურად რეალიზებულია სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორიები.

საფრანგეთის 1958 წლის კონსტიტუციამ პრეამბულაშივე, ქვეყნის ძირითადი კანონის შემადგენელ ნაწილებად სცნო ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა 1789 წლის დეკლარაცია და საფრანგეთის 1946 წლის კონსტიტუციის პრეამბულა, რომელშიც სოციალური სახელმწიფოს კონცეფცია საკმაოდ ვრცლად არის წარმოდგენილი. რა თქმა უნდა,

კონსტიტუციური ნორმებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკის გათვალისწინებით. კერძოდ, საფრანგეთის სახელმწიფო უზრუნველყოფს ყველა იმ აუცილებელ პირობას, რაც საჭიროა ჯანმრთელობის დაცვისათვის, მატერიალური უზრუნველყოფისა და მომუშავეთა დასვენებისათვის. სახელმწიფო ვალდებულია, შექმნას თანაბარი პირობები ბავშვებისა და მოზარდებისათვის განათლებისა და პროფესიის მისაღებად. ძირითადად კანონმა აგრეთვე უზრუნველყო კულტურის მიღწევებით თანაბარი სარგებლობის უფლებაც და სახელმწიფოს დაევალა ყველა საფეხურის უფასო საგანმანათლებლო დაწესებულების შექმნა და სასწავლო პროცესის ორგანიზება⁵.

საზოგადოებრივი ხელშეკრულებისა და სოციალურ-სამართლებრივი სახელმწიფოს შესახებ კონცეფციები აგრეთვე ასახულია **გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონში**, რაც გერმანიის კონსტიტუციის პირველივე მუხლში ვლინდება:

„მუხლი 1.

- (1) ადამიანის ღირსება ხელშეუხებელია. მისი პატივისცემა და დაცვა სახელმწიფო ხელისუფლების მოვალეობაა.
- (2) აღნიშნულის შესაბამისად, გერმანელი ხალხი ადამიანის ხელშეუხებელ და განუსხვისებელ უფლებებს აღიარებს, როგორც მსოფლიოში ყოველი საზოგადოების, მშვიდობისა და სამართლიანობის საფუძველს.
- (3) ქვემოთმოყვანილი ძირითადი უფლებები, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართალი, სავალდებულოა საკანონმდებლო, აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის და მართლმსაჯულებისათვის.

მუხლი 2.

- (1) ყოველ ადამიანს აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფლად განვითარების უფლება, რამდენადაც აღნიშნული არ ხელყოფს სხვათა უფლებებს და არ არღვევს კონსტიტუციურ წყობილებას ან ზნეობრივ ნორმებს.

მუხლი 3.

- (1) ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე.

მუხლი 6.

- (1) ქორწინება და ოჯახი იმყოფება სახელმწიფოს განსაკუთრებული დაცვის ქვეშ.
- (2) ბავშვებზე ზრუნვა და მათი აღზრდა წარმოადგენს მშობელთა ბუნებრივ უფლებას და მათ უპირატეს ვალდებულებას. აღნიშნული ვალდებულებების განხორციელებას მეთვალყურეობს სახელმწიფო...
- (3) ყოველ დედას აქვს უფლება, საზოგადოებისაგან მოითხოვოს დაცვა და მზრუნველობა.“

გერმანიის კონსტიტუციის მეშვიდე მუხლის მეოთხე ნაწილი სოციალური სახელმწიფოს კონცეფციას იმპერატიულად ამკვიდრებს:

... „ნებართვა უნდა გაიცეს, თუ კერძო სკოლები თავიანთი სასწავლო მიზნებითა და ორგანიზაციით, ასევე მათი მასწავლებლების კვალიფიკაციით არ ჩამოუვარდებიან სახელმწიფო სკოლებს და ხელს არ უწყობენ მოსწავლეების დიფერენცირებას მშობლების ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით. ნებართვა არ უნდა გაიცეს, თუ მასწავლებლების ეკონომიკური და სამართლებრივი მდგომარეობა სათანადო დონეზე არ არის უზრუნველყოფილი“.

⁵ ო. მელქაძე, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი, კრებული I, თბილისი 1999 წ. გვ. 312

სხვადასხვა მმართველობის მქონე სხვადასხვა ქვეყნის კონსტიტუციაში ერთი და იგივე პოლიტიკურ - სამართლებრივი მოძღვრების ასახვის კანონზომიერებას ჩვენ ვუკავშირებთ საწარმოო ძალებისა და მასთან ერთად ადამიანის ძირითადი უფლებების განვითარებას, რომლებმაც თავის მხრივ, გამოიწვია „საყოველთაო კეთილდღეობის კაპიტალიზმის (სახელმწიფოს) ან სხვანაირად რომ ვთქვათ „სოციალურ-სამართლებრივი დოქტრინის ჩამოყალიბება და როგორც იდეის გამარჯვება განვითარებულ და განვითარებად დემოკრატიულ პოლიტიკურ სისტემებში...

ადამიანის შემდეგი ოთხი ძირითადი უფლება: „საკუთრების უფლება, ღირსების უფლება, თანსწორობის უფლებები და სიტყვის თავისუფლება“ წარმოადგენს დემოკრატიულ სახელმწიფოებში მოქმედი ნებისმიერი პოლიტიკური იდეოლოგიების სამართლებრივ საფუძვლებს, რაც იწვევს მათ შინაარსობრივ მსგავსებას. რის შედეგადაც ვრწმუნდებით კონვერგენციის თეორიის არსობრივ ჭეშმარიტებაში, რომელიც გულისხმობს კაპიტალიზმისა და სოციალიზმის სინთეზს, რაც განპირობებულია სამეცნიერო-ტექნოლოგიური, საკომუნიკაციო საშუალებების განვითარებით, აგრეთვე ინდუსტრიალიზაციისა და ურბანიზაციის მაღალი დონით. კონვერგენციის თეორიის თანახმად, „საზოგადოებაში ხელმძღვანელობენ არც მშრომელები და არც მეწარმენი, არამედ - მენეჯერები - მმართველთა სოციალური ფენა, რომელიც შეიქმნა სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევებისა და მაღალტექნოლოგიური კომუნიკაციების განვითარების შედეგად. მსხვილ კორპორაციებში ხელისუფლება კაპიტალის მესაკუთრეებიდან გადადის ფუნქციურ მმართველობაზე. საშუალო ფენა იზრდება ღარიბი და მდიდარი ადამიანების შემცირების ხარჯზე“.⁶

ტრანსნაციონალური კომპანიების რაოდენობა და მათი გავლენის ზრდა მნიშვნელოვნად ზღუდავს სახელმწიფოს ძალაუფლებას. ძალთა დაბალანსებისა და თანაფარდობის პრინციპიდან გამომდინარე კი ადამიანის სოციალური უფლებები სახელმწიფოს მიერ გამოყენებული იქნება როგორც შემაკავებელი სამართლებრივი მექანიზმი, რომელიც ცალკეულ შემთხვევებში ინსტიტუირებულია მმართველობის სხვადასხვა სფეროში.

ჩვენი აზრით, კონვერგენციის პროცესი და სოციალური-სამართლებრივი სახელმწიფო თავისი თვითრეგულირებადი სამოქალაქო საზოგადოების თეორიის ასახვით სხვადასხვა ქვეყნის კონსტიტუციაში წარმოადგენს გლობალიზაციის შედეგს. საერთაშორისო ეკონომიკური, საფინანსო, საგანმანათლებლო და უსაფრთხოების სისტემა ხელს უწყობს ადამიანთა და ერების დაახლოებას, შრომის ერთიანი ბაზრის ჩამოყალიბებასა და ერთობლივ ზრუნვას საერთო სიძნელეების გადასალახავად, რაც საბოლოო ჯამში ამყარებს კავშირს უცხო კულტურათა შორის მათი საერთო ნიშნების საფუძველზე. შეიძლება ითქვას, რომ გლობალიზაციამ და კონვერგენციის პროცესმა პოლიტიკურ - სამართლებრივ და ეროვნულ იდეოლოგიურ დოქტრინებს რელევანტურობა დააკარგინა, როგორც შიდა სახელმწიფოებრივ, ასევე - საერთაშორისო დონეზე, რადგანაც სოციალური, ეკოლოგიური, ეკონომიური და სამხედრო-პოლიტიკური გამოწვევები იდენტურია სხვადასხვა დემოკრატიული ქვეყნისათვის.

იდეოლოგიის დასასრულის იდეა პოპულარული გახდა XX საუკუნის 50-60-იან წლებში. ამ პოზიციის მხარდამჭერი ყველაზე დიდი ზეგავლენის მქონე განაცხადი ეკუთვნის დანიელ ბელს. მისი აზრით, დასავლეთის პოლიტიკას ახასიათებდა ფართო თანხმობა ძირითად

⁶ ვ. მეტრეველი, გ.დავითაშვილი, პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია, (ლექციების კურსი) თბილისი 199წ. გვ.415

პოლიტიკურ პარტიებს შორის და იდეოლოგიური დაპირისპირებისა და დებატების არარსებობა... პარტიებს შორის ერთადერთი დავის საგანი იყოს ის, თუ რომელი მათგანი უფრო სანდო იყო ეკონომიკური ზრდისა და მატერიალური კეთილდღეობის მოსატანად. შედეგად, პოლიტიკა, ეკონომიკამ დაჯაბნა. პოლიტიკა დაყვანილი აღმოჩნდა ტექნიკურ საკითხამდე, თუ „როგორ“ მივალწით მატერიალურ კეთილდღეობას და ის უკვე აღარ ცდილობდა გადაეწყვიტა მორალური ან ფილოსოფიური საკითხები „კარგი საზოგადოების“ ბუნების თაობაზე. იდეოლოგია ყველა თვალსაზრისით არარელევანტური გახდა... ამასთან დაკავშირებით, ენდრიუ ჰეივუდი ამბობს, რომ „პროცესი რომელზეც ბელი ყურადღებას ამახვილებდა, იმდენად „იდეოლოგიის დასასრული“ არ იყო, რამდენადაც ძირითად პარტიებს შორის ფართო იდეოლოგიური კონსესუსის განვითარება და, შესაბამისად იდეოლოგიური კამათის შეწყვეტა. უშუალოდ ომის შემდგომ პერიოდში სამი ძირითადი დასავლური იდეოლოგიის - ლიბერალიზმის, სოციალიზმისა და კონსერვატიზმის წარმომადგენლებმა საერთო მიზნის - „მართული კაპიტალიზმის“ მიღწევა დაისახეს. თუმცა, ეს მიზანი თავისთავად იდეოლოგიური ხასიათის იყო, - ის ასახავდა მყარ რწმენას საზოგადოების ეკონომიკის, კერძო საკუთრებისა და მატერიალური დაინტერესების აუცილებლობის მიმართ, რომელთაც სოციალური დაცვა და ეკონომიკური ჩარევა გააწონასწორებდა. საბოლოო ჯამში „საყოველთაო კეთილდღეობის კაპიტალიზმის“ ან „სოციალური დემოკრატიის“ იდეოლოგიამ აჯობა კონკურენტებს.“⁷

კონვერგენციის პროცესისა და გლობალიზაციის შედეგად უნდა მივიჩნიოთ სხვადასხვა სახელმწიფო ფორმისა და სამართლის სისტემის მქონე ქვეყნების ძირითად კანონმდებლობაში სოციალურ, სამართლებრივი სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორიების ასახვა. აღნიშნული კონცეფციების პრინციპები და მათ საფუძველზე წარმოშობილი ადამიანის ძირითადი უფლებები უნივერსალურ ღირებულებებად ჩამოყალიბდა, როგორც დოქტრინალურ ისე ნორმატიულ წყაროებში ერთმნიშვნელოვნად იქნა აღიარებული თანასწორობის, სოციალური და ღირსების უფლების არა მხოლოდ მჭიდრო კავშირი, არამედ - ურთიერთგანპირობებულობაც.

კონვერგენციის უფრო ღრმა პროცესს აქვს ადგილი ხელისუფლების დაბალ რგოლებთან მიმართებაში. კერძოდ, თვითმმართველობის სისტემის განვითარება მხარდაჭერილია ადამიანის თვითმმართველობის ძირითადი უფლებითა და თავისუფალი თემის ბუნებრივი უფლებებით.ადგილობრივი თვითმმართველობის იდეის კონსტიტუციური მატერიალიზაცია, ანუ მისი ორგანიზაციული სამართლებრივი დაბადების პირველი აღიარება კონსტიტუციის დონეზე მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს გაფორმდა. კონსტიტუციურად, საფრანგეთის პირველი რესპუბლიკის 1791 წლის კონსტიტუციით იქნა აღიარებული ქვეყნის მოწყობის ადმინისტრაციულ - ტერიტორიული პრინციპი, ხოლო XIX საუკუნის მიჯნაზე განხორციელებული რეფორმით ჩამოყალიბდა ადგილობრივი მმართველობის ორგანოების სისტემა“⁸

ადგილობრივი თვითმმართველობის იდეა და კონცეფცია თვისობრივად და ფუნქციური თვალსაზრისით უმაღლეს ხარისხში აიყვანა ბელგიის 1831 წლის კონსტიტუციამ, რომელშიც ფაქტობრივად პირველად მოხდა ადგილობრივი თვითმმართველობის სახელმწიფო ხელისუფლების მნიშვნელოვან შტოდ აღიარება და გამოყოფა. ამასთან, უთუოდ

⁷ ენდრიუ ჰეივუდი, პოლიტიკური იდეოლოგიები, შესავალი კურსი, მე-3 გამოცემა, თბილისი 2005 წ. გვ. 369-370

⁸ ოთარ მელქაძე, ქართული მუნიციპალიზმი, თბილისი 2009 წ. გვ.9,10.

აღსანიშნავია, რომ ბელგიის კონსტიტუციამ სახელმწიფო მოწყობის სისტემის ხელისუფლების დანაწილების პრინციპი დაუდო საფუძვლად. ამ უნიტარულ სახელმწიფოში ხელისუფლების დანაწილება ვერტიკალში სახელმწიფო მართვის სამ - სახელმწიფო, პროვინციალურ და კომუნალურ დონეზე ხდებოდა“. ..., ხოლო მექსიკის შტატ იდალგოს კონსტიტუციაში მუნიციპალური ორგანოების სისტემა ხელისუფლების მეოთხე შტოდ არის აღირებული“⁹

ბელგიის 1831 წლის და მექსიკის შტატ იდალგოს კონსტიტუციებით თვითმმართველობის სისტემა სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების სისტემაში როგორც მეოთხე, საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებებისაგან დამოუკიდებლად აღმოცენებული ხელისუფლებად არის მიჩნეული, რომლის არსებობისა და ფუნქციონირების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენენ ხელისუფლების განაწილების და უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ხელისუფლების ვერტიკალური განაწილების (სახელმწიფო ხელისუფლების განაწილება ტერიტორიული მოწყობის მიხედვით), სუბსიდიარობის (სახელმწიფო უფლებამოსილების განხორციელება ხელისუფლების ორგანოს მიერ, რომელიც ყველაზე ახლოს არის მოქალაქეებთან) და დეცენტრალიზაციის (დეცენტრალიზაციის დროს უფლებამოსილება გადაეცემა ადგილობრივ ორგანოს, რომელიც გარკვეული ავტონომიის მქონე, სტრუქტურულად და ორგანიზაციულად დამოუკიდებელი საჯარო სამართლის პირია)¹⁰ უნივერსალური პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ასახულია ნებისმიერი დემოკრატიული სახელმწიფოს ძირითად კანონმდებლობაში.

ჩვენ ვიზიარებთ ბელგიისა და იდალგოს კონსტიტუციებში მოცემულ პოსტულატებს თვითმმართველობის ორგანოთა სისტემის მოაზრებას მეოთხე ხელისუფლებად, რადგანაც თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოები ყალიბდება უშუალოდ ამომრჩევლის მონაწილეობით და თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელიც ძალიან ხშირად, როგორც წესი აირჩევა უშუალოდ ადგილობრივი მოსახლეობის მიერ. ვერც არჩეულ მერს და ვერც არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოს წევრებს თანამდებობებიდან ვერ გადააყენებს ვერცერთი უმაღლესი სახელმწიფო - პოლიტიკური თანამდებობის პირი დემოკრატიულ რეჟიმებში.

არჩეული მერი და თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო ანგარიშვალდებულნი არიან საკუთარი ამომრჩევლის წინაშე, რაც მათი ძალაუფლების ავტონომიურებაზე მიუთითებს. თვითმმართველობის ორგანოები ეკონომიკური თვალსაზრისითაც არიან ავტონომიურნი, რადგანაც მათ გააჩნიათ ცენტრალური ბიუჯეტისგან დამოუკიდებელი ბიუჯეტი, რომელიც უპირველეს ყოვლისა იქმნება ადგილობრივი გადასახადებითა და მოსაკრებლებით.

თვითმმართველობის სამართლებრივი სტატუსის კონსტიტუციურ დონეზე დადგენა მიუთითებს მის ფუნქციურ მნიშვნელობაზე სახელმწიფო ხელისუფლების სისტემაში და მისი ავტონომიურობა კი შეიძლება განვიხილოთ, როგორც გამაწონასწორებელი ბერკეტი დანარჩენი ხელისუფლებებისათვის, ორი და მეტი დონის მქონე თვითმმართველობის ორგანოთა სისტემა ერთმნიშვნელოვნად ზღუდავს სახელმწიფო ხელისუფლებას, რითაც ხელს უწყობს ადამიანის ძირითადი უფლებების ეფექტურ დაცვას.

⁹ ოთარ მელქაძე, ქართული მუნიციპალიზმი, თბილისი 2009 წ. გვ. 38

¹⁰ დიმიტრი გეგენავას რედაქციით, საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მესამე გამოცემა, თბილისი 2015წ. გვ. 114

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან და შექმნილი, თანამედროვე რეალიებიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ სათანადო ავტონომიის მქონე მუნიციპალურ ორგანოთა სისტემა თავისი არსით არის მეოთხე, დამოუკიდებელი ხელისუფლება, რომელიც მიზნად ისახავს სახელმწიფო ხელისუფლების სამართლებრივ ბოჭვას.

ადამიანის თვითმმართველობის უფლება ეფუძნება ადამიანის ღირსების უფლებას და საქმიანობის საყოველთაო თავისუფლებას. გარდა ამისა, გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის პრეამბულის პირველივე სტრიქონებით ნათქვამია: „...ადამიანთა ოჯახის ყველა წევრისათვის თანდაყოლილი ღირსებისა და თანასწორი და განუყოფელი უფლებების აღიარება მსოფლიოში წარმოადგენს თავისუფლების, სამართლიანობის და საყოველთაო მშვიდობის საფუძველს“...¹¹ ე.ი. ადამიანის ღირსება რომლისგან დამოუკიდებლადაც ადამიანის თვითმმართველობის უფლების განხილვა წარმოუდგენელია, მიჩნეულია სამართლიანობისა და საყოველთაო მშვიდობის საფუძველად.

ადამიანის თვითმმართველობის უფლება პირდაპირ უკავშირდება და მისი რეალიზების საფუძველს წარმოადგენენ ადამიანის სამოქალაქო (პოლიტიკური) უფლებები და პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება. სწორედ ამიტომაც, ღირსებადაცული ადამიანი მიიჩნევა დემოკრატიული სახელმწიფოს ლეგიტიმაციის საფუძველად. (იხ. კონსტანტინე კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, თბილისი 2003 წ. გვ.322) სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფო წარმოუდგენელია თვითმმართველი ადამიანისა და თვითმმართველობის ორგანოთა სისტემის გარეშე! ხოლო, თვითმმართველი ადამიანების ერთობლიობა ქმნის თვითმმართველ საზოგადოებას, რომელსაც სამოქალაქო საზოგადოებას უწოდებენ. სამოქალაქო საზოგადოების კონცეფცია უნივერსალურია და ის ერთნაირად მისაღებია (ფორმალურად მაინც) ნებისმიერი სახელმწიფოსათვის, რომელსაც დემოკრატიულ მმართველობაზე პრეტენზია გააჩნია.

თვითმმართველობის უფლების ფუნდამენტურმა კავშირმა ადამიანის სხვა ბუნებით უფლებებთან განაპირობა მისი უნივერსალურობა და განსაზღვრა კიდევ, თვითმმართველობის სამართლებრივი სტატუსი კონსტიტუციურ რანგში, რადგანაც თვითმმართველობა ჩამოყალიბდა ადამიანის სხვა ძირითადი უფლებების რეალიზაციის საშუალებად. ამასთან ერთად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თვითმმართველობის სისტემა ადამიანისთვის იქცა სახელმწიფო ხელისუფლების სამართლებრივი შებოჭვის საშუალებად კონსტიტუციისა და ადამიანის ძირითად უფლებებთან ერთად. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა „...ფრანგული და ბელგიური სამართლის ბაზაზე გერმანელი მეცნიერების მიერ შემუშავებული თავისუფალი თემის თეორია, ანუ როგორც მას ხშირად უწოდებენ - თემის ბუნებითი უფლებების თეორიას. მოცემული თეორიის კონცეპტუალური საფუძველები იმ ვითარებამ განაპირობა, რომ XIX საუკუნის დასაწყისში თემის საქმეებსა და ქონებას სახელმწიფო მოხელეები განაგებდნენ. ამ ყველაფერმა თემური მეურნეობის სრული დაცემა გამოიწვია და აუცილებელი გახდა სამეურნეო საქმიანობაში ბიუროკრატიული ცენტრის ჩარევის შეზღუდვის თაობაზე ცხოვრებით ნაკარნახევი მოთხოვნის მეცნიერული დასაბუთება. სწორედ ამის შედეგია, რომ თავისუფალი თემის თეორიაში ჩამოყალიბებულ იქნა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევითობა თემის წევრთა მიერ; თემის გამგებლობას მიკუთვნებულ საქმეთა დაყოფა საკუთრივ საქმეებად; ადგილობრივი თვითმმართველობა საკუთრივ თემის საქმეების მართვას გულისხმობს და ეს საქმეები თავისი ბუნებით განსხვავებულია სახელმწიფო საქმეებისგან; ადგილობრივი

¹¹ <http://www.ungeorgia.ge>

თვითმმართველობის ორგანოები წარმოადგენენ თავად თემების ორგანოებს არა სახელმწიფო ორგანოებს; სახელმწიფო ორგანოებს უფლება არა აქვთ ჩაერიონ საკუთრივ თემების კომპეტენციაში, მხოლოდ ზედამხედველობენ მათ საქმიანობას, რათა იგი არ გასცდეს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებს¹².

წარმოდგენილი თავისუფალი თემის თეორიიდან გამომდინარე სახელმწიფოს არ აქვს უფლება თვითმმართველობის სისტემის ფუნქციონირება შეზღუდოს თემის ბუნებითი უფლებების ასპექტში. ჩვენი ღრმა რწმენით, ადამიანის ბუნებითი უფლებები წარმოადგენს თემის ბუნებითი უფლებების საფუძველს, ისინი ერთმანეთთან ძალიან მჭიდრო კავშირში იმყოფებიან და ისახავენ საერთო მიზანს, რასაც სახელმწიფო ხელისუფლების სამართლებრივი შეზღუდვა ჰქვია. თვითმმართველობა რომ ადამიანის ბუნებით უფლებას წარმოადგენს ეს არა მხოლოდ, თეორიული თვალსაზრისით არის დასაბუთებული, არამედ ამაზე მიუთითებს ამა თუ იმ ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობა. კერძოდ, დიდ ბრიტანეთში „...ადგილობრივ არჩევნებში აქტიური და პასიური საარჩევნო უფლებით სარგებლობენ ასევე ევროპის თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოების მოქალაქეები, დიდი ბრიტანეთის მოქალაქეებთან სრულ თანაბარ პირობებში“¹³

მოქალაქეობის ინსტიტუტი და ზოგადად, პოლიტიკური პროცესი თანდათანობით ემიჯნება თვითმმართველობის ფუნქციონირებას, რაც განპირობებულია მუნიციპალიზმში ახალი ტენდენციების განვითარებით. მხედველობაში გვაქვს ტერიტორიული კოლექტივის ჩანაცვლება მომხმარებელთა კოლექტივით. „უკანასკნელ ხანებში სკანდინავიურ ქვეყნებში მუნიციპალიზმის წარმატებულმა განვითარებამ მთელ რიგ ექსპერიმენტებს დაუდო საფუძველი. საკმაოდ პოპულარული გახდა, ე.წ. „თავისუფალი კომუნების“ ფორმირების ცდები, რომლის ძირითად არსს ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მიერ, მუნიციპალური მართვის ორგანიზაციის სრულყოფის ექსპერიმენტირება წარმოადგენდა. მოწონების შემთხვევაში, ექსპერიმენტული პროექტის რეალიზაცია სახელმწიფო სუბსიდიებით ფინანსდებოდა, შედეგად მომზადდა ახალი კანონმდებლობა, გაიზარდა თვითმმართველი ერთეულობის ავტონომიურობის ხარისხი და მუნიციპალიტეტები უფრო დაუახლოვდა ადგილობრივ მოსახლეობას. მსგავსი ექსპერიმენტების იურიდიულმა გაფორმებამ განაპირობა ტერიტორიული კოლექტივის მომხმარებელთა კოლექტივით შენაცვლება დანიასა და შვედეთში. დადგინდა, რომ მოსახლეობა არის მომხმარებელთა კოლექტივი, რომლის ურთიერთობა მუნიციპალური მართვის ორგანოებთან მომსახურების მიწოდებისა და მოხმარების სფეროებით შემოიფარგლება. ადგილობრივი მოსახლეობა ამ დროს გვევლინება არა ხელისუფლების წყაროდ, არამედ მუნიციპალური სერვისის მომხმარებლად, ხოლო თვითმმართველობის ორგანოები კარგავენ პოლიტიკურ - სახელისუფლებო დანიშნულებას და მოსახლეობასთან ურთიერთობებში გამოდიან მომსახურების ორგანიზატორად, კოორდინატორებად ან მიმწოდებლებად“¹⁴.

ჩვენ ვიზიარებთ ზემოაღნიშნულ მოსაზრებას, რომ ხალხი ხელისუფლების წყაროდან იქცა ხელისუფლების მომხმარებლად და რატომ?! ადამიანი არათუ შეიძლება არ მივიდეს კენჭისყრის დღეს საარჩევნო უბანზე, არამედ არც ინტერესდებოდეს საკუთარ ქვეყანაში პოლიტიკური პროცესებით, მაგრამ ეს ადამიანი იხდის გადასახადებს, საჯარო მოხელეები

¹² ო. მელქაძე, ზ. ეზუგბაია, მუნიციპალური სამართალი, თბილისი 2002 წ. გვ. 42

¹³ ო. მელქაძე, საზრვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი, კრებული I, თბილისი 1999წ. გვ 103

¹⁴ ო.მელქაძე, ზ.ეზუგბაია, მუნიციპალური სამართალი, თბილისი 2002წ. გვ. 161

გადახდილი გადასახადებიდან იღებენ გასამრჯელოს და ამ პოლიტიკურად ინდიფერენტულ ადამიანს წარმოეშობა უფლება მიიღოს სახელმწიფო თუ მუნიციპალური სერვისები, მიუხედავად იმისა, მან განახორციელა თუ არა საკუთარი აქტიური ან პასიური საარჩევნო უფლებები, ასეთი ადამიანი ლოგიკურად ვერ ჩაითვლება ხელისუფლების წყაროდ, მაგრამ უდავოდ არის ხელისუფლების მომხმარებელი.

თვითმმართველობის სისტემის პოლიტიკური ელემენტებისაგან გამიჯვნის ტენდენცია იკვეთება ამერიკის შეერთებულ შტატებშიც. მხედველობაში გვაქვს თვითმმართველობის მენეჯერი - საბჭოს სისტემა, რომელიც „გამოიყენება იმ ქალაქებში, სადაც მოსახლეობა 25 – 30 ათასამდეა. შეერთებული შტატების ნახევარზე მეტ ქალაქებში სწორედ ასეთი სისტემა გამოიყენება. პირველად იგი გამოყენებულ იქნა 1908 წელს ვირჯინიის შტატის ქალაქ სტინტონში, როდესაც შემოდებულ იქნა გენერალური მენეჯერის თანამდებობა. ამის მიზეზი იყო საქალაქო პრობლემათა მზარდი სირთულე, რაც მართვის მეცნიერების ცოდნას და განსაკუთრებულ უნარს მოითხოვდა, რომელიც არჩეულ პირებს ხშირად არ გააჩნიათ. ამის შედეგად, აღმასრულებელი ძალაუფლების დიდი წილი, კანონთა აღსრულებისა და სამსახურთა უზრუნველყოფის ჩათვლით გადაეცა მაღალკვალიფიციურ და გამოცდილ ქალაქის მენეჯერს. მოსახლეობა ირჩევს საქალაქო საბჭოს, რომლის სხდომებს ხელმძღვანელობს მერი, რომელიც თავად საქალაქო საბჭოს მიერ არის არჩეული და იგი გვევლინება აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლად. საბჭო იღებს დადგენილებებს და შეიმუშავებს პოლიტიკას. მენეჯერს ირჩევს საბჭო, რომელსაც ანდობს აღმასრულებელ ხელისუფლებას. მენეჯერი დაქირავებული პირის როლში გამოდის. იგი განსაზღვრავს საბჭოს საქმიანობას, ადგენს ქალაქის ბიუჯეტს, ნიშნავს თანამდებობის პირებს და ხელმძღვანელობს მათ საქმიანობას, პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე და ნებისმიერ დროს შეიძლება იქნეს თანამდებობიდან გადაყენებული. მენეჯერი ირჩევა უვადოდ, სანამ მისი მუშაობა აკმაყოფილებს საბჭოს ინტერესებს“.¹⁵

ამგვარად, თანამედროვე დემოკრატიებში თვითმმართველობის შესახებ ცნებათა და კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსების იდენტურობა, თვითმმართველობის მაღალი ავტონომიურობა, ამასთან თვითმმართველობის პოლიტიკური იდეოლოგიისგან თანდათანობითი განთავისუფლება, თვითმმართველობის როგორც ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლების გააზრება თეორიულ და საკანონმდებლო დონეზე (ბრიტანეთში თვითმმართველობის ორგანოს ჩამოყალიბებისათვის ბრიტანეთის მოქალაქეობის არმქონე პირების პასიური და აქტიური საარჩევნო უფლებით აღჭურვა), თავისუფალი თემის კონცეფცია, რასაც თანამედროვე მუნიციპალიზმი ეფუძნება და ხალხის არა თუ, როგორც ხელისუფლების წყაროდ განხილვა, არამედ - ხელისუფლების მომხმარებლად დანიის, შვედეთის და აშშ-ს თვითმმართველობის სისტემებში, აგრეთვე თვითმმართველობის მმართველი სტრუქტურების დაკომპლექტება არაპარტიული ნიშნით და კომპეტენტური, მენეჯერული თვისებების მქონე ადამიანებით (საბჭო-მენეჯერის სისტემა) მიუთითებს კონვერგენციის თეორიის არსობრივ ჭეშმარიტებაზე და პრაგმატულ რეალიზმზე თანამედროვე, დემოკრატიულ საზოგადოებრივ წეს-წყობილებებსა და სამართლებრივ სისტემებში. აქვე ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ კონვერგენციის პროცესმა მოიცვა არა მხოლოდ ადამიანის ძირითადი უფლებები და პოლიტიკურ-სამართლებრივი იდეოლოგიები, არამედ - ქვეყნის სახელმწიფოებრივი მოწყობის საფუძვლებიც, რადგანაც

¹⁵ ო. მელქაძე, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი, კრებული I, თბილისი 1999წ. გვ. 46

თანამედროვე უნიტარულ და ფედერალურ სისტემას ბევრი საერთო ნიშან-თვისება გააჩნია, რადგანაც განვითარებული თვითმმართველობა და ზოგადად, ხელისუფლების განაწილება ვერტიკალზე სუბსიდიარობის პრინციპზე დაყრდნობით, უზრუნველყოფს ცენტრალიზებული უნიტარული სისტემის მოდიფიცირებას და სამართლებრივი თვალსაზრისით, მის მსგავსებას ფედერალურ სისტემასთან.

სახელმწიფოთა კლასიფიკაციაც მმართველობის ფორმათა მიხედვით, თანამედროვე კონსტიტუციონალიზმში უაღრესად პირობითია, რადგანაც არსებითი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო ხელისუფლების განაწილების, ურთიერთშეკავებისა და გაწონასწორების, ხელისუფლების მონაცვლეობისა და უწყვეტობის პრინციპების რეალურ და ეფექტურ მოქმედებას პოლიტიკურ-სამართლებრივ სისტემაში.

სხვადასხვა ქვეყნის კონსტიტუციებიდან ამონარიდებმა და განხილულმა თეორიებმა დაგვარწმუნეს, რომ თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუცია და პოლიტიკურ-სამართლებრივი იდეოლოგია გვერდს ვერ უვლის სოციალურ-სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფციას, ადამიანის ძირითად უფლებებს, რომლებიც თვითონ იქცნენ პოლიტიკურ იდეოლოგიად და მასთან კონკურენციას ვერცერთი პოლიტიკური იდეოლოგია ვერ უძლებს და კარგავს თავის რელევანტურობას თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად. კონვერგენციის პროცესი ასახულია თვით, კონსტიტუციურ ნორმებში, რომლებიც თავისთავად დასაბამს აძლევენ ყველა დემოკრატიული ქვეყნისათვის მეტ-ნაკლებად საერთო პოლიტიკური რეჟიმისა და სოციალური-ეკონომიკური წყობის ფორმირებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ და მკითხველს შევთავაზოთ განსჯისათვის შემდეგი თეზისები:

-ხალხი აღარ იქნება ხელისუფლების წყარო, ხალხი არის უკვე, ან გახდება ხელისუფლების მომხმარებელი. ხალხი კარგავს პოლიტიკური ფენომენის მნიშვნელობას ეკონომიკური ფენომენის სასარგებლოდ;

-შესუსტდება ეროვნული ლიდერებისა და ეროვნული იდეოლოგიების როლი და მნიშვნელობა სახელმწიფოს პოლიტიკური იდეოლოგიის პლატფორმის ფორმირებაში;

-ტრანსნაციონალური კომპანიების რაოდენობა და მათი გავლენის ზრდა მნიშვნელოვნად შეზღუდავს სახელმწიფო ხელისუფლებას. ძალთა დაბალანსებისა და თანაფარდობის პრინციპიდან გამომდინარე, ადამიანის სოციალური უფლებები სახელმწიფო ხელისუფლების მიერ ძალაუფლების შესანარჩუნებლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც შემაკავებელი საშუალება.

-მეოთხე ხელისუფლებად ჩამოყალიბებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები საკუთარი ძალაუფლების შესანარჩუნებლად ყველაფერს გააკეთებენ ინტელექტუალების მოსაზიდად და მაღალი ტექნოლოგიების გასავითარებლად, რომლებიც გააწონასწორებენ ცენტრალურ ხელისუფლებასა და მმართველობის უმაღლეს რგოლებში ინტელექტუალთა და პროფესიონალ მენეჯერთა ჯგუფებს;

- ხელისუფლებაში მოსვლის მიზნით, ადამიანთა გაერთიანებების ჩამოყალიბება მოხდება არა კლასიკური პოლიტიკური იდეოლოგიებისა და იდეების საფუძველზე, არამედ - ტექნოლოგიური და სამეცნიერო-ნოვატორული იდეების გარშემო;

- დიდი ოდენობით შეიქმნება ინტელექტუალთა და მკვლევართა მცირერიცხოვანი, ეკონომიკურ მოგებაზე და ხელისუფლებაში მოსვლაზე ორიენტირებული დამოუკიდებელი სამეცნიერო გაერთიანებები;

- ტექნოლოგიური განვითარების პროცესი რა თქმა უნდა, შეამცირებს სამუშაო ადგილებს, მაგრამ მოსალოდნელი უმუშევართა დიდი რაოდენობა იქნება ინფორმირებული და სოციალურ-პოლიტიკურად აქტიური ინტერნეტისა და სოციალური ქსელების მეშვეობით, რაც მათ საშუალებას მისცემთ იყვნენ კომპეტენტური კრიტიკოსები მმართველი გუნდის მიმართ და სახელისუფლებო ორგანოების გაწონასწორებაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებენ.

- ადამიანის ძირითადი უფლებების, კერძოდ, აზრის თავისუფლებისა და გამოხატვის თავისუფლების გარეშე ინტერნეტი, სოციალური ქსელები და ვერცერთი ელექტრონული ინფორმაციის წყარო ვერ იფუნქციონირებს. შესაბამისად, ამ თვალსაზრისით, ტექნოლოგიური პროგრესი ადამიანის ძირითადი უფლებების რეალიზებას ხელს ვერ შეუშლის. აქვე ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ძირითადი უფლებების მიზანს წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლების შეზღუდვა და მათი დაცვა და განმტკიცება კი, მხოლოდ აღნიშნული მიზნის მიღწევის საშუალებაა.

- ძირითად უფლებებთან ერთად, ინტერნეტისა და სოციალური ქსელების მეშვეობით, ცალკეულ ადამიანს გაუფართოვდება შესაძლებლობა საკუთარი სურვილის, ცოდნისა და უნარების მიხედვით, დიდი გავლენა მოახდინოს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე და ეფექტურად გააწონასწოროს და შეაკავოს ადგილობრივი (მუნიციპალური) ან ცენტრალური ხელისუფლებაც კი.

ამდენად, ჩვენ ვფიქრობთ, რომ კონვერგენციის პროცესის როგორც მოცემულობის მიღება და მისი გააზრება ქვეყნის საკანონმდებლო და მმართველობის ყველა დონეზე, ხელს შეუწყობს ქვეყნის პოლიტიკურ-სამართლებრივი ღირებულებითი სისტემის შესაბამისობაში მოყვანას არსებულ რეალიებთან და გარდამავალი პერიოდის სწრაფად დაძლევას. ამისათვის ვფიქრობთ, მმართველობა უნდა განთავისუფლდეს ზედმეტი პოლიტიკური იდეოლოგიზაციისაგან, აწარმოოს სწორი საგანმანათლებლო და სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა მწვავე მორალური და ღირებულებითი კრიზისის თავიდან აცილების მიზნით გარდამავალ პერიოდში. სახელმწიფოს მიერ სამეცნიერო - ტექნიკური პროგრესის მძლავრი მხარდაჭერით ხელი უნდა შეეწყოს მენეჯერთა როგორც მმართველთა, საშუალო სოციალური ფენის ფორმირებას, რაც ქვეყანას საშუალებას მისცემს საზოგადოებისათვის უმტკივნეულოდ და სწრაფად გაიაროს მოძველებული ღირებულებითი სისტემიდან ახალ ღირებულებით სისტემაზე გადასვლის გარდამავალი პერიოდი. რის შემდეგაც, ლოგიკურად, ჩვენ მივიღებთ მაღალგანვითარებულ, თვითრეგულირებად სამოქალაქო საზოგადოებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია;
2. მელქაძე ოთარ, კონსტიტუციონალიზმი, თბილისი 2008 წ.
3. გოგიაშვილი გიორგი, შედარებითი კონსტიტუციური სამართალი, თბილისი 2014 წ.
4. კუბლაშვილი კონსტანტინე, ძირითადი უფლებები, თბილისი, 2003 წ.
5. მელქაძე ოთარ, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი, კრებული I, თბილისი 1999 წ.
6. ფრიდონაშვილი ქართლოს, აშშ-სა და საფრანგეთის სახელმწიფო ფორმათა შედარებითი დახასიათება, ჟურნალი „სამართალი და ეკონომიკა“. №4, 2013 წ.
7. მეტრეველი ვალერიან, დავითაშვილი გიორგი, პოლიტიკურ და სამართლებრივი მოძღვრებათა ისტორია, თბილისი, 1999 წ.
8. ჰეივუდი ენდრიუ, პოლიტიკური იდეოლოგიები, შესავალი კურსი, მე-3 გამოცემა, თბილისი, 2005 წ.
9. საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, შემდგენელთა ჯგუფის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი რედაქტორი, ვასილ გონაშვილი, ნაწილი I, თბილისი, 2008 წ.
10. საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, შემდგენელთა ჯგუფის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი რედაქტორი, ვასილ გონაშვილი, ნაწილი II, თბილისი, 2008 წ.
11. ლოვო ფილიპ, თანამედროვე დიდი დემოკრატიები, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პოლიტოლოგიის ინსტიტუტი, 2002წ.
12. შაიო ანდრაშ, ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, თბილისი 2003წ.
13. თომას მ. მაგშტადტი, გავიგოთ პოლიტიკა, იდეები ინსტიტუტები და პრობლემები, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2010წ.
14. Jean GICQUEZ ; Jean – Eric GICQUEZ, Droit Constitutionnel et Institutions Politiques, 29-e édition ; LGDJ, Lexteso éditions, 2015 an .
15. Crouzatier – Durand Florence ; fiches de liberté publiques et droit fondamentaux . Ellipses édition marketing S.A. 2017 an.

რ ე ზ ი უ მ ე

წარმოდგენილ პუბლიკაციაში ავტორი გამოთქვამს მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც, საკუთრების უფლება, ღირსების უფლება, თანასწორობის უფლებები და სიტყვის თავისუფლება სოციალურ-სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფციასთან ერთად გახდნენ ნებისმიერი კლასიკური პოლიტიკური იდეოლოგიის საფუძვლები და მათ პირველადი რელევანტურობა დააკარგინა თანამედროვე პოლიტიკურ პროცესში.

პუბლიკაციაში აგრეთვე, მოცემულია მსჯელობა თვითმმართველობის კონსტიტუციურ სტატუსთან დაკავშირებით, სხვადასხვა ქვეყნის მაგალითებზე დაყრდნობით და ჩამოყალიბებულია მოსაზრება, რომ განვითარებული თვითმმართველობა იქცა მეოთხე ხელისუფლებად და ხალხი ხელისუფლების წყაროს ნაცვლად, განიხილება ხელისუფლების მომხმარებლად და რომ, ხალხი თანდათანობით კარგავს პოლიტიკური ფენომენის მნიშვნელობას ეკონომიკური ფენომენის სასარგებლოდ.

ყოველივე ზემოაღნიშნულს ავტორი უკავშირებს კონვერგენციის თეორიას და მიიჩნევს, რომ კონვერგენციის პროცესმა მოიცვა არა მხოლოდ ღირებულებითი სისტემები, არამედ - ქვეყნების ტერიტორიული მოწყობისა და მმართველობის ფორმებიც.

პუბლიკაციის დასასრულს, ავტორი ცდილობს წარმოადგინოს კონვერგენციის პროცესის მოსალოდნელი შედეგები და მასთან დაკავშირებული პრობლემატიკის რეგულირებისა და გადაწყვეტის გზებიც დასახოს.

Processus de Convergence dans les Systèmes Politico – Juridiques Contemporains

Résumé

Kartlos Pridonashvili

L'auteur exprime l'opinion dans la publication présentée, que le droit de propriété, le droit de la dignité et la liberté d'expression, avec le concept de l'Etat socio-judicaire ont devenu les bases de toute idéologie politique classique. En fin de compte, on peut dire, que ces idéologies politiques classiques ont perdu leur pertinence dans le processus politique moderne.

La publication fournit également une discussion sur le statut constitutionnel du municipalisme, basée sur les exemples de différents pays où l'idée est la transformation du système municipal en quatrième pouvoir et, aussi le peuple devient consommateur du pouvoir à la place de source du pouvoir. Le peuple perd consécutivement le sens du phénomène politique contre le sens du phénomène économique.

Tout ce qui est mentionné ci-dessus, de l'avis de l'auteur, est lié à la théorie de la convergence. L'auteur estime que le processus de convergence a inclus non seulement des systèmes des valeurs politiques et sociales, mais aussi – les formes juridiques de l'Etat et les régimes politiques d'Etat.

A la fin de la publication, l'auteur cherche à présenter les résultats attenus de la convergence et les moyens de réguler et de résoudre les problèmes qui y sont liés.

**Process of convergence in political and Legal Systems Contemporary
Summary**

Kartlos Pridonashvili

In the publication the author expresses the opinion that the right of property, the right of dignity and freedom of expression, also the concept of the socio-judicial government have become the basis of any classical political ideology. In the end, it can be said that these classic political ideologies have lost their relevance in the modern political process.

The publication also provides a discussion on the constitutional status of municipalism, based on examples from different countries and suggests the idea about transformation of the municipal system into a fourth power and as a result people become the consumers of power instead of the source of power. People are losing the meaning of political phenomenon and are transferring into economic phenomenon.

According to the author all the above mentioned arguments are related to the theory of convergence and the process of convergence has influenced not only systems of values, but also - the administrative- territorial system of the state and forms of government.

At the end of the publication, the author seeks to present the expecting results of convergence and find the ways of regulating and solving problems concerning this issue.


დემოგრაფიული აფეთქება და ეკოლოგიური კატასტროფა

ვალერი მოდებაძე

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

კაცობრიობამ დედამიწის თითქმის ყველა რეგიონის კოლონიზაცია მოახდინა. გაეროს მონაცემების თანახმად, ამჟამად 7 მილიარდი ადამიანი ცხოვრობს დედამიწაზე. ადამიანების ამ უზარმაზარ მასას აქვს უსასრულო მოთხოვნილებები და რაც უფრო იზრდება მოსახლეობის რაოდენობა, მით უფრო რთული იქნება მომავალში მათი მოთხოვნების დაკმაყოფილება. როგორც უკვე აღინიშნა, ხალხის სურვილები და საჭიროებები უსასრულოა, მაგრამ სამყაროში არსებული რესურსები შეზღუდულია. დედამიწაზე დღესდღეობით მცხოვრები 7 მილიარდი ადამიანი რესურსების დიდ რაოდენობას ხარჯავს და ასევე უამრავი ნარჩენით აბინძურებს გარემოს.

მსოფლიო მოსახლეობის ზრდა მომავალშიც გაგრძელდება. სტატისტიკური მონაცემების თანახმად, მსოფლიო მოსახლეობა 2030 წელს 8.4 მილიარდს მიაღწევს, ხოლო 2050 წელს მოსახლეობის საერთო რაოდენობა 9.6 მილიარდი იქნება. ინდუსტრიალიზაციის ეპოქამდე მოსახლეობა ძალიან ნელი ტემპით იზრდებოდა. კლიმატური ცვლილებები, დაავადებები და სხვა სოციალური ფაქტორები აფერხებდა მოსახლეობის სწრაფ ზრდას. მე-18 საუკუნის ბოლოს დაწყებულმა ინდუსტრიალიზაციის პროცესმა მნიშვნელოვნად დააჩქარა მოსახლეობის ზრდა [1].



ცხოვრების დონის ამაღლებამ მსოფლიოს მოსახლეობის სწრაფი ზრდა გამოიწვია. კვების, მედიცინისა და ტექნოლოგიების გაუმჯობესების შედეგად ბოლო 100 წლის განმავლობაში დედამიწის მოსახლეობა ოთხჯერ გაიზარდა. მოსახლეობის ამ ფენომენალური ზრდის შედეგად ისეთი რესურსების მოხმარება, როგორცაა მიწა, საკვები, წყალი, ჰაერი, წიაღისეული, საწვავი და მინერალები სწრაფად გაიზარდა. როგორც უკვე აღინიშნა, უფრო მეტი მოხმარება ნიშნავს უფრო მეტ ნარჩენს, წყლის

დამაბინძურებლებს, ტოქსიკურ მასალასა და სათბურის გაზებს. უკონტროლო მოსახლეობის ზრდამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალში გარემოს დეგრადაცია და ეკოლოგიური კატასტროფები.

მოსახლეობის ზრდის ტემპის დაჩქარებამ უკვე გამოიწვია ისეთი გარემოსდაცვითი პრობლემების წარმოქმნა, როგორცაა ნახშირორჟანგის კონცენტრაციის მკვეთრი ზრდა ატმოსფეროში, გლობალური დათბობა და გარემოს დაბინძურება. როგორც სტატისტიკური მონაცემები აჩვენებს, მსოფლიო მოსახლეობის ზრდას თან ახლავს ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესება. დედამიწის მოსახლეობის მკვეთრმა ზრდამ, რომელიც დაიწყო XVIII საუკუნეში, შეიძლება მომავალში გამოიწვიოს დემოგრაფიული აფეთქება. დემოგრაფიული აფეთქების გამო გაჩნდა შიში, რომ ჩვენი პლანეტა ვერ შეძლებს ჭარბი მოსახლეობის შენარჩუნებასა და გამოკვებას. ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ მსოფლიო მოსახლეობის მკვეთრი ზრდის გამო კაცობრიობა მომავალში ისეთ სოციალურ, ეკონომიკურსა და ეკოლოგიურ ისეთ პრობლემებს წააწყდება, როგორცაა საცხოვრებელი პირობების გაუარესება, შიმშილი, ჰაერისა და წყლის დაბინძურება.

დღესდღეობით ძალიან რთულია გარემოს დაცვისათვის ბრძოლა და „მწვანე პოლიტიკის“ გატარება, რადგან ყოველივე ეს ინდუსტრიის განვითარებას ეწინააღმდეგება. ძირითადი საჭიროებებისა და მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად კაცობრიობა მუდმივად ზრდის წარმოებას. სწრაფი ინდუსტრიული ზრდის გამო ბევრი ეკოლოგიური პრობლემა წარმოიშვა. მრეწველობის ზრდას თან მოაქვს ჰაერის დაბინძურება, მჟავე წვიმები, მდინარეების, ზღვებისა და ტბების დაბინძურება, რადიაცია, გლობალური დათბობა... ინდუსტრიული საზოგადოება საფრთხეს უქმნის როგორც კაცობრიობის არსებობას, ასევე კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ჩვენს პლანეტაზე სიცოცხლის შენარჩუნებას. კაცობრიობას ამჟამად ეკოლოგიური კატასტროფა ემუქრება, ვინაიდან მოხმარების დონის სწრაფმა ზრდამ გამოიწვია გარემოს მდგომარეობის გაუარესება და დეგრადაცია. დედამიწის ეკოლოგიური მდგომარეობა სწრაფად უარესდება, რაც ადამიანის ქმედებებით არის გამოწვეული. ყოველდღიურად ხდება გიგანტური რაოდენობის CO₂-ის ემისია, რაც გლობალურ დათბობასა და გარემოს დეგრადაციას იწვევს. გლობალური დათბობის შედეგები და ტემპერატურის მომატება დედამიწის ჩრდილოეთსა და სამხრეთ პოლუსებზე უფრო თვალსაჩინო და შესამჩნევია. გლობალური დათბობის გამო მყინვარების დნობა გარდაუვალია, რაც სტიქიურ უბედურებებს გამოიწვევს და დიდ ზიანს მიაყენებს მსოფლიოს მოსახლეობას. [2]

ოზონის ფენის განადგურება ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული პრობლემაა, რომელიც კაცობრიობის წინაშე დგას. ოზონის ფენა მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს, რადგან ის მზის რადიაციისგან იცავს დედამიწას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის ჩვენ გვიცავს მზის მავნე ულტრაიისფერი გამოსხივებისგან. ოზონის ფენას განადგურების საფრთხე ემუქრება, რადგან ბევრი ისეთი ნივთიერება გამოიყენება, რომელიც ზიანს აყენებს მას. სხვადასხვა სამეცნიერო ექსპერიმენტებმა დაამტკიცა, რომ ქიმიური მრეწველობის მიერ წარმოებული პროდუქცია აზიანებს ოზონის ფენას [3]. ქლორფტორნახშირბადების (ქფნ) მწარმოებელი ქვეყნების სიაში წამყვან ადგილებს იკავებენ ევროპული ქვეყნები. ქლორფტორნახშირბადები ოზონდამშლელი ნივთიერებაა, რომელიც ოზონის შრის განადგურების ერთ-ერთი მთავარი გამომწვევი მიზეზია. ფაქტობრივად, არაფერი არ გაკეთებულა ოზონის ფენის დასაცავად, ვინაიდან ქლორფტორნახშირბადების (CFC) წარმოება ბოლო 60 წლის განმავლობაში შემცირების ნაცვლად მნიშვნელოვნად

გაიზარდა. ოზონის შრის არსებობა დედამიწაზე სიცოცხლის შენარჩუნებისთვის აუცილებელია. აქედან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს ოზონის ფენის დაცვა. ამ მიზნის მისაღწევად უნდა შევამციროთ გარკვეული გაზების ემისია. მაგრამ სინამდვილეში ადამიანებს არ სურთ ამის გაკეთება, რადგან ეს ყველაფერი მათ ძირითად მოთხოვნილებებს ეწინააღმდეგება. ფაქტობრივად, შემცირების ნაცვლად წიაღისეული საწვავის მოხმარება გაიზარდა და მომავალში ეს ტენდენცია გაგრძელდება, რადგან დედამიწის მოსახლეობა სწრაფად მატულობს. ეკოლოგიური ვითარება ყოველწლიურად უარესდება, რაც მსოფლიოს მოსახლეობის სწრაფი ზრდით არის გამოწვეული. მსოფლიოში მუდმივად იზრდება ენერგიაზე მოთხოვნა. კოლოსალური რაოდენობის ენერგიაა საჭირო უსასრულო რაოდენობის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

დღეისათვის ბირთვული ენერგია ხშირად გამოიყენება ელექტროენერჯის საწარმოებლად. ჩერნობილის ან ფუკუშიმას მსგავსი ბირთვული ავარია კატასტროფული შედეგების მომტანი იქნება კაცობრიობისათვის. მიუხედავად ამისა, არაერთი ევროპული ქვეყანა, ელექტროენერჯის გამომუშავების მიზნით, აგრძელებს ბირთვული ენერჯის გამოყენებას. რადგან დედამიწის მოსახლეობა სწრაფად იზრდება, მატულობს ალბათობა იმისა, რომ უფრო მეტი ქვეყანა გამოიყენებს მომავალში ბირთვულ ენერჯის ელექტროენერჯის საწარმოებლად. მომავალში, ბირთვული ავარიების თავიდან აცილების მიზნით, ჩვენ უნდა ვთქვათ უარი ბირთვული ენერგიაზე და ვემბოთ ენერჯის ალტერნატიული წყაროები. ბირთვული ენერჯის გამოყენების ნაცვლად, ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ მზის, წყლისა და ქარის ენერგია.

კიდევ ერთი პრობლემატური საკითხია ქიმიური სასუქებისა და პესტიციდების გადაჭარბებული გამოყენება. დედამიწის ნაყოფიერებას საფრთხე ემუქრება, რადგან ხდება გამოყენება დიდი რაოდენობით ქიმიური სასუქებისა, რომლებიც აზიანებს ჩვენს პლანეტას. ქიმიური სასუქები ხელს უწყობს მოსავლის გაზრდას, მაგრამ, ამავე დროს, პროდუქციის ხარისხზე უარყოფით ზეგავლენას ახდენს. დემოგრაფიული ზრდის გამო ქიმიური სასუქების გამოყენებაც იზრდება. სინამდვილეში, ხალხი არ არის მზად, უარი თქვას ქიმიური სასუქების გამოყენებაზე. დღესდღეობით პროდუქციის რაოდენობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ხარისხი. ქიმიური სასუქების გარეშე ძალიან რთული იქნება ჭარბი მოსახლეობის გამოკვება.

დემოგრაფიული აფეთქება უამრავ კითხვას ბადებს კაცობრიობისა და დედამიწის მომავლის შესახებ. რა თქმა უნდა, ჩნდება კითხვა: ხალხის რა რაოდენობის გამოკვება შეუძლია დედამიწას? რა შეიძლება გაკეთდეს იმისათვის, რომ შემცირდეს დემოგრაფიული აფეთქება და გარემოს დეგრადაცია მომავალში?

ისეთმა ინტელექტუალებმა, როგორც იყო, მაგალითად, თომას მალთუსი, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს გარემოს ტევადობის საკითხს. გარემოს ტევადობა შეიძლება განისაზღვროს, როგორც ადამიანების მაქსიმალური რაოდენობა, რომლის შენარჩუნებაც ჩვენს პლანეტას შეუძლია განუსაზღვრელი ვადით. დებატები, გარემოს ტევადობის შესახებ, უკვე ასობით წელია გრძელდება. შეფასების დიაპაზონი ძალიან დიდია და მერყეობს ხუთასი მილიონი ადამიანიდან ერთ ტრილიონამდე. ექსპერტები ვერ თანხმდებიან არა მხოლოდ საბოლოო რიცხვზე, არამედ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ამ რიცხვის გაანგარიშების საუკეთესო და ყველაზე ზუსტ მეთოდზე [4]. ყველაზე თანამედროვე შეფასების თანახმად, გარემოს ტევადობა ვარირებს 4 მილიარდიდან 16 მილიარდამდე.

მალთუსმა იწინასწარმეტყველა, რომ კაცობრიობისთვის მალე საკმარისი აღარ იქნებოდა დედამიწაზე არსებული რესურსები, ვინაიდან შეზღუდული რაოდენობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა ვერ შეძლებდა ჭარბი მოსახლეობის გამოკვებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შიმშილის რისკი იზრდება, რადგან მოსახლეობა სწრაფად იზრდება. 1798 წელს თომას რობერტ მალთუსმა გამოაქვეყნა ძალიან მნიშვნელოვანი ნაშრომი - „ცდა ხალხთმოსახლეობის კანონის შესახებ“, რომელშიც ის ამტკიცებდა, რომ დედამიწის მოსახლეობა იზრდება გეომეტრიული პროგრესიით, ხოლო სურსათის წარმოება - არითმეტიკული პროგრესიით. ამრიგად, მაშინ, როდესაც სურსათის წარმოება 25 წლიან ინტერვალში, სავარაუდოდ, გაიზრდებოდა არითმეტიკული პროგრესიით 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9 და. ა. შ., დედამიწის მოსახლეობა შეძლებდა გაზრდას გეომეტრიული პროგრესიით 1, 2, 4, 8, 16, 32, 64, 128, 256 და. ა.შ. მან იწინასწარმეტყველა, რომ დადგებოდა ისეთი დრო, როდესაც ადამიანებს არ ექნებოდათ არანაირი რესურსი თავის გადასარჩენად. ასეთი კატასტროფის თავიდან ასაცილებლად მალთუსი გვიჩვენებს მოსახლეობის ზრდის რეგულირებას [5]. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ქვეყნების უმრავლესობა, რომლებიც გამოირჩევა მოსახლეობის სწრაფი ზრდის ტემპით, არ ატარებს შობადობის რეგულირების პოლიტიკას. მხოლოდ ჩინეთი ატარებდა 2015 წლამდე ერთი ბავშვის პოლიტიკას და ჰქონდა შემოდებული ოჯახებისთვის ერთ ბავშვზე მეტის ყოლის შეზღუდვა.

ბევრი რამ შეიძლება გაკეთდეს დემოგრაფიული აფეთქების პრობლემის შესამსუბუქებლად და სოციალური საკითხების მოსაგვარებლად:

1. ქვეყნებში, სადაც მოსახლეობის რიცხოვნობა სწრაფად იზრდება, ჩინეთის მსგავსად, შესაძლებელია, რომ გატარდეს ოჯახის დაგეგმვის პოლიტიკა.

როგორც ზემოთ იქნა ნახსენები, ჩინეთმა გაატარა ერთი ბავშვის პოლიტიკა იმიტომ, რომ სხვაგვარად ის ვერ შეძლებდა ჭარბი მოსახლეობის გამოკვებას [6]. სხვა ქვეყნებშიც, რომლებიც ჭარბი მოსახლეობის პრობლემას აწყდებიან, შეიძლება მიბადონ ჩინეთს და გაატარონ შობადობის კონტროლისა და ოჯახის დაგეგმვის პოლიტიკა. შობადობის კონტროლითა და რეგულაციების შემოღებით შევძლებთ ჩვენი პლანეტის გადარჩენას და მომავალში ეკოლოგიური კატასტროფების თავიდან აცილებას. ზემოთ ხსენებული შობადობის კონტროლის პოლიტიკა შეიძლება გატარდეს გარკვეული პერიოდის განმავლობაში და მოსახლეობის შემცირების შემდეგ ისევ გაუქმდეს.

დღეს მილიონობით ქალბატონს სურს არასასურველი ორსულობის თავიდან აცილება, მაგრამ მათ ან არ აქვთ ცოდნა, ან ხელი არ მიუწვდებათ თანამედროვე კონტრაცეფციის საშუალებებზე. ამ მხრივ ყველაზე მძიმე მდგომარეობაში აფრიკის, აზიისა და სამხრეთ ამერიკის ყველაზე ღარიბი და ჩამორჩენილი სახელმწიფოებია. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემების თანახმად, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში 220 მილიონამდე ქალს ხელი არ მიუწვდება კონტრაცეფციის თანამედროვე საშუალებებზე. სტატისტიკური მონაცემების თანახმად, მსოფლიოს მასშტაბით არაწინასწარგანზრახული და არასასურველი ორსულობების რაოდენობა თითქმის 40%-ს აღწევს [7]. სასურველია, რომ ის ადამიანები, რომელთაც არ გააჩნიათ ცოდნა ოჯახის დაგეგმვის შესახებ, ინფორმირებულნი იყვნენ სათანადოდ და ხელი მოუწვდებოდათ უსაფრთხო და ეფექტურ კონტრაცეფციის საშუალებებზე. შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი ეცემა, როდესაც მოსახლეობას ხელი მიუწვდება შობადობის კონტროლის მექანიზმებზე.

2. საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი ყველა რესურსის უფრო ეკონომიურად გამოყენება.

მსოფლიოში რესურსების მოხმარება იზრდება მოსახლეობის ზრდასთან ერთად. მაგრამ ზოგი ქვეყანა, სხვებთან შედარებით, უფრო მეტ რესურსს მოიხმარს. სახელმწიფოები ჩვენი პლანეტის რესურსებს განსხვავებულად და არათანაბრად მოიხმარენ. საშუალო ამერიკელი ხუთჯერ უფრო მეტ რესურსს მოიხმარს, ვიდრე მექსიკელი, ათჯერ უფრო მეტს, ვიდრე ჩინელი და ოცდაათჯერ უფრო მეტს, ვიდრე ინდოელი. თუ დედამიწაზე ყველა ადამიანი ისე მოიხმარდა რესურსებს, როგორც საშუალო ფენის ამერიკელები, მაშინ გარემოს ტევადობა იქნებოდა დაახლოებით 2 მილიარდი. თუმცა, თუ ადამიანები რესურსებს უფრო ეკონომიურად გამოიყენებდნენ და თუ ისინი მხოლოდ იმას მოიხმარდნენ, რაც მათ მართლა სჭირდებათ, მაშინ ჩვენი პლანეტა შესძლებდა უფრო დიდი რაოდენობის მოსახლეობის გამოკვებას. მსოფლიოს მოსახლეობა, განსაკუთრებით კი განვითარებულ ქვეყნებში მცხოვრები ხალხი, საჭიროებს მათი მოხმარების პრაქტიკის გადახედვას. იმისათვის, რომ ჩვენი პლანეტა ვიხსნათ განადგურებისაგან, საჭიროა, შევამციროთ რესურსების მოხმარება და შევწყვიტოთ რესურსების არამიზნობრივი ხარჯვა და გამოყენება.

3. ტექნოლოგიური ინოვაციისა და ტექნოლოგიური განვითარების წახალისება.

სურსათის წარმოების ტექნოლოგიური პროცესების დახვეწა-გაუმჯობესებამ შეიძლება ხელი შეუწყოს სასურსათო პროდუქციის წარმოების ზრდას და ამ შემთხვევაში შეიძლება მოხერხდეს ხალხის დიდი მასების სრულფასოვანი გამოკვება. იმისათვის, რომ მომავალში თავიდან იქნას აცილებული შიმშილი და არასრულფასოვანი კვება, საჭიროა, შევექმნათ ეკოლოგიურად სუფთა კვების პროდუქტების წარმოების ინოვაციური ტექნოლოგიები. მსოფლიოში მილიონობით ადამიანი შიმშილობს და არასრულფასოვნად იკვებება; ეს რიცხვი, სავარაუდოდ, გაიზრდება, თუ სასურსათო პროდუქტების წარმოების უფრო ეფექტური და ინოვაციური ტექნოლოგიები არ შეიქმნება.

მეცნიერები, რომლებიც ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარებაზე მუშაობენ, უნდა ფინანსდებოდნენ მთავრობების მიერ. მთავრობამ სტიმული უნდა მისცეს მეცნიერებს, რომ მათ უფრო მეტი კვლევა ჩაატარონ ეკოლოგიურად სუფთა და ინოვაციური ტექნოლოგიების შესაქმნელად.

მოსახლეობის ზრდის დელიკატური პრობლემა შეიძლება გადაწყდეს, თუ ზემოთ ნახსენები პოლიტიკური კურსი ცხოვრებაში გატარდება. დემოგრაფიული აფეთქება და გარემოს დეგრადაცია არის საკითხი, რომელიც ყველა ჩვენგანს ეხება და ამიტომაც ჩვენ, ყველანი, პასუხისმგებელი ვართ ისეთი მდგრადი მომავლის შექმნაზე, როდესაც თიოეული ჩვენთან შესძლებს უკეთესად ცხოვრებას ისე, რომ არ მიადგეს რაიმე ზიანი დედამიწას. დემოგრაფიული აფეთქება და გარემოს დეგრადაცია გლობალური პრობლემებია და ეს საკითხები შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველა ქვეყანა ითანამშრომლებს და ერთმანეთს მხარში ამოუდგება.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

1. McLamb, E. The Ecological Impact of the Industrial Revolution. 2011. (<http://www.ecology.com/2011/09/18/ecological-impact-industrial-revolution/>)
2. "გრიფით საიდუმლო" - "დაკარგული ყინული", TV Imedi. 2016. (<https://www.youtube.com/watch?v=sig53lrYBeg>)
3. კვინიკაძე, ზ. დავითაია ზ. კვინიკაძე, ლ. ეკოლოგიის მოკლე კურსი, 2010. (http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/8441/1/Ekologiis_Mokle-kursi.pdf)
4. "Population and Environment: a global challenge". Reviewers: Dovers, S. and Butler, C. 2015. (<http://www.nova.org.au/earth-environment/population-environment>)
5. "Malthusian Theory of Population". Population and Natural Resources module: Conceptual Framework. AAG Center for Global Geography Education. 2011. (http://cgge.aag.org/PopulationandNaturalResources1e/CF_PopNatRes_Jan10/CF_PopNatRes_Jan108.html)
6. "China's 'one-child policy' to Stay". Top News. 2011. (http://www.upi.com/Top_News/World-News/2011/10/30/Chinas-one-child-policy-to-stay/UPI-49251319986867/?st_rec=73301320046200)
7. "Overpopulation Solutions". 2013. (<http://www.everythingconnects.org/overpopulation-solutions.html>)

დემოგრაფიული აფეთქება და ეკოლოგიური კატასტროფა

ვალერი მოდებაძე

საერთაშორისო ურთიერთობების სრული პროფესორი,
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული
უნივერსიტეტი

რეზიუმე

მსოფლიო მოსახლეობის სწრაფი ზრდა უამრავი სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური პრობლემების წინაშე დააყენებს კაცობრიობას. დედამიწის მოსახლეობის სწრაფი ტემპით მატებასთან ერთად, იზრდება რესურსების მოხმარება. ზემოთ ხსენებული რესურსების მოხმარებასთან ერთად, გარემოში ვრცელდება უფრო მეტი ნარჩენები, ტოქსიკური მასალა და სათბური გაზები. დემოგრაფიული აფეთქება გამოიწვევს გარემოს დეგრადაციასა და ეკოლოგიურ კატასტროფას მომავალში.

Human overpopulation and ecological catastrophe

Valeri Modebadze

**Full professor of International Relations,
St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia**

Abstract

The rapid growth of the world population will cause a lot of social, economic and ecological problems to humanity. As a result of this phenomenal growth of population, the consumption of resources has grown rapidly over the last decades. Along with the use of the above-mentioned resources, more waste, toxic substances and greenhouse gases are spread in the environment. Demographic explosion will cause environmental degradation and ecological catastrophe in the future.

Surpopulation humaine et catastrophe écologique

Valeri Modebadze

Professeur titulaire de relations internationales

Abstrait

La croissance rapide de la population mondiale entraînera de nombreux problèmes sociaux, économiques et écologiques pour l'humanité. En raison de cette croissance phénoménale de la population, la consommation de ressources a augmenté rapidement au cours des dernières décennies. Parallèlement à l'utilisation des ressources susmentionnées, davantage de déchets, de substances toxiques et de gaz à effet de serre se répandent dans l'environnement. L'explosion démographique entraînera une dégradation de l'environnement et une catastrophe écologique à l'avenir.

უმუშევრობა და შრომის ბაზრის რეგულირება

ნოდარ გრძელიშვილი-ეკონომიკის დოქტორი,
საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის პროფესორი

უმუშევრობა - ეს არის სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა, რომლის დროსაც შრომითი ძალის ნაწილი არ არის დაკავებული საქონლისა და მომსახურების წარმოების პროცესში. უმუშევრები და დასაქმებულები ერთად ქმნიან ქვეყნის სამუშაო ძალას. რეალურ ეკონომიკურ ცხოვრებაში უმუშევრობა წარმოადგენს სამუშაო ძალის ჭარბ მიწოდებას.

საქართველოში უმუშევრებად ითვლებიან 16 წელს მიღწეული პირები, რომლებიც:

- არ მსახურობენ, ე.ი. დაკავებულები არ არიან შემოსავლიანი საქმიანობის ნებისმიერი ლეგალური სახეობით;

- ეძებენ სამსახურს, ე.ი. მიმართეს დასაქმების სახელმწიფო თუ კომერციულ ფონდებს; გააკეთეს ბეჭდვითი განცხადება სამსახურის დაწყების თაობაზე; უშუალოდ მიმართეს საწარმოს ხელმძღვანელობას; გამოიყენეს პირად ბერკეტები და სხვა საშუალებები; გადადგეს ნაბიჯები საკუთარი საქმის წამოსაწყებად;

- იყვნენ მზად, დაეწყოთ მუშაობა.

უმუშევრობის არსი

უმუშევრებს მიეკუთვნებიან არა მარტო სამუშაოდან ამა თუ იმ მიზეზით დათხოვილი, არამედ სამუშაოდან საკუთარი ნებით წამოსული პირებიც. უმუშევრობის სტრუქტურა თავისი მიზეზების მიხედვით შეიძლება დაიყოს ოთხ ძირითად კატეგორიად:

- ა) სამსახურიდან დათხოვნის მიზეზით უმუშევრობა;
- ბ) ნებაყოფლობით სამსახურის მიმტოვებელი;
- გ) გარკვეული დასკვნების შემდეგ შრომის ბაზარზე დაბრუნებულნი;
- დ) შრომის ბაზარზე პირველად მოხვედრილები.

ამ კატეგორიების თანაფარდობა ეკონომიკის ციკლურობაზეა დამოკიდებული. უმუშევრობის საშუალო-თვითური მაჩვენებელი გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$L_{UE} = \frac{UE}{L_{FC}} \times 100\%$$

სადაც:

L_{UE} - არის უმუშევრობის დონე %-ში (Level of unemployed);

UE - არის უმუშევართა საშუალო-თვითური რაოდენობა;

L_{FC} - არის სამოქალაქო სამუშაო ძალის რაოდენობა (**Labour Force of Citizens**).

არსებობს რამდენიმე კონცეფცია, რომელიც გვაძლევს უმუშევრობის ფენომენის განმარტებას. მარქსისტულ თეორიაში მას აკავშირებენ კაპიტალის დაგროვების პროცესთან, რომლის დროსაც ცოცხალი შრომის (ცვალებადი კაპიტალის) საჭიროება უფრო ნელა იზრდება, ვიდრე მოწყობილობებისა და დანადგარების (ე.ი. ძირითადი კაპიტალის). დასავლელი ეკონომისტების აზრით, უმუშევრობა თავის საფუძველშივე ასახავს ეკონომიკური რესურსების გამოყენების მიზანშეწონილობას: ისე, როგორც, ვთქვათ, საწარმოო სიმძლავრეების დატვირთვა ასახავს ძირითადი კაპიტალის გამოყენების მიზანშეწონილობასა და ეფექტურობას. ამაზე მეტყველებს უმუშევრობის ბუნებრივი მაჩვენებელი, რომელიც ასახავს სტრუქტურულ დისპროპორციებს შრომის ბაზარზე (სამუშაო ძალის კვალიფიკაციის, დემოგრაფიის, გეოგრაფიისა

და სხვა კრიტერიუმების მიხედვით მოთხოვნისა და მიწოდების სტრუქტურებს შორის). ბუნებრივ უმუშევრობას მიაკუთვნებენ ე.წ. ფრიქციულ უმუშევრობას, რომელიც, ძირითადად, დაკავშირებულია სამუშაოს ძებნის პერიოდთან და სეზონურ ცვლილებებთან სამუშაო ძალის მოთხოვნაში.

სტრუქტურულ უმუშევრობაში იგულისხმება ეკონომიკაში სტრუქტურული ცვლილებების შედეგად წარმოქმნილი უმუშევრობა, ხოლო ციკლური უმუშევრობა - გულისხმობს ეკონომიკური კონიუნქტურის არსებობას ქვეყანაში და ამასთან დაკავშირებით, სამუშაო ძალის მოწოდების სიჭარბესაც.

ბუნებრივი უმუშევრობის დონე

აშშ-ში, 60-იან წლებში უმუშევრობის ბუნებრივ დონედ ითვლებოდა მაჩვენებელი 4,3%, 70-იან წლებში - 7%. უმუშევრობის დარჩენილი დონე კი, ძირითადად, გამოწვეულია ციკლური ფაქტორებით, ე.ი. ეკონომიკის მდგომარეობით ქვეყანაში. ამერიკელი ეკონომისტების გამოთვლებით (60-80 წლებში) აშშ-ში უმუშევართა მატების 60% სტრუქტურულ უმუშევრობაზე, ხოლო 40% კი ციკლურზე მოდის. უმუშევრობის დინამიკაზე აგრეთვე მოქმედებს, სახელმწიფოს ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკაც; დემოგრაფიული ფაქტორები; ცვლილებები ეკონომიკის სტრუქტურაში; საგარეო ვაჭრობა და კაპიტალის გატანა; მილიტარისტული ხარჯები; პროფკავშირების პოზიცია და აქტიურობა.

პრაქტიკაში, რასაკვირველია, რთულია სტრუქტურული ფაქტორების ციკლურებისგან ზემოქმედების გამოყოფა და ამიტომ მეცნიერების მიერ გამოყენებული დეფინიციები (ფრიქციული, სტრუქტურული, ციკლური და სხვა) საკმაოდ პირობითია. მიუხედავად ამისა, ისინი საკმაოდ სასარგებლონი შეიძლება იყონ, მაგალითად, გრძელვადიანი და მოკლევადიანი ფაქტორების გამოვლენისთვის (ეს ის ფაქტორებია, რომლებიც მოქმედებს შრომის ბაზარზე).

80-90-იანი წწ. დამახასიათებელია უმუშევრობის ძალზე მაღალი დონე 9-10%, ხოლო შრომის ძალის სტრუქტურაში ცვლილებებთან ერთად იცვლება უმუშევართა შედგენილობაც: სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება მასში მუშათა რიცხვი და არამატერიალური სფეროს მუშაკთა წარმომადგენლები.

საქართველოში დღეს „ლურჯი საყელოების“ უმუშევრობა ჭარბობს, ვინაიდან უმუშევართა უმეტესობა - 63% - მუშებია, 20,5% - სპეციალისტები, მ.შ. 10,5% უმაღლესი განათლებით. ამავდროულად, უმუშევრების რიცხვის გაზვიადება ნამდვილად არაა საჭირო, იმიტომ რომ საქართველოში, მაგალითად, ძალზე მაღალია ე.წ. „ჩრდილოვანი დასაქმების“ დონე, რომელიც ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით არ აღირიცხება. ამას მიაკუთვნებენ: ექსპორტი-იმპორტის განმახორციელებელ კერძო ვაჭრებს (რამდენიმე ასეული ან ათასეული ადამიანი); შიდასავაჭრო ოპერაციებში დაკავებული აღურიცხავი პირები; არარეგისტრირებული დაცვის თანამშრომლები; პროსტიტუციაში, პორნოგრაფიაში, ნარკოტიკებში ჩაბმული პირები; კრიმინალური სტრუქტურები.

ამას გარდა, არსებობს საქმიანობის ისეთი სახეები, როგორცაა: კონსულტაციური მომსახურება, რეპეტიტორობა, სახლის რემონტი, ავტომობილების შეკეთება და პროფილაქტიკა, მშენებლობა და მრავალი სხვა, რომელიც ხშირ შემთხვევაში რეგისტრაციის გარეშე ხორციელდება და რომლის მასშტაბები ძალზე ფართოა. ყველაფერი ეს ერთად აღებული, არსებული უმუშევრობის მაჩვენებლის კორექციას ახდენს.

სახელმწიფო რეგულირების ძირითადი მიმართულებები

მრავალფეროვანი შიდა რეგულატორების არსებობიდან გამომდინარე, საჭიროა შრომის ბაზრის კვალიფიციური რეგულირება. საქართველოში ასეთი რეგულატორის შექმნა რეფორმის ძირითადი ამოცანაა.

აქ შეიძლება უფრო განვითარებული ქვეყნების გამოცდილებისათვის მიგვემართა.

შეიძლება გამოიყოს შრომის ბაზრის სახელმწიფო რეგულირების ოთხი მიმართულება:

- 1) დასაქმების ზრდის სტიმულირება და სამუშაო ადგილების გაზრდა;
- 2) შრომითი ძალის მომზადება-გადამზადებაზე მიმართული პროგრამები;
- 3) სამუშაო ძალის დაგირავების ხელშემწყობი პროგრამები;
- 4) უმუშევრობის სოციალური პროგრამები, ე.ი. უმუშევართათვის სახსრების გამოყოფა და ა.შ.

რეგულირების კონცეპტუალური საფუძვლები

სახელმწიფოს საქმიანობის კონცეპტუალურ საფუძველს წარმოადგენს (70-იან წლებამდე) კეინსიანელების თეორიები 80-90 წლებში კი დასავლეთში, ძირითადად, გაბატონდა „მიწოდების ეკონომიკის“ კონცეფცია, რომელიც უმუშევრობას აღიქვამს, როგორც ბუნებრივსა და ნებაყოფლობით მდგომარეობას და სახელმწიფო ჩარევის შეზღუდვების მომხრეა.


ამ თეორიაზე დაყრდნობით, 80-იან წლებში სახელმწიფომ (აშშ) შეამცირა სახელმწიფო პროგრამებისათვის გათვალისწინებული ფედერალური ხარჯები, ეს მდგომარეობა გრძელდებოდა 90-იან წლებამდე.

უმუშევრობის რეგულირების ძირითად საფუძველს საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყანაში წარმოადგენს ხელფასსა და უმუშევრობას შორის დამოკიდებულება. საუბარია ე.წ. ფილიპსის მრუდზე, რომელიც გამოხატავს არაწრფივ დამოკიდებულებას ამ ორ სიდიდეს შორის. ეს მრუდი ინგლისურ ეკონომისტ ფილიპსს ეკუთვნის, რომელმაც 1861 წლიდან 1958 წლამდე მაჩვენებლები გააანალიზა.

ფილიპსის მრუდი:

Y_P - ფასების საშუალო წლიური ზრდის ტემპები;

L_{UE} - უმუშევრობის დონე.



მაღალე მაღალი უმუშევრობა და სტაბილური ფასები (B). დაშტრიხულ სექტორეში ფასები თითქმის სტაბილურია.

საკმაოდ დიდი ხანი ყველა დარწმუნებული იყო ფილიპსის მრუდის უტყუარობაში, მაგრამ დაფიქსირებულია შემთხვევები, როცა უმუშევრობა და ინფლაცია არა უკუპროპორცი-

თუ დავუშვებთ, რომ არსებობს ერთნაირი თანაფარდობა ფასებისა და ხელფასების ცვლილების ტემპებს შორის, მაშინ ფილიპსის მოდელი შეიძლება გარდავქმნათ უმუშევრობისა და ფასების დონის ცვლილებათა თანაფარდობად. ფილიპსის მრუდი წარმოადგენს იძლევა ასარჩევ ვარიანტებზე: ან საკმაოდ მაღალი დასაქმება და ფასების სწრაფი მატება (A), ან

ულ, არამედ პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებაში არიან: უმუშევრობის ზრდასთან ერთად ხდება ფასების მატებაც. ეს კი იწვევს ფილიპსის მრუდის კრიტიკას.

სახელმწიფოს მხრიდან პირდაპირი რეგულირების გარდა, არსებობს ირიბი რეგულირების მეთოდები, რომლებსაც განეკუთვნებიან: საგადასახადო, ფულად-საკრედიტო და ამორტიზაციული პოლიტიკა. ამას გარდა შრომის ბაზარზე არანაკლებ ზემოქმედებას ახდენს საკანონმდებლო ბაზა სოცუზრუნველყოფის სფეროში (სხვათა შორის, აშშ-ში ასეთი კანონების უმრავლესობა 30-იან წლებში იყო მიღებული).

ამრიგად, შრომის ბაზრის თანამედროვე სახელმწიფო რეგულირება წარმოადგენს ეკონომიკური, ადმინისტრაციული, საკანონმდებლო, ორგანიზაციული და სხვა ზომების კომპლექსს.

შრომის ბირჟა საბაზრო მეურნეობის უმთავრეს სტრუქტურას წარმოადგენს. ეს არის სპეციალური დაწესებულებები, რომლებიც ასრულებენ საშუამავლო ფუნქციებს შრომის ძალის ბაზარზე. ქვეყანათა უმრავლესობაში შრომის ბირჟები სახელმწიფო დაწესებულებებია და თავის საქმიანობას ახორციელებენ შრომის სამინისტროს ან მისი ანალოგიური ორგანოს ხელმძღვანელობით. ამას გარდა, შრომის ბაზარზე სახელმწიფოსთან ერთად ფუნქციონირებს ბევრი კერძო საშუამავლო ფირმა, რომელთა მოქმედების ეფექტურობაც მაღალია.

შრომის ბირჟის საქმიანობის ძირითადად გამოკვეთილი მიმართულებებია: 1) უმუშევართა რეგისტრაცია; 2) ვაკანტური ადგილების რეგისტრაცია; 3) უმუშევართა დასაქმება და იმ პირთა დახმარება, ვინც ეძებს სამსახურს; 4) ბაზრის კონიუნქტურის შესწავლა და მის შესახებ ინფორმაციის გაცემა; 5) სამუშაოს მსურველ პირთა ტესტირება; 6) უმუშევართა პროფესიული ორიენტაცია და პროფესიული გადამზადება) 7) დახმარების გაცემა.

უნდა აღინიშნოს, რომ განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში მოქალაქეები არა შრომის ბირჟის, არამედ კადრების განყოფილებების მეშვეობით ეწყობიან სამუშაოზე, ან სარგებლობენ კერძო შუამავლების მომსახურებით. ამ სფეროში ყველაზე მსხვილ შუამავალს წარმოადგენს ამერიკული კომპანია „Manpower“-ი, რომელსაც სხვადასხვა ქვეყნებში 1350 განყოფილება გააჩნია და რომელიც სხვადასხვა სამუშაოთი 700 ათას ადამიანზე მეტს ასაქმებს წელიწადში.

აშშ-ში დახმარებას წელიწადში 6-8 მილიონ ადამიანს უწევს. ამას გარდა, აშშ-ში კანონმდებლობა მათდამი დახმარებას 26 კვირის განმავლობაში ითვალისწინებს (ზოგიერთ შემთხვევაში ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს კიდევ 13 კვირით). დახმარება შეადგენს 200 დოლარს თვეში, თუმცა ზოგიერთ შტატში 400-500 დოლარიც კია.

შრომის ბირჟა ადამიანის უმუშევრად ცნობის შესახებ იღებს გადაწყვეტილებებს არაუგვიანეს 11 კალენდარული დღისა და განცხადების შეტანის დღიდან. ამავე დროს უმუშევართა სიიდან ამოიშლებიან პირები, რომლებიც უარს აცხადებენ ორ შემოთავაზებულ სამუშაოზე, ან სამუშაოს პირველად მძებნელი პირი, რომელმაც უარი თქვა პროფმომზადების ორ ვარიანტზე.

შრომის ბაზარი ასრულებს ორ ძირითად სოციალურ-ეკონომიკურ ფუნქციას:

1. შრომის რესურსების განაწილება დასაქმების ალტერნატიულ სახეობებზე (პროფესიების, დარგების, საწარმოების, ტერიტორიების მიხედვით);
2. შემოსავლების განაწილება საგანაკვეთო ფორმით, ხელფასის როგორც შრომითი დაჯილდოვების და სტიმულირების სახით.

შრომის ბაზარზე ამ ფუნქციების რეალიზაცია ხელს უნდა უწყობდეს ეფექტიანობის ამაღლებას ე.ი. მწარმოებლურობის მაქსიმიზაციას.

სახელმწიფომ გეგმიურ-ადმინისტრაციული სისტემის პირობებში დააკანონა საზოგადოების ყველა წევრის გარანტირებული დასაქმება, მისცა მათ პროფესიული მომზადების შესაძლებლობა, პროფესიულ სასწავლებელთა კურსდამთავრებულთათვისაც უზრუნველყო დასაქმება, განუსაზღვრა საშუალო ოდენობის სტაბილური სახელფასო და საპენსიო ანაზღაურება.

შრომის ბაზრის რეგულირების მეთოდების გამოყენების პრაქტიკამ შექმნა წარმოდგენა ორი ტიპის პოლიტიკის აქტიური და პასიური ტიპის შესახებ.

პასიური პოლიტიკა გულისხმობს შრომის ბაზარზე მუშაკებისა და დამსაქმებლების მდგომარეობაზე სახელმწიფოს პასუხისმგებლობას. ამ შემთხვევაში სახელმწიფო პატერნალიზმის „საბაზრო“ სახე ფორმირდება, როგორც სოციალურ-შრომითი ურთიერთობების პატერნალიზმის გამოვლინება.

პასიური პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთ ველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს უმუშევრობისაგან დაზღვევა, რომელიც ფართოდ გამოიყენება განვითარებულ საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში.

პასიური პოლიტიკის უმთავრესი ამოცანაა – უმუშევრებზე შემწეობის გაცემა, რამეთუ ის უზრუნველყოფს მათი არსებობის მინიმალურ დონეს, შემწეობის გაცემის სისტემას და უმუშევართა და მათი ოჯახის წევრების არაფულადი მხარდაჭერი ფორმების წარმოდგენას. ეს არის საბაზრო ურთიერთობების პირობებში სახელმწიფოს პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი.

შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკა მიმართულია სამუშაო ადგილის მიღების პროცესში ადამიანის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე, გადამზადების, მომზადების, თვითდასაქმების, ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის საშუალებით და გამომდინარეობს იქიდან, რომ ჯანმრთელობა ადამიანმა დამოუკიდებლად უნდა გამოიმუშაოს საკუთარი ოჯახის უზრუნველყოფის საშუალება და მისი ოჯახის კეთილდღეობა დამოკიდებულია მის პასუხისმგებლობაზე. სახელმწიფო კი არის მხოლოდ შუამავალი, რომელიც ხელს უწყობს მისი დასაქმების შესაძლებლობას.

შრომის ბაზარზე აქტიური პოლიტიკის დამუშავებაზე და განხორციელებაზე გავლენას ახდენს შემდეგი სამი მნიშვნელოვანი ჯგუფის ფაქტორები:

1. საერთაშორისო შრომის ნორმები, რომლებიც აწესებს ისეთ ძირითად უფლებებს, როგორცაა თავისუფლად არჩეული დასაქმება, შესაძლებლობებისა და ურთიერთობების თანასწორობა, გაერთიანების თავისუფლება და ა.შ.;


2. დამყარებული სოციალური შრომითი ურთიერთობების ტიპი, რამდენადაც ფართოდაა აღიარებული, რომ ნებისმიერი პოლიტიკა, მათ შორის შრომის ბაზარზე აქტიურ პოლიტიკასაც აქვს წარმატების უდიდესი შესაძლებლობა, თუ იგი უზრუნველყოფილია მეწარმეთა, მშრომელთა და სხვა დაინტერესებულ სოციალური ჯგუფების მაგ. უმუშევრების აღიარებითა და მხარდაჭერით;

3. განსხვავებული პირობები, რომლებიც დამახასიათებელია სხვადასხვა ქვეყნებისა და მის შიგნით არსებული ცალკეული რეგიონების შრომის ბაზარზე.

შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკა ეს არის იმ ღონისძიებათა კომპლექსი, რომლებიც მიმართულია უმუშევართა სწრაფ ჩართვაზე, დაბრუნებაზე აქტიურ შრომით პროცესში და მოიცავს შრომით მოწყობაში დახმარებას, თანამშრომლობას პროფესიულ გადამზადებაში, თვითდასაქმების განვითარებას, პროფესიულ კონსულტაციების გაწევას და სხვა ღონისძიებებს.

შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის ძირითად მიმართულებად ითვლება პროფესიული მომზადება და გადამზადება, რამდენადაც თანამედროვე მსოფლიოში დასაქმების პერსპექტივა, რომელიც ხასიათდება სწრაფი ცვლილებებითა და სტრუქტურული გარდაქმნით დაკავშირებულია ადამიანურ კაპიტალში დაბანდებასთან. მაღალი კვალიფიციური განათლებისა და თანამედროვე პროფესიის მიღებასთან, რომლებიც წარმოადგენენ უმუშევრობისაგან თავის დაღწევის მყარ გარანტიებს.

საქართველოს გააჩნია არსებითი უპირატესობა კავკასიის რეგიონის სხვა ქვეყნებთან შედარებით: გეოპოლიტიკური მდგომარეობა, ბუნებრივი სიმდიდრე და სასურველი ბუნებრივი კლიმატური პირობები. ამ უპირატესობების ათვისება – გამოყენება ხელს შეუწყობს: უმუშევრობის შემცირებას და პროდუქციული დასაქმების უზრუნველყოფას, რომლის მხრივ არცისეთი სასარგებლო მდგომარეობაა.



წყარო: geostat.ge

სტატისტიკის სამსახურის მონაცემებით 2017 წელს საქართველოში უმუშევრობის დონე 2016 წელთან შედარებით 0.1 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 13.9 პროცენტი შეადგინა. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში უმუშევრობის ოფიციალური სტატისტიკა რეალობას ვერ ასახავს. მართალია, სტატისტიკის სამსახური გვარწმუნებს, რომ ქვეყანაში უმუშევრობის დონე 13,9%-ია, ჩვენი შეფასებით კი ეს მაჩვენებელი რეალურად 2,5- 3-ჯერ მეტია.

საქართველოს შრომის ბაზარი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალურია: არ არის დაწესებული მინიმალური ხელფასის სავალდებულო ზღვარი, იოლია სამუშაოზე აყვანა-გათავისუფლება, არ არსებობს უმუშევრობის დახმარება, სამუშაო საათების მაქსიმალური რაოდენობა განსაზღვრულია, მაგრამ არ კონტროლდება.

უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყანაში ბოლო წლებში იკვეთება ეკონომიკური ზრდის ტემპები და თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ორინტირება კეთდება ინტეგრაციაზე მსოფლიო სამეურნეო კავშირების სისტემაში, მაშინ შეგვიძლია ჩამოვაცალიბოთ შემდეგი დასაქმების პოლიტიკის სტრატეგიული მიზანი: ქვეყანაში პრიორიტეტულ დარგებში პროდუქციული დასაქმების გაზრდა და დინამიური ნაციონალური შრომის ბაზრის განვითარების საფუძველზე უმუშევართა დონის შემცირება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Marshall, Alfred. (1920). *Principles of Economics*. New York: Macmillan.
2. Marx, Karl. (1867/1977). *Capital*, vol. I. New York: Vintage Books.
3. Ricardo, David. (1821/1965). *The Principles of Political Economy and Taxation*. London: Everyman's Library.
4. Schumpeter, Joseph. (1934/1912). *The Theory of Economic Development*. Cambridge, Mass.: Harvard University Press.
5. Schumpeter, Joseph. (1954). *History of Economic Analysis*. New York: Oxford University Press.
6. Smith, Adam. (1776/1965). *An Inquiry into the Nature and Causes of the Wealth of Nations*. New York: Modern Library.
7. Stonier Alfred William, Hague Douglas C., *A Textbook of Economic Theory*, New York : Longman, 1980 - 699 pages.
8. www.geostat.ge
9. www.economy.ge

უმუშევრობა და შრომის ბაზრის რეგულირება

**ნოდარ გრძელიშვილი-ეკონომიკის დოქტორი,
საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის პროფესორი
აბსტრაქტი**

უმუშევრობა - ეს არის სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა, რომლის დროსაც შრომითი ძალის ნაწილი არ არის დაკავებული საქონლისა და მომსახურების წარმოების პროცესში. უმუშევრები და დასაქმებულები ერთად ქმნიან ქვეყნის სამუშაო ძალას. რეალურ ეკონომიკურ ცხოვრებაში უმუშევრობა წარმოადგენს სამუშაო ძალის ჭარბ მიწოდებას.

შრომის ბაზრის თანამედროვე სახელმწიფო რეგულირება წარმოადგენს ეკონომიკური, ადმინისტრაციული, საკანონმდებლო, ორგანიზაციული და სხვა ზომების კომპლექსს.

საქართველოს გააჩნია არსებითი უპირატესობა კავკასიის რეგიონის სხვა ქვეყნებთან შედარებით: გეოპოლიტიკური მდგომარეობა, ბუნებრივი სიმდიდრე და სასურველი ბუნებრივი კლიმატური პირობები. ამ უპირატესობების ათვისება – გამოყენება ხელს შეუწყობს: უმუშევრობის შემცირებას და პროდუქციული დასაქმების უზრუნველყოფას.

Unemployment and regulation of the labor market

**Nodar Grdzlishvili - Doctor of Economics,
Professor of David Aghmashenebeli University of Georgia
Abstract**

Unemployment is a socio-economic phenomenon whereby a part of labor force is not involved in the process of production of goods and services. The unemployed and employed people together form the country's work force. In real economic life an unemployment is a result of Workforce Oversupply.

The modern state regulation of the labor market is a set of economic, administrative, legislative, organizational and other measures.

Georgia has a substantial advantage over other countries in the Caucasus region: geopolitical situation, natural wealth and desirable natural climatic conditions. Using these advantages can contribute to the reduction of unemployment and provision of productive employment.

Chômage et réglementation du marché du travail

**Nodar Grdzlishvili - Docteur en économie,
Professeur de l'Université David Aghmashenebeli de Géorgie
Résumé**

Le chômage est un phénomène socio-économique dans lequel une partie de la main-d'œuvre n'est pas impliquée dans le processus de production de biens et de services. Les chômeurs et les travailleurs forment ensemble la main-d'œuvre du pays. Dans la vie économique réelle, le chômage est le résultat de l'offre excédentaire.

La réglementation moderne du marché du travail par l'État est un ensemble de mesures économiques, administratives, législatives, organisationnelles et autres.

La Géorgie a un avantage substantiel sur les autres pays de la région du Caucase: situation géopolitique, richesse naturelle et conditions climatiques naturelles souhaitables. L'utilisation de ces avantages peut contribuer à réduire le chômage et à fournir des emplois productifs.

Processus de Convergence dans les Systèmes Politico – Juridiques Contemporains

Kartlos Pridonashvili

Après l'effondrement du camp socialiste, les Etats (à l'exception des pays idéologiques de l'intégrisme religieux) se sont retrouvés sur la plate-forme juridique avec un contenu presque immanent. Le droit de propriété, le droit à la dignité et la liberté d'expression ont été reconnus dans toute l'acceptation. Ces droits fondamentaux et d'autres ont assuré la création des systèmes politico-juridiques, socio-économiques quasiment universels. Les concepts sur l'Etat social et juridique ont été transformés en principes du constitutionalisme moderne et de la théorie de la démocratie.

Le concept d'état social fait partie des droits fondamentaux de la Constitution de différents pays où "... les éléments les plus importants de l'état social sont: le minimum vital décent des êtres humains; Initiative libre et privée; Égalité sociale; Sécurité sociale Avantages généraux du bien-être ... problème d'éducation et de bourse, problème du chômage, pensions et des aides, soins aux personnes handicapées, patients, services médicaux pour enfants; Certaines soutiens pour les chômeurs et les personnes âgées par des sources budgétaires et les arrangements et des autres questions de protection sociale."¹⁶

Géorge GOGIACHVILI écrit par rapport d'Etat de droit: „Au sens moderne, le principe d'Etat juridique ne se limite pas seulement à la protection de l'homme, mais il se réalise en double objectif: limiter et assumer avec les mesures égales la dignité et la liberté humaine; la justice et la sûreté légitime, comme dans la relation avec le pouvoir d'Etat, ainsi que parmi les individus .

Des normes concrètes de garantie de l'état juridique sont formulées à différents niveaux constitutionnels. La construction théorique repose sur deux motifs principaux: sur le principe subjectif-juridique de la dignité humaine et la division objective-juridique des pouvoirs d'Etat, lesquelles sont nécessaires à la constitution d'un Etat de droit. Ces deux composants assurent la réalisation des valeurs de l'Etat de droit en deux directions: obliger le gouvernement à respecter et protéger la dignité humaine et de taille égale à son honneur, en même temps prendre des mesures pratiques pour la protection du principe de séparation des pouvoirs et la restriction des fonctions de l'Etat.”¹⁷

Otar MELQADZE énonce les idées suivantes par rapport de concept d'Etat de droit: „ L'expérience mondiale prouve que, l'état de droit et la constitution d'une société démocratique sont l'expression juridique d'équilibre des forces et des intérêts publics, et non pas un instrument de la réalisation de la volonté d'une partie de la société. Ce point de vue, le signe le plus important d'un Etat de droit est qu'il est considéré comme un Etat de droit social. Tous les droits et libertés de l'homme et du citoyen doivent être renforcés par des garanties sociales et juridiques. ”¹⁸

Selon, les pensées de Konstantine KOUBLACHVILI le droit de la dignité humaine est présenté comme le fondement d'autonomie personnelle et de la démocratie, ainsi que le fondement de l'Etat social et juridique : „ la personne libre et sa dignité sont les valeurs suprêmes et les principes les plus importants de la constitution de Géorgie . D'après la constitution, la personne est considérée comme une personne qui a la capacité d'établir sa propre vie avec sa responsabilité. Sur la base de cette habilité,

¹⁶ Melkadze Otar, Constitutionnalisme, Tbilissi 2008 ;p.88

¹⁷ Gogiachvili Giorgi, Droit constitutionnel comparé, Tbilissi 2014, p.69.

¹⁸ Melkadze Otar, Constitutionnalisme, Tbilissi 2008 ; p.89.

tous devrait avoir la possibilité de développer librement leur personnalité. Pour les sphères socio-politiques et sociales, cela signifie que les gens devraient être en mesure de prendre part au processus décisionnel autant que possible. L'Etat est obligé de créer les conditions appropriées pour ceci et fournir des possibilités pour la vie et les activités libres. Voici les racines de l'autonomie personnelle et de la démocratie.

... Le droit de la dignité humaine exige de l'Etat la création matérielle minimales nécessaires à la dignité humaine, dans les phrases précitées il sous-entends le système public et social du pays"

Le concept de l'Etat social et juridique se reflète dans les articles 14 et 17 de la Constitution de Géorgie. L'article 14 insiste sur la liberté personnelle : - „Tous les être humaines naissent libres" La liberté et l'égalité sont les principes de base de la démocratie qui sont étroitement liés les uns aux autres . Le but du principe de l'égalité est l'amélioration les conditions des personnes pauvres et vulnérables, non pas de mettre les habitants aisés dans les états pires . C'est ainsi, le principe de l'égalité est lié avec le principe de la liberté et aussi au droit de la dignité humaine, laquelle est le fondement de l' Etat démocratique et légitime . L'égalité et la liberté exige notamment la protection de la vie digne des être humaines. C' est pourquoi, la réduction de la pauvreté est un préalable nécessaire à l'égalité et à la liberté, et vivre dans la pauvreté signifie une violation de l'égalité et de la perte de la liberté"¹⁹

Le concept d'Etat social et juridique est reflété dans la Constitution de différents pays. **Le préambule de la Constitution des États-Unis**, le peuple des États-Unis pour créer une union plus parfaite avec d'autres valeurs nationales contribuent à la prospérité générale...

Le préambule de la Constitution argentine n'a également déclaré que le désir de la nation argentine de promouvoir le bien-être commun... le bien commun. Le concept du même Etat social tiré du préambule de la Constitution argentine est énoncé à l'article 141 de la même Constitution: « Les représentants syndicaux jouissent des garanties nécessaires à l'accomplissement de leur gestion syndicale, en particulier de celles relatives à la stabilité de leur emploi. L'État accorde les bénéfices de la sécurité sociale qui a un caractère intégral et obligatoire. La loi établit en particulier: l'assurance sociale obligatoire qui est à la charge d'organismes nationaux et provinciaux ayant autonomie financière et économique et étant administrés par les intéressés avec la participation de l'État, sans qu'il puisse exister un cumul de cotisations; les retraites et les pensions mobiles; la protection totale de la famille; la défense du bien de famille; les prestations familiales et l'accès à un mode de vie digne. «²⁰

Le préambule de la Constitution fédérale de la Confédération suisse présente un exemple de synthèse du concept d'état social (bien-être universel) et juridique: „ Au nom de Dieu Tout-Puissant! Le peuple et les cantons suisses, conscients de leur responsabilité envers la Création, résolus à renouveler leur alliance pour renforcer la liberté, la démocratie, l'indépendance et la paix dans un esprit de solidarité et d'ouverture au monde, déterminés à vivre ensemble leurs diversités dans le respect de l'autre et l'équité, conscients des acquis communs et de leur devoir d'assumer leurs responsabilités envers les générations futures, sachant que seul est libre qui use de sa liberté et que la force de la communauté se mesure au bien-être du plus faible de ses membres, arrêtent la Constitution que voici: «²¹

¹⁹ Kublashvili Constantine, Droits fondamentaux, Tbilissi, 2003 ; p.322

²⁰ <http://www.wipo.int/edocs/lexdocs/laws/fr/ar/ar075fr.pdf>

²¹ <https://www.admin.ch/opc/fr/classified-compilation/19995395/201801010000/101.pdf>

Nation suisse ne se limite pas aux services sociaux (aide sociale) et la notion juridique de déclarative dans le préambule de la Constitution fédérale et précise la onzième et douzième respectivement:

Art. 11 Protection des enfants et des jeunes

1 Les enfants et les jeunes ont droit à une protection particulière de leur intégrité et à l'encouragement de leur développement.

2. Ils exercent eux-mêmes leurs droits dans la mesure où ils sont capables de discernement.

Art. 12 Droit d'obtenir de l'aide dans des situations de détresse

Quiconque est dans une situation de détresse et n'est pas en mesure de subvenir à son entretien a le droit d'être aidé et assisté et de recevoir les moyens indispensables ²²pour mener une existence conforme à la dignité humaine. ²³

Le concept d'état social (bien-être universel) est donné dans la loi constitutionnelle du Danemark du 5 juin 1953:

"§ 75 1) Afin de promouvoir l'intérêt public, les efforts doit être fait pour garantir le travail pour chaque citoyen valide aux conditions qui assureront son existence.

(2) Toute personne incapable de subvenir à ses propres besoins famille doit, quand aucune autre personne n'est responsable pour son ou leur entretien, avoir le droit de recevoir assistance publique, à condition qu'il se conforme avec les obligations imposées par la loi dans le respect. ²³

Dans certains articles de la Constitution du Japon du 6 octobre 1946, le concept d'état social (bien-être universel) est impliqué, à savoir:

„ Article 13.

Tous les citoyens devront être respectés comme individus. Leur droit à la vie, à la liberté, à la poursuite du bonheur, dans la mesure où il ne fait pas obstacle au bien-être public, demeure le souci suprême du législateur et des autres responsables du gouvernement.... "

Article 25.

Toute personne a droit au maintien d'un niveau minimum de vie matérielle et culturelle. Dans tous les aspects de l'existence, l'État s'efforce d'encourager et d'améliorer la protection et la sécurité sociales, ainsi que la santé publique.

Article 26

Chacun a le droit de recevoir une éducation égale correspondant à ses capacités, dans les conditions prévues par la loi.

Chacun est tenu de donner aux garçons et aux filles, sans exception, placés sous sa protection, l'enseignement élémentaire dans les conditions prévues par la loi. L'éducation obligatoire est gratuite.

« ²⁴

Selon le deuxième article de la Constitution française de 1958

„ARTICLE 2. La langue de la République est le français.

L'emblème national est le drapeau tricolore, bleu, blanc, rouge.

L'hymne national est « La Marseillaise ».

La devise de la République est « Liberté, Égalité, Fraternité ».

Son principe est : gouvernement du peuple, par le peuple et pour le peuple. « ²⁵

²² <https://www.admin.ch/opc/fr/classified-compilation/19995395/201801010000/101.pdf>

²³ http://www.wipo.int/wipolex/fr/text.jsp?file_id=341212

²⁴ http://web-japan.org/factsheet/fr/pdf/F09_consti.pdf

Ainsi, la Constitution française de 1958, l'article affirme sans équivoque le concept constitutionnel de l'État social, et en même temps qu'il reconnaît, concepts sociaux et juridiques de l'indivisibilité de l'État, comme la République sociale française a déclaré l'article précité oblige la France à veiller à ce que tous les citoyens soient en égalité devant la loi. Dans le principe fondamental de la gouvernance de l'État français: " gouvernement du peuple, par le peuple et pour le peuple ". Les théories de l'état social et juridique, et du contrat public sont réalistes.

La Constitution de la France de 1958 a reconnu la Déclaration des Droits de l'Homme et du Citoyen de 1789 et le Préambule de la Constitution de 1946 de la France dans laquelle le concept d'état social est assez détaillé. Bien sûr, compte tenu de la spécificité des normes constitutionnelles. En particulier, l'État français garantit toutes les conditions nécessaires à la santé, à la sécurité matérielle et au reste des travailleurs. L'État est obligé de créer des chances égales pour les enfants et les adolescents d'obtenir une éducation et des professions. La loi fondamentale prévoit également le droit à l'égalité d'accès aux réalisations culturelles et l'État est tenu de créer des établissements d'enseignement gratuits à tous les niveaux et d'organiser le processus éducatif.²⁶

Les concepts de contrat public et d'état social sont également reflétés dans la loi fondamentale de **la République fédérale d'Allemagne**, qui figure dans le premier article de la Constitution allemande:

"Article 1

[Dignité de l'être humain, caractère obligatoire des droits fondamentaux pour la puissance publique]

(1) La dignité de l'être humain est intangible. Tous les pouvoirs publics ont l'obligation de la respecter et de la protéger.

(2) En conséquence, le peuple allemand reconnaît à l'être humain des droits inviolables et inaliénables comme fondement de toute communauté humaine, de la paix et de la justice dans le monde.

(3) Les droits fondamentaux énoncés ci-après lient les pouvoirs législatif, exécutif et judiciaire à titre de droit directement applicable.

Article 2

[Liberté d'agir, liberté de la personne]

(1) Chacun a droit au libre épanouissement de sa personnalité pourvu qu'il ne viole pas les droits d'autrui ni n'enfreigne l'ordre constitutionnel ou la loi morale.

(2) Chacun a droit à la vie et à l'intégrité physique. La liberté de la personne est inviolable. Des atteintes ne peuvent être apportées à ces droits qu'en vertu d'une loi.

Article 3

[Égalité devant la loi]

(1) Tous les êtres humains sont égaux devant la loi

Article 6

(1) Le mariage et la famille sont placés sous la protection particulière de l'État

²⁵ <http://www.conseil-constitutionnel.fr/conseil-constitutionnel/francais/la-constitution/la-constitution-du-4-octobre-1958/texte-integral-de-la-constitution-du-4-octobre-1958-en-vigueur.5074.html#titre1>

²⁶ Melkadze Otar, Loi constitutionnelle des pays étrangers, Collection I, Tbilissi 1999 ; p.312

(2) Elever et éduquer les enfants sont un droit naturel des parents et une obligation qui leur échoit en priorité. La communauté étatique veille sur la manière dont ils s'acquittent de ces tâches...

(4) Toute mère a droit à la protection et à l'assistance de la communauté. «²⁷

La quatrième partie du septième article établit impérativement concept d'état social :

« Le droit de fonder des écoles privées est garanti. Les écoles privées qui se substituent aux écoles publiques doivent être agréées par l'État et sont soumises aux lois des Länder. L'agrément doit être délivré lorsque les écoles privées ne sont pas d'un niveau inférieur aux écoles publiques quant à leurs programmes, leurs installations et la formation scientifique de leur personnel enseignant, ni ne favorisent une ségrégation des élèves fondée sur la fortune des parents. L'agrément doit être refusé si la situation économique et juridique du personnel enseignant n'est pas suffisamment assurée. «²⁸

En découlant de tout susmentionné on constate la réflexion de la même doctrine politico-juridique dans les constitutions des pays ayant régimes politiques différents de l'un aux autres. La régularité d'énonciation de la même doctrine politico-juridique est liée avec le développement des forces productives et aussi de développement des droits fondamentaux, lesquels ont provoqué la formation du capitalisme de la prospérité générale, ou autrement dit : la doctrine socio – politique comme la victoire de l'idée dans le système économiques développés et sous – développés.

Les quatre droits humains fondamentaux suivants: Droit de propriété, droit de la dignité humaine, droit d'égalité et liberté d'expression représentent la base juridique de toute idéologie politique étant en vigueur dans des Etats démocratiques, ce qui conduit à leur similitude de contenu. En conséquence, nous sommes persuadés dans la véracité du sens de la théorie de convergence, ce qui implique la synthèse du capitalisme et du socialisme. Cette véracité de la théorie de convergence est déterminée par le développement scientifique et technologique, les communications, l'industrialisation et l'urbanisation de haut niveau. Selon la théorie de convergence : „ dans la société se dirige ni les travailleurs ni les entrepreneurs, mais ces sont des gestionnaires – gouverneurs, créateurs de nouvelle couche sociale. Cette dernière a été créée à la suite des grandes réussites scientifiques et technologiques et le développement des communications de haute technologie. Dans les grandes entreprises, le gouvernement est transféré des propriétaires de capitaux vers les gouverneurs fonctionnels. La classe moyenne croît au détriment des pauvres et des riches" ²⁹

Le nombre de sociétés transnationales et l'augmentation de leur influence restreignent considérablement le pouvoir de l'État. Bilan de puissance et le principe de l'égalité des droits sociaux de l'homme par l'Etat seront utilisés comme un mécanisme juridique de dissuasion, qui est institutionnalisé dans différents sphères de l'administration du gouvernement et du pouvoir.

À notre avis, le processus de convergence et l'Etat socio-juridique avec sa société civile autorégulée être énoncé dans les constitutions des différents pays se présente comme la conséquence de la mondialisation. Economie internationale, financière, éducative et système de sécurité facilite l'approchement et même, l'unification des êtres humains et des Nations, la formation du marché de travail commun et la sollicitude commune pour résoudre les problèmes généraux, lesquels renforcent consécutivement les liens parmi les cultures étrangères à la base des signes communs.

²⁷ https://www.bundestag.de/blob/189762/f0568757877611b2e434039d29a1a822/loi_fondamentale-data.pdf

²⁸ https://www.bundestag.de/blob/189762/f0568757877611b2e434039d29a1a822/loi_fondamentale-data.pdf

p.20

²⁹ Metreveli Valerian, Davitashvili Giorgi, Histoire des doctrines politiques et juridiques, Tbilissi, 1999 , p. 415

En découlant de tout susdit on peut affirmer, que la mondialisation et le processus convergence ont fait perdre l'importance les doctrines nationales et aussi des autres idéologies politiques, comme dans les Etats différenciés, ainsi que au niveau international, car les défis sociales, économiques et politico-militaires sont identiques pour les pays démocratiques différenciés.

L'idée de la fin de l'idéologie est devenue populaire dans les années 50-60 du 20-ème siècle. La déclaration la plus influente pour soutenir cette position appartenait à Daniel Bell. Selon lui, la politique occidentale a été caractérisée par l'absence d'un débat politique et la confrontation idéologique entre les principaux partis politiques, lesquelles ont déterminé la formation un large consensus entre les principaux partis politiques. Le seul objet de litige entre les parties peut exister par rapport d'une croissance économique plus fiable et une politique économique apportant la prospérité générale. En conséquence, l'économie a battu la politique, la politique a été réduite à des questions techniques ; „comment faire pour atteindre de prospérité matérielle. La politique a abandonné la tendance de résoudre les questions morales et philosophiques par rapport de la société modèle et morale.

L'idéologie a perdu l'importance dans tous les sens. A cet égard Andrew HEYWOOD énonce, que le processus attirant une attention de bel n'ont pas été „la fin d' idéologie“ autant que le développement du consensus idéologique et donc, consécutivement la suspension de discussion idéologique .

Après la deuxième guerre mondiale, les représentants des trois grandes idéologies occidentales (le libéralisme, le socialisme et le conservatisme) ont formé comme l'objectif commun à atteindre un système économique - „capitalisme géré“. Pourtant, cet objectif est de nature idéologique, - il dépeint une forte croyance dans l'économie de marché, la propriété privée et les incitations financières nécessaires pour contrebalancer l'effet de la protection sociale et de l'intervention économique. En fin de compte, l'idéologie du „capitalisme du bien-être universel“ ou de la „démocratie sociale“ surpasse les rivaux³⁰

L'énonciation des théories de l'Etat social, de l'Etat juridique et du contrat public dans la législation principal des pays ayant les différents formes juridiques et system de droit pourrait être considérée comme la conséquence du processus de convergence et de la mondialisation. Les droits fondamentaux ont devenu les valeurs universelles avec les principes des théories de l'Etat socio – juridique et démocratique. Le droit de l'égalité, le droit de la dignité et les droits sociaux ont été reconnus au point de faisant figure de dénominateur commun aux sources doctrinales et normatives. Il a été reconnu également un lien très étroit parmi ces droits d'homme, ainsi que, la leur indéterminable.

Le plus profond processus de convergence a lieu par rapport aux organes inférieurs de l'autorité. En particulier, le développement du système municipal est soutenu par le droit d'autonomie personnelle et les droits naturels de la communauté libre. „...la matérialisation constitutionnelle de l' idée d'autonomie locale, c' est à - dire la première reconnaissance de sa naissance légale organisationnelle, a été formalisé à la fin du XVIII siècle dans la constitution . le principe d'aménagement territorial du point de vu d'administratif a été reconnu au niveau constitutionnel par la constitution de la première République française de 1791 an, or, au bord de XIX siècle par la réforme réalisée a été établi le system des organes de pouvoir local³¹

³⁰ Heywood Andrew, idéologies politiques, cours d'introduction, 3e édition, Tbilissi, 2005,p .369-370

³¹ Melqadze otar, municipalism georgien, tbilissi 2009,p.9,10.

L'idée et le concept de municipalisme au point de vue qualitatif et fonctionnel était énoncé initialement à la Constitution de Belgique de 1831, qui fut d'abord reconnue le pouvoir local comme quatrième branche, indépendant des pouvoirs d'Etat. En outre, il convient de noter, que la constitution a mis le principe de la division des pouvoirs comme le fondement aux formes juridiques de l'Etat. Dans cet Etat unitaire, la distribution du pouvoir dans la verticale de gouvernance d'Etat a été faite à trois niveaux : le niveau d'Etat, le niveau provincial, et le niveau communal... et dans la constitution d'Idalgo l'Etat fédéral du Mexique, le système des organes municipaux sont reconnus formellement comme le quatrième branche du pouvoir de l'Etat." ³²

Ainsi, par la constitution de la Belgique en 1831 et de l'Etat fédéral mexicain nommé Idalgo, le système des organes municipaux est considéré comme la quatrième autorité engendrée indépendamment des pouvoirs : législatifs, exécutif et judiciaire. La base légale de son existence et de son fonctionnement est la distribution du pouvoir d'Etat... Plus précisément c'est sur le fondement des principes universels suivants :

1. La déconcentration (cette technique peut se définir comme une modalité ou un relais de la centralisation ; une redistribution territoriale du pouvoir étatique)
2. La décentralisation (local gouvernement ou self gouvernement désignant un système par lequel les décisions sont prises par les habitants de l'entité locale au mieux de leurs intérêts, la décentralisation signifie littéralement auto administration)
3. La subsidiarité (l'exercice de l'autorité de l'Etat, ainsi que l'autorité locale est le plus proche des citoyens)

Nous partageons les postulats énoncés dans les constitutions de la Belgique et d'Idalgo concernant les organes municipaux, présenté comme le quatrième pouvoir. Car, les organes représentatifs de pouvoir local sont formés directement avec la participation de l'électorat et même le chef de l'organe exécutif de l'autorité locale est élu très souvent directement par les électeurs. En règle générale, aucun maire élu ou organe représentatif ne peut être démis des fonctions et aussi les organes représentatifs municipaux ne peuvent pas être dissolubles par de tout haut fonctionnaire politique dans les régimes démocratiques.

Le maire élu et l'organe représentatif du pouvoir local sont responsables devant leurs propres électeurs, ce qui indique leur autonomie. Les organes du Pouvoir local sont autonomes parce qu'ils disposent d'un budget indépendant du budget central, qui est principalement créé par les taxes et redevances locales.

L'établissement du statut juridique d'un Pouvoir local au niveau constitutionnel indique sa signification fonctionnelle dans le système du pouvoir d'Etat et son autonomie peut être considérée comme un levier d'équilibre pour le reste des pouvoirs. Le système des organismes locaux à deux niveaux ou plus, limite intégralement le pouvoir central de l'Etat, cela favorise une protection efficace des droits fondamentaux.

En résultant de tout susdit et l'issue de la réalité moderne c'est possible à dire, que le système des organes municipaux doté d'une autonomie adéquate est quatrième pouvoir indépendant des autres pouvoirs, en sa substance et en toutes acceptations, qui se forme également ayant le but de restreindre le pouvoir d'Etat.

Le droit de l'autonomie individuelles et la liberté du développement de l'individu se basent sur le droit de la dignité humaine, et aussi sur la liberté d'action universelle. En outre, la première ligne

³² Melqadze otar, municipalism georgien, tbilissi 2009,p.38

du Préambule de la Déclaration universelle de droits de l'homme de l'ONU stipule : "Considérant que la reconnaissance de la dignité inhérente à tous les membres de la famille humaine et de leurs droits égaux et inaliénables constitue le fondement de la liberté, de la justice et de la paix dans le monde " C'est-à-dire le droit de la dignité humaine est considéré comme le fondement de la justice et de la paix dans le monde. Il faut souligner la circonstance suivant, le droit de l'autonomie individuelle ne peut qu'appliquer seulement à la base du droit de la dignité humaine.

Le droit de l'autonomie gouvernementale est directement lié à la base de sa réalisation qui sont les droit civils (droit politique) de l'homme et le droit à la personnalité libre. C'est pourquoi la personne digne est considérée comme une base pour la légitimité d'un état démocratique (voir Constantine Koublachvili, Droit fondamentaux, Tbilissi 2003, p.322.) En d'autres termes, L'Etat démocratique moderne est impossible sans un être humain autonome et les organes d'auto-gouvernance (municipaux). Alors que, l'unité des personnes autonomes crée une société autonome, ce qui s'appelle la société civile. Le concept de société civile est universel et il également acceptable (au moins formellement) pour tout état, qui a une revendication sur la gouvernance démocratique.

L'union fondamentale du droit d'autonomie individuelle avec les autres droits fondamentaux naturels a conditionné son universalité, et cet Union a déterminé le statut juridique d'autogouvernement local (le system municipal) au niveau constitutionnel, parce que le system municipal a été fondé comme la possibilité et le moyen de la réalisation de droit fondamentaux. En autre, comme nous l'avons déjà mentionné, le système des communautés libres (municipal) avec la constitution et droits d'homme est devenu un levier de la contrebalance pour le pouvoir central de l'Etat. De ce point de vue il est intéressant la théorie du sujet libre, développée par des scientifiques allemands à la base juridique française et belge, c'est-à-dire, comme on l'appelle souvent – la théorie de la nature de la communauté. Les base conceptuelles de cette théorie ont construit au fait qu'au début XIX siècle, les affaires et les biens communaux étaient administrés par les fonctionnaires du gouvernement du pays. En effet, ces circonstances ont provoqués un déclin complet de l'agriculture communale. A propos cela, il était nécessaire de donner un raisonnement scientifique de restreindre l'intervention du centre bureaucratique dans l'activité économique. C'est par cela ont été formé dans la théorie de la nature de la communauté, le principe électoral des organes représentatifs du pouvoir local ; la répartition des affaires soumises à la tache de la communauté en tant que cas distinct ; l'autonomie locale signifie la gestion des affaires communautaires ; les organes d'autorité locale représentent les organes des communautés elles-mêmes, et non les organes de l'Etat ; les autorités de l'Etat n'ont pas le droit d'interférer avec la compétence, seulement ils supervisent leurs activités, pour que ça ne dépasse pas sa compétence.³³

En découlant de la théorie de communauté libre, l'Etat n'a pas du droit de restreindre le fonctionnement les organes de l'autorité local dans les aspects des droits naturels de communauté. Dans notre conviction la plus profonde, les droits de l'homme sont la base de la nature de la communauté, ils sont très étroitement liés entre eux et ont un objectif commun, ce qu'on appelle la restriction juridique du pouvoir de l'État. L'auto - gouvernance est un droit naturel de l'homme non seulement sous l'angle de théorique, mais aussi du point de vu pratique, en particulier - au Royaume-Uni . Le suffrage actif et passif sont accessibles pour les autres ressortissants des Etats de l'Union Européenne, à l'égalité de conditions avec les citoyens britanniques.³⁴

³³ Melkadze, Z. Ezugbaia, droit municipal, Tbilissi 2002 P. 42

³⁴ O. Melkadze, Loi constitutionnelle des pays Vartararatri, Collection I, Tbilissi 1999 P. 103

L'Institut de la citoyenneté et, en général, le processus politique séparent progressivement le fonctionnement des organes municipaux, ce qui est dû au développement de nouvelles tendances dans le municipalisme. Nous entendons le remplacement de la collectivité des consommateurs : "Le développement réussi du système municipal dans les pays scandinaves a conduit à une série d'expériences. Les résultats de la formation des "communes libres" sont devenus très populaires, certaines des municipalités étant l'expérimentation de la perfection de l'organisation de gestion municipale. La mise en œuvre du projet expérimental a été financée par des subventions de l'État en raison de la nouvelle législation. La qualité de l'autonomie des organes municipaux s'est accrue et les municipalités se sont rapprochées de la population locale, la formation juridique des expériences similaires a déterminé le remplacement de "la collectivité Suède. Il a été conclu, que la population est "une collectivité des consommateurs", dont les relations avec les organismes municipaux se limitent à l'approvisionnement et à la consommation de services. Dans ce cas, la population locale n'est plus une source du pouvoir, mais elle est devenue consommatrice de service municipal, tandis que les organes municipaux perdent leur fonction politique et gouvernementale et servent d'organiseurs, de coordinateurs ou de fournisseurs dans les relations avec la population. ³⁵

Nous partageons l'hypothèse ci-dessus, que la source du pouvoir - les gens sont devenus un consommateur du pouvoir et pourquoi ?! Non seulement, les gens ne peuvent pas aller au bureau de vote le jour du scrutin, mais aussi ne seront pas intéressés par le processus politique qui se déroule dans leur pays, mais ces gens paient ces impôts payés, les fonctionnaires perçoivent des salaires et, par conséquent, une personne politiquement indifférente a le droit de recevoir des services publics ou municipaux. Peu importe s'il a exercé ses droits électoraux actifs ou passifs, une telle personne ne peut être considérée logiquement comme une source du pouvoir, mais c'est sans aucun doute, il est "un consommateur du pouvoir".

La tendance à la séparation des éléments politiques du système municipal est également visible aux États-Unis. Nous considérons le système du "conseil-manager", lequel est utilisé dans les villes où le nombre des habitants est 25 à 30 mille. Ce système est réalisé dans plus de la moitié des villes des États-Unis. Pour la première fois, il a été appliqué en 1908 dans la ville de Stanton, en l'état Virginia, lorsque le poste de "manager-général" a été introduit. La raison de ceci était la difficulté croissante de problèmes urbains, qui exigeaient les connaissances et les compétences des gestionnaires scientifiques de gestion. Les personnes élues n'ont pas souvent ces compétences. En conséquence un grand parti du pouvoir exécutif a été donné à un "manager" de la ville plus qualifié et expérimenté. La population choisit le conseil municipal, dont les sessions sont présidées par le maire, lequel est choisi par le conseil municipal et il représente le pouvoir exécutif. Le conseil municipal adopte des résolutions et élabore des politiques. Le manager est élu par le conseil municipal, ce qui est confié à l'autorité exécutive. Dans ce cas, le "manager" (gestionnaire) est dans le rôle d'une personne embauchée. Le manager détermine les activités du conseil municipal, détermine le budget de la ville, nomme les fonctionnaires et dirige leurs activités, est responsable devant le Conseil et peut être révoqué à tout moment. Le manager est élu pour une longue période jusqu'à ce que son travail réponde aux intérêts du conseil. " ³⁶

Ainsi, dans les démocraties modernes l'identification des notions et des statuts constitutionnels, une large autonomie du système municipal et en même temps, la libération progressive de l'idéologie

³⁵ O. Melkadze, Z.Ezugbaia, droit municipal, Tbilissi 2002 P. 161

³⁶ O. Melkadze, Droit constitutionnel des pays étrangers, Collection I, Tbilissi 1999 P. 46

politique des municipalités, la compréhension et l'acceptation de l'auto-gouvernance de l'un des droits fondamentaux de l'être humain au niveau théorique et législatif (Equipé du droit de vote passif ou actif des non citoyens britanniques pour fonder un organisme municipal au Royaume-Uni.) Le municipalisme moderne basé sur le concept de la communauté libre ou les personnes ne sont plus considérées comme une source du pouvoir, mais comme les consommatrices du pouvoir basé sur l'exemple des systèmes municipaux danois, suédois et américains. En plus, de gérer les structures d'autogestion locale par les personnes non politisée et ayant des traits de compétence et de gestion (le système du conseil-manager). Touts les mentionnés ci-dessus indiquent sur la vérité de la théorie de convergence et sur le réalisme pragmatique dans les systèmes politico-juridiques modernes. Il devrait également souligner le fait, que le processus de convergence a contenu non seulement des droits fondamentaux et les idéologies politico-juridiques, mais aussi les fondements juridiques pour former l'Etat démocratique, Parce que, le système unitaire et fédéral moderne a des nombreuses caractéristiques communes. Car, l'autogestion développée et en général la division du pouvoir d'Etat sur la base verticale réalisant le principe de la subsidiarité assure la modification du système unitaire centralisé en termes de ressemblance juridiques avec le système fédéral.

La classification des États selon les formes de gouvernance est très conditionnelle au constitutionnalisme contemporain, car il y a une importance substantielle de la division du pouvoir d'Etat, du principe de l' équilibre des pouvoirs, du principe de l' alternance et la continuité des pouvoirs, qui procèdent réellement et efficacement dans les systèmes politico-juridiques des différents pays.

Les extractions des constitutions de divers pays et les théories examinées ci – dessus nous ont assuré, que la constitution et l' idéologie politico-juridique de l' Etat démocratique ne peuvent pas passer à côté des droits fondamentaux, lesquels sont devenus eux mêmes comme l' idéologie politique. Les idéologies classiques ne peut rivaliser avec lui et perdent leur pertinence avec le développement des technologies modernes. Le processus de convergence se reflète dans les normes constitutionnelles qui créent un régime politique plus au moins commun et une formation socio – économique pour tous les pays démocratiques.

Sur la base de tout ce qui précède, nous pouvons formuler et offrir aux lecteurs les thèses suivantes pour juger:

- Le peuple ne sera plus la source du pouvoir, il est déjà ou il va devenir le consommateur du pouvoir. Les gens perdent l'importance du phénomène politique en faveur du phénomène économique;

- Le rôle et l'importance des leaders nationaux et des idéologies nationales seront réduit encore plus dans la formation d' une plate – forme d'idéologie politique d' Etat;

- Le nombre de sociétés transnationales et l'augmentation de leur influence restreignent considérablement le pouvoir d' État. Selon, le principe de l'équilibre et des forces et même, en fonction des fois de la nature les droits fondamentaux peuvent être utilisés comme un moyen restrictif envers les sociétés transnationales pour maintenir l'autorité par le gouvernement de l'État.

- L'autogestion locale formé comme le quatrième pouvoir fera tout pour maintenir son autorité d'attire des investissements et des intellectuels à fin de développer des hautes technologies, par lesquels sera simplifié de la restriction du pouvoir central maintenu par des autres groupes d'intellectuels.

- Pour arriver au pouvoir, des associations humaines seront établies non sur la base d'idéologies et d'idées politiques classiques et scientifiques innovantes ;

- Les associations scientifiques seront créées en grandes quantités ayant les buts économiques et pour atteindre au pouvoir.

- le processus de développement technologique réduira certainement les emplois, mais un grand nombre de chômeurs seront informés et socialement actifs sur internet et sur les réseaux sociaux, ce qui leur permettra d'être des censeurs compétents et de jouer un rôle important dans l'équilibre des instances gouvernementales.

- Internet, les réseaux sociaux et les sources de toute information électronique ne peuvent pas fonctionner sans la liberté d'expression. Par conséquent, à cet égard, le progrès technologique ne peut pas empêcher la réalisation des droits fondamentaux. Il convient également de souligner que le but principal des droits d'homme est la restriction du pouvoir d'Etat et la protection des droits d'homme est le moyen d'atteindre cet objectif.

- Avec les droits fondamentaux, à travers l'internet et les réseaux sociaux, les individus pourront élargir convenablement leur volonté, leurs connaissances et leurs compétences pour influencer l'opinion publique et même contrebalancer le pouvoir municipal et central.

Ainsi, nous pensons, que le processus de convergence doit être accepté comme la réalité à la fois au niveau public et à l'échelle législative. Ce qui faciliterait la mise en conformité du système politique et juridique du pays avec les réalités existantes et la période de transition rapide. Pour ce faire, nous pensons que la gouvernance devrait être exempte d'une idéologie politique excessive, conduire des politiques éducatives et socio-économiques correctes pendant la période de transition pour éviter une crise du système de valeurs et morale. Avec le soutien puissant de l'Etat aux sciences et progrès techniques, devrait être encouragée la formation des couches sociales des gestionnaires. Ce qui permettra de passer rapidement la période de transition du système de valeur obsolète au nouveau système des valeurs. Après tout, nous aurons logiquement une société civile hautement développée et autorégulée.

Bibliographie :

1. La Constitution de la Géorgie du 24 août 1995;
2. Melkadze Otar, Constitutionnalisme, Tbilissi 2008
3. Gogiashvili Giorgi, Droit constitutionnel comparé, Tbilissi 2014
4. Kublashvili Constantine, Droits fondamentaux, Tbilissi, 2003
5. Melkadze Otar, Loi constitutionnelle des pays étrangers, Collection I, Tbilissi 1999
6. Caractéristiques comparatives de Freudonashvili des formes de Kartlos, États-Unis et de l'État français, Journal "Law and Economics". N°4, 2013
7. Metreveli Valerian, Davitashvili Giorgi, Histoire des doctrines politiques et juridiques, Tbilissi, 1999
8. Heywood Andrew, idéologies politiques, cours d'introduction, 3e édition, Tbilissi, 2005
9. Constitutions des pays étrangers, chef du groupe de la concurrence et rédacteur en chef, Vasil Gonashvili, première partie, Tbilissi, 2008
10. Constitutions des pays étrangers, chef du groupe de la concurrence et éditeur responsable, Vasil Gonashvili, partie II, Tbilissi, 2008
11. Lovo Phillip, Modern Great Democrats, Institut de polygraphie de l'Académie géorgienne des sciences, 2002
12. Shayo Andrach, autodéfinition du gouvernement, introduction au constitutionnalisme, Tbilissi 2003
13. Thomas M. Maghaltat, apprendre la politique, les idées, les institutions et les problèmes, Ilia State University Press, Tbilissi, 2010
14. Jean GICQUEZ ; Jean – Eric GICQUEZ, Droit Constitutionnel et Institutions Polititiques, 29-e édition ; LGDJ, Lexteso éditions, 2015 an .
15. Crouzatier – Durand Florence ; fiches de liberté publiques et droit fondamentaux . Ellipses édition marketing S.A. 2017 an.

რეზიუმე

წარმოდგენილ პუბლიკაციაში ავტორი გამოთქვამს მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც, საკუთრების უფლება, ღირსების უფლება, თანასწორობის უფლებები და სიტყვის თავისუფლება სოციალურ-სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფციასთან ერთად გახდნენ ნებისმიერი კლასიკური პოლიტიკური იდეოლოგიის საფუძვლები და მათ პირველადი რელევანტურობა დააკარგვინა თანამედროვე პოლიტიკურ პროცესში.

პუბლიკაციაში აგრეთვე, მოცემულია მსჯელობა თვითმმართველობის კონსტიტუციურ სტატუსთან დაკავშირებით, სხვადასხვა ქვეყნის მაგალითებზე დაყრდნობით და ჩამოყალიბებულია მოსაზრება, რომ განვითარებული თვითმმართველობა იქცა მეოთხე ხელისუფლებად და ხალხი ხელისუფლების წყაროს ნაცვლად, განიხილება ხელისუფლების მომხმარებლად და რომ, ხალხი თანდათანობით კარგავს პოლიტიკური ფენომენის მნიშვნელობას ეკონომიკური ფენომენის სასარგებლოდ.

ყოველივე ზემოაღნიშნულს ავტორი უკავშირებს კონვერგენციის თეორიას და მიიჩნევს, რომ კონვერგენციის პროცესმა მოიცვა არა მხოლოდ ღირებულებითი სისტემები, არამედ - ქვეყნების ტერიტორიული მოწყობისა და მმართველობის ფორმებიც.

პუბლიკაციის დასასრულს, ავტორი ცდილობს წარმოადგინოს კონვერგენციის პროცესის მოსალოდნელი შედეგები და მასთან დაკავშირებული პრობლემატიკის რეგულირებისა და გადაწყვეტის გზებიც დასახოს.

Processus de Convergence dans les Systèmes Politico – Juridiques Contemporains

Kartlos Pridonashvili

Résumé

L'auteur exprime l'opinion dans la publication présentée, que le droit de propriété, le droit de la dignité et la liberté d'expression, avec le concept de l'Etat socio-judicaire ont devenu les bases de toute idéologie politique classique. En fin de compte, on peut dire, que ces idéologies politiques classiques ont perdu leur pertinence dans le processus politique moderne.

La publication fournit également une discussion sur le statut constitutionnel du municipalisme, basée sur les exemples de différents pays où l'idée est la transformation du système municipal en quatrième pouvoir et, aussi le peuple devient consommateur du pouvoir à la place de source du pouvoir. Le peuple perd consécutivement le sens du phénomène politique contre le sens du phénomène économique.

Tout ce qui est mentionné ci-dessus, de l'avis de l'auteur, est lié à la théorie de la convergence. L'auteur estime que le processus de convergence a inclus non seulement des systèmes des valeurs politiques et sociales, mais aussi – les formes juridiques de l'Etat et les régimes politiques d'Etat.

A la fin de la publication, l'auteur cherche à présenter les résultats attendus de la convergence et les moyens de réguler et de résoudre les problèmes qui y sont liés.

Process of convergence in political and Legal Systems
Contemporary

Kartlos Pridonashvili

Summary

In the publication the author expresses the opinion that the right of property, the right of dignity and freedom of expression, also the concept of the socio-judicial government have become the basis of any classical political ideology. In the end, it can be said that these classic political ideologies have lost their relevance in the modern political process.

The publication also provides a discussion on the constitutional status of municipalism, based on examples from different countries and suggests the idea about transformation of the municipal system into a fourth power and as a result people become the consumers of power instead of the source of power. People are losing the meaning of political phenomenon and are transferring into economic phenomenon.

According to the author all the above mentioned arguments are related to the theory of convergence and the process of convergence has influenced not only systems of values, but also - the administrative- territorial system of the state and forms of government.

At the end of the publication, the author seeks to present the expecting results of convergence and find the ways of regulating and solving problems concerning this issue.

გასტროტურიზმის მნიშვნელობა რეგიონული ტურიზმის ბრენდინგში

ანა მაზმიშვილი - ტურიზმის მენეჯმენტის მაგისტრი

რეგიონების განვითარების პრობლემა ზოგადად ქვეყნის განვითარების პრობლემაა. ტურიზმი საქართველოში დღესდღეობით ერთერთი ყველაზე აქტუალური, მომგებიანი და პოპულარული ბიზნესის სფეროა, რომელსაც ქვეყნის ეკონომიკაში დიდი წვლილი შეაქვს.

ადგილმდებარეობის ანუ რეგიონის ბრენდინგი ახალი ინვესტიციებისა და მომხმარებლის მოზიდვის ერთერთი საუკეთესო ხერხია, ამიტომ სანამ ბრენდინგს დავიწყებთ, საჭიროა თვითონ რეგიონის „როგორც „პროდუქტის“ განხივლა და მისი მიზნობრივი აუდიტორიის, რეგიონის მახასიათებლების, ტრადიციების, სამზარეულოს და ა.შ გათვალისწინება.

რადგანაც ბრენდის შექმნა ამომავალი წერტილი ხდება ქვეყნის, ქალაქისა თუ რეგიონისათვის, აუცილებელია სწორად განვსაზღვროთ ჩვენი პრიორიტეტები და ღირებულებები, რათა შევქმნათ რეგიონის წარმატებული და ძლიერი ბრენდი.

გასტროტურიზმი დღესდღეობით ტურიზმის ერთერთი მნიშვნელოვანი და წამყვანი სფეროა, ამ მხრივ ტურისტების ინტერესი ყოველწლიურად იზრდება.

გასტროტურიზმის განსაკუთრებულობა და მნიშვნელობა საქართველოსთვის მდგომარეობს ქართული სამზარეულოს განსხვავებულობასა და უნიკალურობაში მისი კუთხეების მიხედვით.

ანალიტიკური სააგენტო **TypStat**-ის მონაცემების თანახმად, დსთ-ის ქვეყნებისა და ახლო აღმოსავლეთის ტურისტებში გასტრონომიული ტურიზმის ყველაზე პოპულარულ მიმართულებებში საქართველო პირველ ადგილზეა.

აღსანიშნავი ფაქტია ისიც, რომ 2017 წელს საქართველო აღმოჩნდა ევროპის იმ ქვეყნების რიცხვში, რომელთაც ყველაზე გემრიელი სამზარეულო აქვთ. რეიტინგი შედგენილი იქნა ამერიკული ცნობილი ჟურნალის „**Thrillist**“- ის მიერ ჩატარებული გამოკვლევების მიხედვით. (ჟურნალი Thrillist, როგორც ცნობილია, სპეციალიზირებულია სხვადასხვა ქვეყნის კერძებზე, სასმელებზე, მოგზაურობასა და გართობაზე.)

ჩემი აზრით ძალიან მნიშვნელოვანია რეგიონული ტურიზმის განვითარება გასტრონომიული კუთხით, ვინაიდან რეგიონული ტურიზმი ჩვენს ქვეყანაში ნაკლებადაა ათვისებული და განვითარებული, ვფიქრობ კულინარიული მიმართულება ის დიდი უპირატესობაა ჩვენი ქვეყნისა, რაც სწორად უნდა იქნეს გამოყენებული, რეგიონების ბრენდინგი გასტრონომიული კუთხით, ვფიქრობ ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვან როლს ითამაშებს რეგიონული იმიჯის ჩამოყალიბებაში, რადგანაც საქართველოს აქვს ყველა ის საჭირო რესურსი და უპირატესობა, რომ მოხდეს რეგიონული (კუთხური) კულინარიის პოპულარიზაცია სწორედ ამ მიმართულებით.


გარდა ამისა ჩვენი ქვეყნის ტრადიციული სამზარეულო ძალიან მრავალფეროვანი და უნიკალურია, ამასთან თითოეული რეგიონის კულინარია განსხვავებულია და გამოირჩევა როგორც გემური, ისე ვიზუალური მხარე.

საგრძნობი განსხვავებაა ქვეყნის რეგიონულ სამზარეულოებს შორის. აღმოსავლეთ საქართველოში ხორცის, ღვინის, პურეულისა და ცხოველური ცხიმების სიჭარბე

შეინიშნება, დასავლეთ საქართველოს სამხარეულო კი ნიგვზითა და წიწაკით შეზავებული საწებლების, მხალეულისა და რძის პროდუქტების კერძებით გამოირჩევა.

აღსანიშნავი ფაქტია ისიც რომ საქართველო ღვინის სამშობლოა, ქართული ღვინო ისტორიით ერთერთი უძველესია ევროპაში. დღეისთვის ნაპოვნი ყველაზე ადრეული ნიშნები მევენახეობასა და ღვინისწარმოებაზე მიუთითებს, საქ-ში ღვინის კულტურა დაახლოებით 7000 წელს ითვლის, რაც მას ღვინის სამშობლოს სტატუსს ანიჭებს.

ეს ყველაფერი კი ნამდვილად გვაძლევს საშუალებას სწორი ბრენდინგის მემშვეობით რეგიონული ტურიზმი განვავითაროთ სწორედ კულინარიული, გასტრონომიული მიმართულებით, რადგან ასეთ ტურები სეზონური არ არის და მასზე მოთხოვნაც საკმაოდ მაღალია ტურისტების მხრიდან, რასაც ადასტურებს ტურიზმის ადმინისტრაციის მიერ ბოლო წლებში ჩატარებული საერთაშორისო ვიზიტორთა კვლევის ანგარიშები. ქვემოთ მოყვანილი ცხრილში ნაჩვენებია ის პოპულარული აქტივობები, რომლებსაც ტურისტები საქართველოში ვიზიტის დროს ყველაზე ხშირად ახორციელებენ:



წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია (შენიშვნა: მონაცემთა ჯამი აღემატება 100%-ს, რადგან დასაშვებია იყო ერთზე მეტი პასუხი)

როგორც კვლევამ გვაჩვენა ტურისტებში დიდი პოპულარობით სარგებლობს ქართული სამხარეულოსა და ღვინის ინტერესი და მიზნობრივ აქტივობებში ის პირველ ადგილზეა.

ასევე ძალიან საინტერესო სტატისტიკაა ბოლო სამი წლის განმავლობაში ტურისტთა მიერ კვებაზე გაწეული ხარჯები, რომლებიც ყველა დანარჩენ მიზნობრივ ხარჯზე მეტია და დანახარჯთა სტრუქტურაში კვლავ პირველი ადგილი უჭირავს.

ცხრილში მოცემულია ვიზიტორთა მიერ გაწეული დანახარჯები კვებასა და სასმელზე:

დანახარჯების კომპონენტები	ჯამში ყველა ვიზიტორის მიერ გაწეული ტურისტული ხარჯი	წილი მთლიან დანახარჯში
საკვები და სასმელი (2016წ)	1,050,627,643	24%
საკვები და სასმელი (2017წ)	1,476,534,454	26%
საკვები და სასმელი (2018 წლის I კვარტ)	413, 299	29.6%

წყარო: ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია (კვლევები)

როგორც კვლევებიდან ჩანს ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში სულ უფრო იზრდება ტურისტთა მოთხოვნის პროცენტული წილი მთლიან დანახარჯებში ქართული სამზარეულოსა და ღვინის დაგემოვნებაზე, ასეთი ტიპის ტურისტები პირველ რიგში ქვეყნის გასტრონომიული მიმართულებით გაცნობის სურვილით ჩამოდიან, რადგან გასტროტურისტების მთავარი მიზანი და მოტივაცია სწორედ ქვეყნის სამზარეულოს, რესტორნების, ვენახების, ლუდსახარშების, ყველის, ზღვის პროდუქტების კულტურის დათვალიერება და დაგემოვნებაა.

აღნიშნულ ცხრილში არსებული ციფრები კი მიგვითითებს იმაზე, რომ საქართველოს გააჩნია დიდი უპირატესობა და პოტენციური გასტრონომიული კუთხით, ამიტომ ვფიქრობ ძალიან მნიშვნელოვანია რეგიონული ბრენდინგი ამ კონკრეტული მიმართულების საშუალებით.

მიუხედავად დიდი პოტენციალისა, რატომღაც ჩვენს ქვეყანაში არსებობს რიგი იმ პრობლემებისა, რაც ხშირ შემთხვევაში აფერხებს ან ხელს უშლის რეგიონული ტურიზმის განვითარებას, მაგალითად: არასწორი ბრენდინგი, არაპროფესიონალი კადრები, ინფორმაციის ნაკლებობა, პრიორიტეტების არასწორი განსაზღვრა რეგიონული ბრენდინგის დროს, სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობის არ არსებობა და ა.შ.

იმისათვის რომ შევქმნათ თითოეული რეგიონის ბრენდი, აუცილებელია მათი წარმოდგენა სწორედ იმ კონკრეტულ ჭრილში, სადაც გაცილებით მეტი უპირატესობა გვაქვს და საიდანაც შევძლებთ შევქმნათ რეგიონის წარმატებული ბრენდი ანუ ჩვენი ერთერთი დიდი უპირატესობა სწორედ გასტრონომიული მიმართულებით, კუთხური სამზარეულოს მრავალფეროვნებასა და უნიკალურობაში მდგომარეობს ა.გ აუცილებელია გავითვალისწინოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რის საფუძველზეც საქართველოს თითოეული კუთხის გასტრონომიული ბრენდინგი დიდ გავლენას მოახდენს ქვეყნის რეგიონული ტურიზმის განვითარებასა და პოპულარიზაციაზე:

1) **საიმიჯო ვიდეორგოლი** - ჩვენი ქვეყნის სამზარეულოსა და ქართული ქვეყრის ღვინის უპირატესობების წარმოსაჩენად, ვფიქრობ ძალიან საინტერესო და შთამბეჭდავი იქნება ვიდეორგოლი, სადაც აღწერილი და ნაჩვენები იქნება საქართველოს თითოეული რეგიონის სამზარეულო ულამაზეს ბუნებასთან ერთად, ასევე სასურველია თუ ვიდეოში იქნება ინფორმაცია კულინარიული მასტერკლასების შესახებ, რაც ვფიქრობ გაზრდის ინტერესსა და ცნობადობას ამ სფეროთი დაინტერესებულ გასტრონომიულ ტურისტებში.

2) **აქტიური პიარ და მარკეტინგული აქტივობები ამ მიმართულების განვითარებისათვის** - ძალიან მნიშვნელოვანია სწორი პიარ და მარკეტინგული ღონისძიებების გატარება ამ მიმართულების განვითარებისათვის, მნიშვნელოვანია წარმატებით მივიტანოთ ბრენდინგის აქტივობები მიზნობრივ სეგმენტამდე, რომ შემდგომში არ მოხდეს ინფორმაციის არასწორი გააზრება. მაგალითად ტელევიზიის, ინტერნეტ პორტალების, საინფორმაციო ცენტრების საშუალებით, ვებ-გვერდების აქტიური რეკლამირებით, Facebook-ის საშუალებით და ა.შ მეტი პოპულარიზაცია რეგიონების გასტრონომიულ ტურიზმზე.

3) **საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებზე რეგიონული ტურიზმის წარმოდგენა გასტრონომიულ ჭრილში** - ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი აქტივობა, რაც შეიძლება დავგვემოთ და განვახორციელოთ ეს სწორედ საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებში ჩვენი ქვეყნის კულინარიული მხარის გაცნობა და წარმოდგენაა. ასეთ გამოფენებში მონაწილეობის მიღება ძალიან მნიშვნელოვანი და აუცილებელია ქვეყნის იმიჯისა და

პოტენციალის წარსადგენად,რადგან ეს უკანასკნელი აამაღლებს ცნობადობას საერთაშორისო ტურისტებსა და ორგანიზაციებში,რომლებიც დაინტერესებულნი არიან გასტროტურიზმით. ტურიზმის ეს სახეობა უნდა იყოს წარდგენილი როგორც სპეციალიზებული,კონკრეტული სფერო რეგიონული ტურიზმის განვითარების ჭრილში.

4) გასტრონომიული მიმართულების ტურ-ოპერატორების არსებობა-

აუცილებელია როგორც ქვეყანაში,ისე რეგიონებში არსებობდეს ისეთი ტურ-ოპერატორები,რომლებიც სპეციალიზირებული იქნებიან გასტრონომიულ ტურებზე,რადგან ერთ დარგზე სპეციალიზაცია რა თქმა უნდა გამოიწვევს ხარისხისა და მომსახურების ამაღლებას და გაიზრდება ამ სფეროთი დაინტერესებული ტურისტების ლოიალურობაც.

ჩემი აზრით,აუცილებელია არსებობდეს ისეთი ტურ-ოპერატორები,რომლებიც მხოლოდ კულინარიული მიმართულებით დაგეგმავენ და განახორციელებენ მრავალფეროვან გასტრონომიულ ტურებს,უფრო საინტერესო იქნება თუ ასეთი ტურების შემადგენელი ნაწილი იქნება მასტერკლასების,კულინარიული გაკვეთილების,ღვინის დეგუსტაციის,ტრადიციული სამზარეულოს ისტორიის და ა.შ განხილვა.

5) სხვა ქვეყნების გამოცდილების გაზიარება- საქართველოსთვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია სხვა ქვეყნების გამოცდილების გაზიარება. გასტრონომიული მიმართულების პოპულარიზაციას რეგიონული ტურიზმის ბრენდინგში,ისევე,როგორც ტურიზმის ნებისმიერ სახეობას სჭირდება სწორი დაგეგმვა და ეფექტური მართვა,ა.გ ვფიქრობ, ჩვენი ქვეყნისათვის გადამწყვეტია სწორედ ამ სფეროში უკვე წარმატებული ქვეყნების გამოცდილების გაზიარება.

ჩემი აზრით ეს არა მარტო მნიშვნელოვანი,არამედ აუცილებელია,რადგან ეს არის სწორედ იმ პრობლემებისა თუ მოსალოდნელი შედეგების გააზრება გაანალიზება,რის წინაშეც შეიძლება დადგეს ქვეყანა რეგიონული ტურიზმის განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე.შესაბამისად თუ მაგალითად გვექნება სხვა ქვეყნის მიერ უკვე გავლილი წარმატებული ან თუნდაც წარუმატებელი გზა განვითარებისაკენ,შეცდომებისა და არასწორი გადაწყვეტილებების დაშვების ალბათობა რათქმაუნდა შემცირდება.სწორედ ამიტომ საქართველოსთვის ვფიქრობ მისაღები და ძალიან მნიშვნელოვანია ამ მხრივ სხვა ქვეყნების გამოცდილება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. დევაძე ა, გრძელიშვილი ნ, ,, ტურიზმი საქართველოში” თბ.2012
2. Anne –Mette Hjalager & Greg Richards “Tourism and Gastronomy” Publication year 2002, Place of publication London.
3. Lucy M. Long “Culinary Tourism” Publication year 2004 by University of Kentucky, Place of publication USA
4. Bill Baker-”Destination Branding for Small Cities”(Second Edition) , Creative Leap Book (2012)
5. Sheffield Hallam University Research “Aspects of sustainability in the destination branding process: a bottom-up approach”, Journal of Hospitality Marketing and Management,21 (7), 739-757.
6. Gregory Ashworth, Mihalis Kavaratzis; Journal of Brand Management- „Beyond the logo: Brand management for cities“, London: Jul/Aug 2009, Iss. 8; pg. 520.
7. College of Agriculture and Home Economics (New Mexico Chile Task Force, Report 21) - „Regional branding in a global marketplace“.
8. Nigel Morgan and Annette Pritchard University of Wales Institute, Cardiff Roger Pride Wales Tourist Board- “Destination Branding: Creating the Unique Destination Proposition”

გასტროტურიზმის მნიშვნელობა რეგიონული ტურიზმის ბრენდინგში
ანა მაზმიშვილი - ტურიზმის მენეჯმენტის მაგისტრი
რეზიუმე

ნაშრომში განხილულია გასტრონომიული ტურიზმის მნიშვნელობა და უპირატესობები რეგიონული ტურიზმის ბრენდინგში, მისი პერსპექტივები ამ კუთხით რეგიონული ტურიზმის განვითარებაში. ასევე განხილულია ის პრობლემები და რეკომენდაციები, რომლებიც ვფიქრობ ძალიან მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელია გასტროტურიზმის მეშვეობით რეგიონული ბრენდის შექმნასა და ჩამოყალიბებაში.

The importance of gastronomic tourism in regional tourism branding
Ana mazmishvili - Master of Tourism Management
Resume

The work deals with the importance of gastronomic tourism and advantages in regional tourism branding, Its perspectives in terms of the development of regional tourism. Also, the paper discusses the problems and recommendations that I think is very important and should be taken into consideration to create as a regional tourist brand through gastrotourism.

L'importance du tourisme gastronomique dans l'image de marque du tourisme régional
Ana mazmishvili - Master en gestion du tourisme
Résumé

Les travaux traitent de l'importance du tourisme gastronomique et des avantages de l'image de marque du tourisme régional, de ses perspectives en termes de développement du tourisme régional. Le document examine également les problèmes et les recommandations qui, à mon avis, sont très importants et devraient être pris en compte pour créer une marque touristique régionale par le biais du gastrotourisme.

კომუნიკაციის როლი ორგანიზაციის მართვასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში

კესო სუმბაძე
ივანე ჯავახიშვილის სახეობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

კომუნიკაცია არის ინფორმაციის გაცვლის პროცესი სიტყვების, აზრების და შეტყობინებების გადაცემის გზით, იგი არის ადამიანის თანდაყოლილი სოციალური ურთიერთქმედების უნარი, რომელიც როგორც მართვის ფუნქცია, მოიცავს ინფორმაციის გადაცემას, მის მიღებას და მიღებულ ინფორმაციაზე რეაგირებას Chichester W. & Frochot D. (2000). ინფორმაციის გავრცელება, გადაცემა და მიღება კომუნიკაციის ელემენტებია Cornelissen, J., (2002). ინფორმაცია მოთავსებულია კომუნიკაციის ცენტრში, მისი სწორი მართვა მენეჯერს შესაძლებლობას აძლევს, შეფერხების გარეშე, მიიტანოს ნებისმიერი შეტყობინება ადრესატამდე Cazeneuve J. (2016). კომუნიკაცია განაპირობებს ორგანიზაციის სიცოცხლეს, ის არის მნიშვნელოვანი პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის გავრცელებას მთელ ორგანიზაციაში Nelson., B & Economy., P (2005).

მენეჯერმა, სიტუაციის გართულებისას, აუცილებლად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. გადაწყვეტილება არის არსებული ალტერნატივებიდან ერთ-ერთის აუცილებლად არჩევის ვალდებულება, რომელიც მენეჯერის მხრიდან საჭიროებს საუკეთესო სამოქმედო კურსის შერჩევას Nickols F.W.(2015). მენეჯერები, საშუალოდ, სამუშაო დროის 50-80% უთმობენ კომუნიკაციური პროცესების განხორციელებას. მიღებული ინფორმაციის სწორი აღქმა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გადაწყვეტილების ეფექტიანობაზე Dunod., (2010). სწორედ ამიტომ, არსებითი მნიშვნელობა აქვს გადაწყვეტილების მიღებამდე მოხდეს ნებისმიერი სახის ინფორმაციის დაზუსტება და გარემოს განსაზღვრა.

კომუნიკაცია და გადაწყვეტილების მიღების პროცესი მრავალი მეცნიერის შესწავლის საგანია, არსებობს სხვადასხვა დროს და ადგილას ჩატარებული კვლევები შესაბამისი შედეგებით. აღნიშნული საკითხის კვლევის მიმართულებით ლიდერობენ საფრანგეთი, გერმანია, აშშ, ჩინეთი, საუდის არაბეთი, პალესტინა, იორდანია და სხვა.

ჩვენს ქვეყანაში აღნიშნული საკითხის შესწავლის მდგომარეობა არასახარბიელოა, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს გარკვეული რაოდენობის თეორიული მასალები, არ არსებობს უახლესი მეცნიერული კვლევის შედეგები. სწორედ ამ მიზეზმა და საკითხის აქტუალობამ განაპირობა ჩვენს მიერ კვლევის ჩატარება.

კვლევა ჩატარდა საქართველოს სამთავრობო დაწესებულებებში, მათ შორის:

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში;
2. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში;
3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში;
4. საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროში;
5. საქართველოს თავდაცვის სამინისტროში;
6. საქართველოს იუსტიციის სამინისტროში;
7. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში;
8. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში;
9. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში;
10. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში;

11. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში;
12. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროში;
13. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში;
14. საქართველოს ფინანსთა სამინისტროში;
15. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში;
16. საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში;
17. საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში;
18. საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატში შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში.

კვლევის შედეგად გამოიკითხა 365 მენეჯერი, მათ შორის 225 ქვედა, 136 საშუალო და 2 ზედა რგოლის მენეჯერი. კვლევა ჩატარდა აღწერით-ანალიტიკური მეთოდოლოგიით. კვლევის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია დამუშავდა SPSS -ის პროგრამაში.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ არსებობს მნიშვნელოვანი კავშირი კომუნიკაციასა და გადაწყვეტილების მიღებას შორის. მენეჯერები, მაქსიმალური ეფექტის მისაღებად, ცდილობენ სახვადასხვა ტიპის კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებას. გამოკითხულ მენეჯერთა უმრავლესობა აღიარებს, რომ ღია და თავისუფალი კომუნიკაციური კავშირები აადვილებს ინფორმაციის გაცვლის პროცესს, თანამშრომლები ადვილად ერკვევიან პასუხისმგებლობებში, მათ შორის ყალიბდება მჭიდრო კომუნიკაციური კავშირები და მეგობრული ურთიერთობები. ხშირი, მრავალფეროვანი და თავისუფალი კომუნიკაცია ზრდის კომუნიკაციური პროცესების ხარისხს, იზრდება თანამშრომელთა შესაძლებლობა და მოტივაცია, თავისუფლად წამოაყენონ საკუთარი იდეები და პრობლემის მოგვარების გზები.

თანამშრომელთა შორის სწრაფ და ეფექტურ კომუნიკაციურ კავშირებს აყალიბებს თანამედროვე კომუნიკაციის საშუალებები, მათ შორის კომპიუტერი და ინტერნეტი. კომუნიკაციის საშუალებები სწრაფად ვითარდება, თუმცა ორგანიზაციებს უჭირთ ცვლილებებთან ფეხის აწყობა და ხშირად ტექნიკურ პროგრესს ჩამორჩებიან.

სამინისტროებში არსებული კომუნიკაციური ტექნოლოგიები ვერ უზრუნველყოფს მონაცემთა ბაზების შეუფერხებელ წარმოებას, განახლებასა და ხარვეზების გამოვლენას. მნიშვნელოვანი პრობლემის არსებობისას ინტერნეტკომუნიკაციის საშუალებები ნაკლებად გამოიყენება დისტანციური კომუნიკაციის განსახორციელებლად, რაც აფერხებს დროული გადაწყვეტილების მიღებას. დაგვიანებული გადაწყვეტილების მიზეზად ხშირად იერარქიული სუბორდინაცია გვევლინება.

გამოკითხულ მენეჯერთა 81% აცხადებს, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში თანამშრომელთა კომუნიკაციური ჩართულობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მის ეფექტიანობაზე, თუმცა პროცესში თანამშრომელთა რეალური ჩართვა შეზღუდული და იშვიათია. აღნიშნულის მიზეზი, სხვა დანარჩენთან ერთად, ჩაკეტილი კომუნიკაციური პროცესებია, რომლებიც ხელს უშლის თანამშრომლებს შორის დადებითი ურთიერთობების ჩამოყალიბებას, ამასთან ზრდის ემოციური სტრესის დონეს და ამცირებს მათ მოტივაციას. იგი ზრდის შეცდომების დაშვების და არასწორი გადაწყვეტილების მიღების რისკს.

მენეჯერთა 92% მხარს უჭერს ზეპირი კომუნიკაციის, მათ შორის საუბრების, გამოკითხვების, სამუშაო შეხვედრების და ჯგუფური დისკუსიების განხორციელებას. მიიჩნევენ, რომ ზეპირი კომუნიკაცია აუმჯობესებს ინფორმაციის გაცვლის პროცესს,

უზრუნველყოფს ეფექტური უკუკავშირის დამყარებას და შემოქმედებითი აზროვნების სტიმულირებას.

კვლევის შედეგად დადასტურდა არავერბალური კომუნიკაციის მნიშვნელობა. მენეჯერები კომუნიკაციის ამ სახეს განიხილავენ როგორც სანდო და დეტალური ინფორმაციის მოპოვების საშუალებას. მიიჩნევენ, რომ არავერბალური სიგნალები მნიშვნელოვანი ინფორმაციის მატარებელია, შესაბამისად, მათი ამოცნობით უფრო მეტი ინფორმაციის მიღებაა შესაძლებელი ვიდრე ვერბალური კომუნიკაციისას, შესაძლოა კომუნიკაციის მონაწილე საუბრობდეს ერთს თუმცა არავერბალურად საპირისპირო ემოციებს ავლენდეს. ხელმძღვანელის თანამშრომლებთან ინდივიდუალური გასაუბრება უზრუნველყოფს ინფორმაციის თავისუფალ გაცვლას, ემოციების და არავერბალური მინიშნებების ამოცნობას, პრობლემის დეტალურ გააზრებას და ეფექტიანი გადაწყვეტილების მიღებას.

კვლევის შედეგად დადასტურდა ვერტიკალური, ჰორიზონტალური და არაფორმალური კომუნიკაციის გავლენა გადაწყვეტილების მიღების პროცესზე. მოუწესრიგებელი კომუნიკაციები ართულებს პრობლემის მოგვარებას, ვლინდება ინფორმაციული სტრესი, იკლებს ურთიერთნდობის ფაქტორი და ყალიბდება არაჯანსაღი ურთიერთობები, ამასთან იმატებს კონფლიქტური სიტუაციები და მკვეთრად მცირდება თანამშრომელთა მოტივაცია. მენეჯერთა 62% არაფორმალური კომუნიკაციის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას. მსგავს ვითარებაში, თანამშრომლები ღიად საუბრობენ შემცირებულ მოლოდინებზე და გაზრდილ კონფლიქტოგენებზე.

კვლევის მნიშვნელოვან მიგნებად შესაძლოა ჩათვალოს მენეჯერთა კომუნიკაციური უნარების დეფიციტი, მათი 46% აღიარებს, რომ კომუნიკაციური პროცესის მსვლელობისას არაკომფორტულ გარემოს ქმნის ის, რომ კარი ღია აქვს, პასუხობს სატელეფონო ზარებს და ყურადღებით არ უსმენს. არის სიტუაციები, როცა თანამშრომლებს თავს ახვევენ და თრგუნავენ საკუთარი შეხედულებებით, ასევე იყენებენ არასათანადო მიმართვის ფორმებს. გამოკითხულ მენეჯერთა 68%-ს გავლილი არ აქვს არანაირი სასწავლო კურსი კომუნიკაციის მიმართულებით.

გადაწყვეტილების მიღებამდე, პრობლემის შესახებ მაქსიმალური ინფორმაციის მოძიება არ ხდება. შესაბამისად, ხელმძღვანელი პირები საკუთარი შეხედულებისამებრ იღებენ გადაწყვეტილებას, რომელიც ხშირად არასასურველი შედეგების მომტანია.

საჯარო ორგანიზაციებში არსებული კომუნიკაციის მეთოდები და საშუალებები ვერ უზრუნველყოფს თანამშრომელთა უნარების და კომპეტენციების განვითარებას. პრობლემატურია, გადაწყვეტილების მიღების პროცესში, თანამშრომელთა იდეების მონაწილეობის საკითხი. მენეჯერთა მიერ წინასწარ არ ხდება კომუნიკაციის მეთოდის განსაზღვრა, შესაბამისად, ის თავიდანვე არ ცდილობს კომუნიკაციის პროცესის ეფექტურად და ნაყოფიერად წარმართვას, მაქსიმალური ეფექტისთვის აუცილებელია, მენეჯერმა წინასწარ განსაზღვროს, თუ რომელი კომუნიკაციის მეთოდი იქნება მაქსიმალური ეფექტის მომტანი.

გამოიკვეთა სამუშაო გარემოს პრობლემა. ხშირია კონფლიქტები მენეჯერსა და თანამშრომლებს შორის, ასევე თანამშრომლებს შორის, რაც კატასტროფულად ზრდის ორივე მხარის ემოციურ სტრესს. მენეჯერთა აზრით, თანამშრომელთა შორის კონფლიქტური სიტუაციები გამოწვეულია მათი კომუნიკაციური უნარების დეფიციტით.

კონფლიქტური სიტუაციების არსებობისას, მენეჯერი ვერ ალაგებს თანამშრომელთა შორის კომუნიკაციის პროცესს და ზედმეტი განხილვების გარეშე იღებს ერთპიროვნულ გადაწყვეტილებებს. მისმა ქმედებამ სიტუაცია შესაძლოა მკვეთრად გაართულოს, რადგან აუცილებელია კონფლიქტის მიზეზში გარკვევა, მხარეთა შეხედულებებისა და მოსაზრებების მოსმენა, ჯგუფური დისკუსიისა და ინდივიდუალური გასაუბრების ფონზე პრობლემის მოგვარება.

გამოკითხულ მენეჯერთა 24% აღიარებს, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში თანამშრომელთა კომუნიკაციური ჩართულობის დონე დაბალია. თანამშრომლები ვერ ბედავენ უშუალოდ ხელმძღვანელთან შეკამათებას, საკუთარი იდეის პრინციპულად დაცვას, გაურკვევლობის არსებობისას კითხვის დასმას და დეტალებში გარკვევას.

ხელმძღვანელმა პირმა ორგანიზაციაში უნდა გაზარდოს კომუნიკაციის მნიშვნელობა, გაილოს სხვადასხვა სახის რესურსი, მათ შორის ესაუბროს, მოუსმინოს და გაარკვიოს, რა აწუხებთ, რა სჭირდებათ თანამშრომლებს და საერთოდაც, როგორია მათი ხედვა ორგანიზაციის საქმიანობასთან და არსებულ პრობლემებთან მიმართებაში.

ინტერნეტ კომუნიკაციური პროცესების გაუმჯობესების მიზნით, მნიშვნელოვანია გაიზარდოს ინვესტირება ამ მიმართულებით. შედეგად გაიზარდება ინფორმაციის გაცვლის სიჩქარე, შემცირდება საინფორმაციო ხარჯები და დავალები სწრაფად შესრულდება. თანამშრომლებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა დაბრკოლებების გარეშე დაუკავშირდნენ ზედა რგოლის მენეჯერებს, მისწერონ მათთვის საინტერესო კითხვები და წინადადებები და მიიღონ საჭირო ინფორმაციები.

მენეჯერმა ხელი უნდა შეუწყოს კომუნიკაციური პროცესების დაბრკოლებების გარეშე წარმართვას, აღმოფხვრას ყველა ის ფაქტორი, რომელიც აფერხებს მას. ასევე არ უნდა დააფრთხოს თანამშრომლები თავისი თანამდებობით, ინსტრუქციებით და ბრძანებებით. თანამშრომლებს შესაძლებლობა უნდა მისცეს, გახსნილად ისაუბრონ პრობლემებზე, ღიად დაასაბუთონ ხედვები და არგუმენტები. კომუნიკაციური პროცესების წარმატებით წარმართვის მიზნით, შესაძლოა, მოეწყოს სხვადასხვა სახის სოციალური ღონისძიებები, მათ შორის ექსკურსიები და სხვა ტიპის შეხვედრები, რომლებიც უზრუნველყოფს შემთხვევითი არაფორმალური კომუნიკაციის განხორციელებას.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საჯარო სექტორში კომუნიკაციის რეალური პრობლემებია, რომელთა მოგვარებაც აუცილებელია. ჩაკეტილი კომუნიკაციური პროცესები ამცირებს გადაწყვეტილების ეფექტიანობას, ზრდის ინფორმაციულ სტრესს და იწვევს ორგანიზაციაში თანამშრომელთა შორის არაჯანსაღ ურთიერთობებს, მცირდება მათი მოტივაცია და მოლოდინები. მსგავს ვითარებაში, განსაკუთრებული როლი მენეჯერს ეკისრება, მან ხელი უნდა შეუწყოს კომუნიკაციური პროცესების დაბრკოლებების გარეშე წარმართვას, გაზარდოს თანამშრომელთა ჩართულობის დონე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ასევე იზრუნოს როგორც საკუთარი, ისე თანამშრომელთა კომუნიკაციური უნარების გაუმჯობესებისათვის. თუ მენეჯერი ყურადღებას გაამახვილებს ჩვენ მიერ დასახელებულ პრობლემებსა და რეკომენდაციებზე, შესაძლებლობა ექნება, მკვეთრად გააუმჯობესოს კომუნიკაციური პროცესების და მიღებული გადაწყვეტილებების ეფექტურობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Dunod., M. (2010) - „Communication : stage initial Initiateur" – CTR74 lionel Edition Paris;
2. Chichester., W. and Frochot., D.(2000).-, „La Theorie La Communication”, edition france.;
3. Cornelissen, J. (2002) „Corporate Communications Theory and Practice“, London.;
4. Cazeneuve, J. (2016)- „QU'est ce que la communication volume II Persee” Paris.;
5. Nickols., F.W. (2015) „, Strategic Decision Making, Commitment to Strategic Action” Distance Consulting LLC http://www.nickols.us/strategic_decision_making.pdf;
6. Nelson., B. and Economy., P. (2005) ‘The Management Bible’ Hoboken, New Jersey, USA, John Wiley&Sons, Inc.

კომუნიკაციის როლი ორგანიზაციის მართვასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში

კესო სუმბაძე
ივანე ჯავახიშვილის სახეობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

რეზიუმე

ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო მმართველობის სისტემები, უკანასკნელი წლების მანძილზე, მნიშვნელოვან რეფორმებს განიცდიან, თუმცა არსებობს გარკვეული ხარვეზები, რომელთა შესწავლა და აღმოფხვრა სახელმწიფო სისტემების გამართულ და ეფექტურ ფუნქციონირებას უზრუნველყოფს.

საჯარო სექტორის არსებობა კომუნიკაციის გარეშე შეუძლებელია. შეუფერხებელი კომუნიკაცია, ნებისმიერი პრობლემის არსებობისას, პირდაპირ კავშირშია გადაწყვეტილების ეფექტიანობასთან. ჩვენს ქვეყანაში რეალობა არასახარბიელოა. ხშირად კომუნიკაციური პროცესები ჩაკეტილი, ხოლო კომუნიკაციური კავშირები არაეფექტურია, შესაბამისად გადაწყვეტილებები ცენტრალიზებული და ერთპიროვნულია.

სტატიის მიზანია, ყურადღება გაამახვილოს საჯარო სექტორში განხორციელებულ კომუნიკაციაზე, გამოავლინოს არსებული ნაკლოვანებები და შეიმუშაოს შესაბამისი რეკომენდაციები, რაც დაეხმარება საჯარო სექტორის მენეჯერებს კომუნიკაციური კავშირების გაძლიერებასა და გადაწყვეტილების ეფექტიანობის გაზრდაში.

საკვანძო სიტყვები: კომუნიკაცია, მენეჯერი და გადაწყვეტილება

Role of Communication in Management of Organization and Decision-making Process

Keso Sumbadze,
Doctoral student of
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Georgia, Tbilisi

Summary

The state governing systems of our country have experienced significant reforms over the last few years, but there are some shortcomings that can be studied and eradicated to ensure effective and efficient functioning of the state systems.

The existence of the public sector is impossible without communication. Uninterrupted communication, in case of any problem, is directly related to the efficiency of the decision. The reality in our country is unfavorable. Communicative processes are often closed, while the communicative contacts are ineffective. Consequently, the decisions are centralized and unilateral.

The aim of the article is to focus on the communication in the public sector, to identify existing shortcomings and to develop relevant recommendations that will help public sector managers to strengthen communicative contacts and increase efficiency of decision-making.

Key words: Communication; Manager; Decision

Le rôle de la communication dans la gestion de l'organisation et dans le processus prise de décision

Keso Sumbadze
Doctocat de l'Universite d'Etat
de Tbilissi Ivane Javakhishvili
Tbilissi, Géorgie

Résumé

Les systèmes de gestion de notre État ont connu d'importantes réformes au cours des dernières années, mais certaines lacunes peuvent être étudiées et éliminées pour assurer le fonctionnement efficace des systèmes de l'État.

L'existence du secteur public est impossible sans communication. Une communication ininterrompue, en cas de problème, est directement liée à l'efficacité de la décision. La réalité dans notre pays est défavorable. Les processus de communication sont souvent fermés, les connexions de communication sont inefficaces et les décisions sont centralisées et autoritaires.

L'objectif de cet article est de mettre l'accent sur la communication dans le secteur public, d'identifier les lacunes existantes et d'élaborer des recommandations pertinentes qui aideront les responsables du secteur public à renforcer les communications et à accroître l'efficacité de la prise de décision.

Mots-clés : communication, gestionnaire et décision.

საერთაშორისო სტატისტიკის პრაქტიკაში გამოყენებული ეკონომიკური ზრდის ძირითადი მაჩვენებლები

გიორგი ლალუაშვილი
საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის დოქტორანტი;
შორენა ხალვაში
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

ეროვნული ეკონომიკის ფუნქციონირების შედეგების დახასიათებისათვის საერთაშორისო სტატისტიკის პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენება ეკონომიკური ზრდის შემდეგი მაჩვენებლები:

1. მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ);
2. მთლიანი ეროვნული პროდუქტი (მეპ);
3. წმინდა ეროვნული შემოსავალი (წეშ);
4. ეკონომიკის მთლიანი მოგება (ემმ);
5. ეკონომიკის წმინდა მოგება (ეწმ);
6. განკარგულებაში დარჩენილი ეროვნული შემოსავალი (გდეშ);
7. განკარგულებაში დარჩენილი შემოსავალი (გდშ);
8. განკარგულებაში დარჩენილი მთლიანი ეროვნული შემოსავალი (გდმეშ);
9. განკარგულებაში დარჩენილი წმინდა ეროვნული შემოსავალი (გდწეშ);
10. მთლიანი ეროვნული დანაზოგი (მედ);
11. წმინდა ეროვნული დანაზოგი (წედ).

საბჭოთა კლასიფიკაციაში სახალხო მეურნეობის ბალანსის მეთოდოლოგიის მიხედვით გათვლილი ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის მაჩვენებლისაგან განსხვავებით, რომელიც როგორც ცნობილია წარმოადგენს მხოლოდ მატერიალური წარმოების სფეროში შექმნილი მთლიანი პროდუქტის ჯამს, მთლიანი შიდა პროდუქტი არის ყველა პროდუქტისა და მომსახურების ღირებულება, რომელიც შექმნილია მოცემული ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე, როგორც წესი ერთი წლის მანძილზე, შუალედური მოხმარების ღირებულების გამოკლებით. ე.ი. მასში არ შედის წარმოების პროცესში მოხმარებული ნედლეულის, მასალების, სათბობის ელექტროენერჯისა და ა.შ. ღირებულება, ხოლო გათვალისწინებულია ძირითადი კაპიტალის მოხმარება. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ძირითადი კაპიტალის მოხმარება არის საანგარიშო პერიოდში ძირითადი კაპიტალის ღირებულების შემცირება მისი ფიზიკური და მორალური ცვეთის შედეგად.

მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელია. მისი გაანგარიშება წარმოებს სამი მეთოდით:

1. წარმოების მეთოდით მშპ. (საბაზო ფასებში) იზომება რეზიდენტი ეკონომიკური ერთეულების მიერ საწარმოო საქმიანობის შედეგად შექმნილი მთლიანი დამატებული ღირებულებების შეჯამებით. საბაზო ფასებში შეფასებულ მშპ-ზე პროდუქტებზე წმინდა გადასახადების დამატებით მიიღება მთლიანი შიდა პროდუქტი საბაზო ფასებში;
2. მშპ განისაზღვრება აგრეთვე როგორც საქონლისა და მომსახურების წარმოების პროცესში მონაწილე რეზიდენტი ერთეულების პირველადი შემოსავლების ჯამი:

შრომის ანაზღაურების, პროდუქციასა და იმპორტზე წმინდა გადასახადების, მთლიანი მოგებისა და მთლიანი შერეული შემოსავლების შეჯამებით;

3. საბოლოო მოხმარების ხარჯების მეთოდით გაანგარიშებული მშპ წარმოადგენს საქონლისა და მომსახურების საბოლოო მოხმარების ხარჯების, მთლიანი დაგროვებისა და წმინდა ექსპორტის (ექსპორტს მინუს იმპორტი) ჯამს.

სხვადასხვა მეთოდით გაანგარიშებული მთლიან შიდა პროდუქტის მოცულობები შეიძლება ერთმანეთს არ ემთხვეოდეს, რადგანაც მათი ინფორმაციული წყაროები განსხვავებულია.

მშპ-ის მუდმივ ფასებში გადაყვანა ხდება ორმაგი დეფლირებით. ეს ხორციელდება ფასების შესაბამისი ინდექსების მეშვეობით საქმიანობის სახეების მიხედვით მთლიანი გამოშვებისა და შუალედური მოხმარების ცალ-ცალკე დეფლირებით და შემდეგ მათი სხვაობის გამოთვლით.

მთლიანი ეროვნული შემოსავალი (მეშ) არის რეზიდენტების მიერ ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე და დანარჩენი მსოფლიოდან დარიცხული პირველადი (ხელფასი, მოგება, შერეული შემოსავლები) და საკუთრებიდან (დივიდენდი, რენტა) წმინდა შემოსავლების ჯამი (მისაღები, გასაცემის გამოკლებით).

რაოდენობრივი თვალსაზრისით მეშ, მშპ-სგან განსხვავდება საზღვარგარეთ გასაცემი და მიღებული პირველადი შემოსავლების სალდოს სიდიდით.

საზღვარგარეთ გასაცემი და მიღებული პირველადი შემოსავლები ყალიბდება რეზიდენტი ერთეულების მიერ მშპ-ის წარმოების პროცესში შექმნილი ღირებულებების პირველადი განაწილების პროცესში. მასში შედის: შრომის ანაზღაურება, წმინდა გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე, მთლიანი მოგება, მთლიანი შერეული შემოსავლები და შემოსავლები საკუთრებიდან.

შემოსავლები საკუთრებიდან-ინსტიტუციური ერთეულების მიერ ფინანსური და არაფინანსური მატერიალური აქტივების გამოსაყენებლად გადაცემის შედეგად დარიცხული შემოსავლები. მათ მიეკუთვნება საპროცენტო შემოსავლები, დივიდენტები, რენტა და ასეთივე სახის სხვა შემოსავლები საკუთრებიდან.

ეროვნული მთლიანი განკარგვადი შემოსავალი არის მთლიანი ეროვნული შემოსავლისა და ქვეყნის რეზიდენტების მიერ დანარჩენი მსოფლიოდან მიღებული მიმდინარე წმინდა (მისაღები გასაცემის გამოკლებით) ტრანსფერტების ჯამი. ეს არის შემოსავლები, რომელთაც განკარგავენ რეზიდენტები საბოლოო მოხმარებისათვის და დანაზოგებისათვის.

მშპ ამოსავალი მაკროეკონომიკურ მაჩვენებლად ითვლება გაეროს ეროვნული ანგარიშების სისტემაში. მასზე ორიენტირებულია ახალი ეროვნული ანგარიშების სისტემა (1993წ).

სერთაშორისო სტატისტიკის პრაქტიკაში მშპ-ის გვერდით ფართოდ გამოიყენება მთლიანი ეროვნული პროდუქტის მაჩვენებელი, 1968 წლამდე მას მთლიანი ეროვნული შემოსავალი ეწოდება.

მეკ-ი წარმოადგენს საბაზრო ფასებით პირველადი შემოსავლების (შრომის ანაზღაურება, მოგება, წარმოებაზე გადასახადები, საკუთრებიდან მიღებული შემოსავლები-სარგებელი, დივიდენდი, რენტა და ა.შ.) ჯამს, მიღებულს მოცემული ქვეყნის რეზიდენტების მიერ მათი პირდაპირი თუ არაპირდაპირი მონაწილეობით თავისი ქვეყნის მშპ-ისა და სხვა ქვეყნების მშპ წარმოებაში.

ამრიგად მთლიანი ეროვნული პროდუქტი მეტია მთლიან შიდა პროდუქტზე იმ პირველადი შემოსავლების ჯამით, რომელიც მიღებულია მოცემული ქვეყნის რეზიდენტების მიერ საზღვარგარეთ. მთლიანი ეროვნული პროდუქტი უდრის საბაზრო ფასებში მშპ-ს პლიუს შრომის ანაზღაურების (შა) ჯამი, საკუთრებიდან შემოსავლები (სშ), სამეწარმეო შემოსავალი (სშ) მიღებული "დანარჩენი მსოფლიოდან" მინუს მათი შესაბამისი ნაკადები, გადახდილი "დანარჩენი მსოფლიოსათვის".

აღსანიშნავია, რომ რაოდენობრივი თანაფარდობის თვალსაზრისით, მშპ-სა და მეკ-ს შორის განსხვავება დიდი არ არის, როგორც წესი განვითარებული ქვეყნებისათვის იგი 1%-ს არ აღემატება.

თუ მთლიან ეროვნულ პროდუქტს გამოვაკლებთ ძირითადი კაპიტალის მოხმარებას, მივიღებთ საბაზრო ფასებში წმინდა ეროვნულ შემოსავალს (წემ), რომელიც ასე გამოიხატება:

$$\text{წემ} = \text{მეკ} - \text{ძკმ}$$

ეკონომიკის მთლიანი მოგება (ემმ) დამატებული ღირებულების ის ნაწილია, რომელიც რჩება მეწარმეებს დაქირავებული მუშაკების შრომის ანაზღაურების, წარმოებასა და იმპორტზე წმინდა გადასახადებთან დაკავშირებული ხარჯების გამოქვითვის შემდეგ იგი ეკონომიკის წმინდა მოგებისა (ეწმ) და ძირითადი კაპიტალის მოხმარების (ძკმ) ჯამია:

$$\text{ემმ} = \text{ეწმ} + \text{ძკმ}$$

ეკონომიკის მთლიანი მოგება ეკონომიკის ყველა დარგის ან სექტორის მთლიანი მოგების ჯამია.

ეკონომიკის წმინდა მოგება ეროვნული ანგარიშების სისტემაში არის მიკროეკონომიკური მოგების მაჩვენებელი, გაანგარიშებული როგორც სხვაობა ეკონომიკის მთლიან მოგებასა და ძირითადი კაპიტალის მოხმარებას შორის.

$$\text{ეწმ} = \text{ემმ} - \text{ძკმ}$$

გაანგარიშებული დარჩენილი შემოსავალი არის შემოსავალი, რომელსაც ინსტიტუციური ერთეული ფლობს საბოლოო მოხმარებისა და დანაზოგისათვის. იგი უდრის პირველადი შემოსავლების ჯამს პლუს (მინუს) მიმდინარე შიდა ტრანსფერტების სალდო.

$$\text{გდშ} = \text{პშ} + (-) \text{მშტს}$$

განკარგულებაში დარჩენილი ეროვნული შემოსავალი საბაზრო ფასებით არის წმინდა ეროვნულ შემოსავალს პლუს წმინდა მიმდინარე ტრანსფერები საზღვარგარეთიდან (ნაჩუქრობა, ჰუმანიტარული დახმარება, შეწირულობა და ა.შ.) საზღვარგარეთ გაცემული ანალოგიური ტრანსფერების გამოკლებით, ანუ პლუს (მინუს) მიმდინარე ტრანსფერების სალდო

$$\text{გდემ} = \text{წემ} + (-) \text{მტს}$$

განკარგულებაში დარჩენილი ეროვნული შემოსავალი იმ შემოსავლების ჯამია, რომლებსაც ქვეყნის რეზიდენტები იყენებენ საბოლოო მოხმარებისათვის. განკარგულებაში დარჩენილი მთლიანი ეროვნული შემოსავალი არის ის რეალური შემოსავალი, რომელიც

გამოყენება ერთობლივი საბოლოო მოხმარებისა და დანაზოგისათვის. იგი ეკონომიკის ყველა სექტორის განკარგულებაში დარჩენილი შემოსავლების ჯამია.

განკარგულებაში დარჩენილი წმინდა ეროვნული შემოსავალი ტოლია, განკარგულებაში დარჩენილ მთლიან ეროვნულ შემოსავალს გამოკლებული ძირითადი კაპიტალის მოხმარება.

როგორც თითოეული ინსტიტუციური ერთეულის, ისე მთელი ეკონომიკის ფუნქციონირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საბოლოო შედეგია დანაზოგი. იგი, როგორც ცნობილია განკარგულებაში დარჩენილი შემოსავლის ის ნაწილია, რომელიც არ არის დახარჯული საქონლისა და მომსახურების საბოლოო მოხმარებაზე. მას როგორც კაპიტალური დაფინანსების უმნიშვნელოვანეს წყაროს, დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ქვეყნის, ასევე რეგიონების ეკონომიკური უსაფრთხოებისათვის, ვინაიდან ეროვნული სიმდიდრის მატების მნიშვნელოვანი მახასიათებელია. დანაზოგი განისაზღვრება როგორც სხვაობა, მიმდინარე შემოსავლებისა და მიმდინარე ხარჯების ჯამს შორის:

$$d = m - m_1$$

დანაზოგისაგან ძირითადი კაპიტალის მოხმარების გამოკლებით მიიღება მთლიანი დანაზოგი.

მთლიანი ეროვნული დანაზოგი არის განკარგულებაში დარჩენილი მთლიანი ეროვნული შემოსავლის ნაწილი, რომელიც არ შედის საბოლოო მოხმარებაში. იგი ეკონომიკის ყველა სექტორის მთლიანი დანაზოგი ჯამია.

წმინდა ეროვნული დანაზოგი გაიანგარიშება როგორც სხვაობა მთლიან ეროვნულ დანაზოგსა და ძირითადი კაპიტალის მოხმარებას შორის.

საქართველოში მშპ-ის გაანგარიშება მიმდინარე ფასებში ხორციელდება საერთაშორისოდ აღიარებული სამი სხვადასხვა მეთოდით:

1. წარმოების მეთოდი:

მთლიანი შიდა პროდუქტი, როგორც ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე დროის შესაბამის მონაკვეთში ეკონომიკის რეზიდენტი ერთეულების მიერ (ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა სახეებში) შექმნილი მთლიანი დამატებული ღირებულებების ჯამს დამატებული გადასახადები პროდუქციაზე და იმპორტზე (დღგ, აქციზი და საბაჟო გადასახადი) მინუს სუბსიდიები პროდუქტებზე.

გაანგარიშების სქემა:

საქმიანობის სახეობების მიხედვით პროდუქციის (საქონლისა და მომსახურების) მთლიანი გამოშვება საბაზისო ფასებში

-

საქონლისა და მომსახურების გამოშვებისათვის გამოყენებული შუალედური მოხმარება

=

მთლიანი შიდა პროდუქტი საბაზისო ფასებში

+

გადასახადები პროდუქციაზე და იმპორტზე

-

სუბსიდიები პროდუქტებზე

=

მთლიანი შიდა პროდუქტი საბაზრო ფასებში.

2. გამოყენების (დანახარჯების) მეთოდი:

მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშება დანახარჯების მეთოდით ეფუძნება ეკონომიკის რეზიდენტი ერთეულების მიერ მიმდინარე პერიოდში გაწეული დანახარჯების გამოთვლას.

გაანგარიშების სქემა:

შინამეურნეობების სამომხმარებლო ხარჯები

+

შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების მიერ გაწეული მომსახურება

+

სახელმწიფო მართვის ორგანოების მიერ გაწეული კოლექტიური (სახელმწიფოს მართვა, თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვა) და პერსონალური (განათლებისა და ჯანდაცვის) მომსახურება

+

ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება

+

მატერიალური საბრუნავი საშუალებების მარაგების ცვლილება

=

მთლიანი შიდა ხარჯები საბაზრო ფასებში

+

საქონლისა და მომსახურების ექსპორტი

-

საქონლისა და მომსახურების იმპორტი

=

მთლიანი შიდა პროდუქტი საბაზრო ფასებში.

3. შემოსავლების მეთოდი:

მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშება შემოსავლების მეთოდით ემყარება იმ ინსტიტუციური ერთეულების შემოსავლების ჯამს, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ საქონლისა და მომსახურების შექმნაში მოცემული პერიოდის განმავლობაში.

გაანგარიშების სქემა:

შემოსავალი დასაქმებიდან დარიცხული ხელფასისა და დანამატების სახით (ხელფასზე დარიცხული გადასახადების ჩათვლით)

+

თვითდასაქმებიდან მიღებული შერეული შემოსავალი

+

კომპანიების მიერ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული მთლიანი მოგება

+

გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე

-

სუბსიდიები წარმოებასა და პროდუქტებზე

=

მთლიანი შიდა პროდუქტი საბაზრო ფასებში.

სხვადასხვა მეთოდებით გაანგარიშებული მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობები შეიძლება ერთმანეთს არ ემთხვეოდეს, რადგან მათი ინფორმაციული წყაროები განსხვავებულია, განსხვავება აისახება სტრიქონში "სტატისტიკური განსხვავება".

მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშება წარმოების მეთოდით ეფუძნება ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების საქართველოს ეროვნულ კლასიფიკატორს (სეკ 001-2004), რომელიც შემუშავებულია ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკატორის ევროპული სტანდარტის NACE rev.1.1 ბაზაზე.

საერთაშორისო მეთოდოლოგიის რეკომენდაციების გათვალისწინებით ეკონომიკური ოპერაციები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით მათი განხორციელების მომენტისათვის არსებულ მიმდინარე საბაზრო ფასებში.

გამოყენებული ლიტერატურა და ინტერნეტ რესურსები

1. http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/AGA%20Executive%20Summary_Geo_Final%20_3_.pdf
2. http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/methodology/GDP%20Brief%20Methodology.pdf
3. http://geostat.ge/?action=page&p_id=118&lang=geo
4. https://mof.ge/images/File/BROSHURA/2016/Outlook_november.pdf
5. <http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000404/Gegeshidze.%20E%2B%2B.pdf>
6. https://www.nbg.gov.ge/uploads/workingpaper/2010/estimation_of_potential_gdp.geo.pdf

საერთაშორისო სტატისტიკის პრაქტიკაში გამოყენებული ეკონომიკური ზრდის
ძირითადი მაჩვენებლები

გიორგი ლალუაშვილი

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის დოქტორანტი;

შორენა ხალვაში

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ეროვნული ეკონომიკის ფუნქციონირების შედეგების დახასიათებისათვის საერთაშორისო სტატისტიკის პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენებადი ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები. ყურადღება გამახვილებულია მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელზე, მისი გამოთვლის მეთოდებზე, როგორც საერთაშორისო სტატისტიკის პრაქტიკაში, ასევე საქართველოში. აღნისნულია, რომ საქართველოში, საერთაშორისო მეთოდოლოგიის რეკომენდაციების გათვალისწინებით ეკონომიკური ოპერაციები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით მათი განხორციელების მომენტისათვის არსებულ მიმდინარე საბაზრო ფასებში.

The main indicators of economic growth used in the practice of international statistics

Giorgi Lалуashvili

PhD student of Davit Aghmashenebeli University

Shorena Khalvashi

PhD student of Technical University of Georgia

Summary

The article deals with the widely used economic growth indicators in the practice of international statistics to characterize the performance of the national economy. The focus is on one of the main indicators of the GDP's National Accounts System, its calculation methods as in international statistics practice in Georgia. It should be noted that in Georgia considering the recommendations of the economic growth methodology used in the practice of international statistics, economic operations are recorded in the current market prices at the moment of their implementation by accrual method.

**Les principaux indicateurs de la croissance économique utilisés dans la pratique des statistiques
internationales**

Giorgi Lалуashvili

Doctorant de l'Université Davit Aghmashenebeli

Shorena Khalvashi

Doctorant de l'Université Technique de Géorgie

Résumé

L'article traite des indicateurs de croissance économique largement utilisés dans la pratique des statistiques internationales pour caractériser les performances de l'économie nationale. L'accent est mis sur l'un des principaux indicateurs du système des comptes nationaux du PIB, ses méthodes de calcul comme dans la pratique des statistiques internationales en Géorgie. Il convient de noter qu'en Géorgie, compte tenu des recommandations de la méthodologie de croissance économique utilisée dans la pratique des statistiques internationales, les opérations économiques sont comptabilisées dans les prix du marché au moment de leur mise en œuvre par la méthode de la comptabilité d'exercice.

რისტვის შექმნა და რას წარმოადგენდა „ჩეკა“

პაატა ლელაშვილი



2017 წლის დასასრულს, 20 დეკემბერს, რუსეთის უსაფრთხოების ფედერალურმა სამსახურმა (ФСБ), საზეიმოდ აღნიშნა ВЧК-ს „სრულიად რუსეთის კონტრრევოლუციასთან და საბოტაჟთან ბრძოლის საგანგებო კომისიის“ დაარსების 100 წლის იუბილე. ამ დღესთან დაკავშირებით გაიმართა სხვადასხვა სადღესასწაულო ღონისძიება ვეტერანი და მოქმედი „ჩეკისტებისათვის“. სპეციალურად გამოშვებულ იქნა საიუბილეო სამკერდე ნიშანი და მოიჭრა სპეციალური მედალი. „ჩეკას“ „მოღვაწეობის“ შესახებ პრესაში დაიწერა სახოტბო სტატიები და მომზადდა სპეციალური სატელევიზიო სიუჟეტები. სადღესასწაულო განწყობის

ფონზე, რუსეთში ცოტას თუ გაახსენდა ამ სადამსჯელო ორგანიზაციის

(სურათზე: სპეციალურად, ВЧК-ს 100 წლის იუბილისთან დაკავშირებით 2017 წელს გამოშვებული სამკერდე ნიშანი).

შექმნისა და მუშაობის ნამდვილი ისტორია, რომლითაც სახელი გაითქვა „სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიამ“ (ВЧК). საბჭოთ კავშირში ამ სახელმწიფო ორგანიზაციას შემოკლებით „ჩეკა“-დ, ხოლო მის თანამშრომლებს „ჩეკისტებად“ მოიხსენიებდნენ. მათი სახელის ხსენებაც კი შიშის ზარს სცემდა და ტერორში ამყოფებდა მილიონობით ადამიანს. „საგანგებო კომისიის“ თანამშრომლები მოქმედებდნენ როგორც ფარული მეთოდებით, ისე ატარებდნენ ღია, საჩვენებელ ოპერაციებსაც. „ჩეკისტების სასიქადულო საქმიანობის“ შედეგად, რეპრესირებულ ადამიანთა ზუსტი რაოდენობა დღესაც ბოლომდე დაუდგენელია, თუმცა ძალადობის მასშტაბები იმდენად დიდი იყო, რომ ამ საკითხის მკვლევარები რეპრესირებულთა რიცხვს რამდენიმე მილიონ ადამიანად ითვლიან!

შესაძლოა, სხვა შემთხვევაში ჩვენთვის ნაკლებად მნიშვნელოვანი იყოს, მეზობელ ქვეყანაში როგორ აღნიშნავენ საკუთარი სპეცსამსახურების ასწლოვანი იუბილეს, თუმცა ჩვენს ისტორიაში, წითელ არმიასთან ერთად, სწორედ „საგანგებო კომისიამ“ დაიდო ლომის წილი საქართველოს გასაბჭოებასა და შემდგომი 70 წლის გამწვანებაში საბჭოთა სისტემის შენარჩუნების საქმეში. უკანასკნელი წლების განმავლობაში ბევრი ითქვა და დაიწერა „ჩეკას“ მიერ XX საუკუნის 20-იან და 30-იან წლებში განხორციელებული დიდი რეპრესიების შესახებ, თუმცა ჩვენთან შედარებით ნაკლებადაა შეფასებული ამ სადამსჯელო-რეპრესიული სამსახურის შექმნისა და განვითარების ისტორია.

ВЧК-ს ფუნქციებისა და საქმიანობის უკეთ გააზრებისათვის საჭიროა მისი ჩამოყალიბების ისტორიის გახსენება, რათა ნათლად დავინახოთ საბჭოთა სპეცსამსახურის ნამდვილი სახე. ამისათვის საჭიროა გავცდეთ საქართველოს საზღვრებს და გადავხედოთ იმ დროისათვის არსებულ ვითარებას ახალდაბადებულ

ბოლშევიკურ რუსეთში. ნიშანდობლივია „ჩეკა“-ს თანამშრომლების მიერ განხორციელებული პირველი ქმედებები, რითაც „თავი გამოიჩინეს“ რუსეთის სამოქალაქო ომის დროს.

ბოლშევიკების მიერ 1917 წლის ოქტომბერში, პეტერბურგში განხორციელებული რევოლუციის შემდეგ, ყიფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე მოიშალა სახელწიფო მმართვეის ორგანოები და სახელწიფო აღმოჩნდა ქაოსში. ქვეყანაში ღიად მიმდინარეობდა სხვადასხვა პოლიტიკური პარტიისა და იდეოლოგიური მიმდინარეობის წარმომადგენელთა შორის ბრძოლა. უზარმაზარი ქვეყნის პერიფერიებში მცხოვრები მოსახლეობის დიდი ნაწილი იყმოფებოდა სრულ გაურკვევლობასა და დაბნეულობაში. ასეთ ვითარებაში წინა პლანზე გამოვიდნენ სხვადასხვა სახის ავანტურისტები, კრიმინალური წარსულის მქონე პირები და პირად გამორჩენას დახარბებული მედროვეები. მდგომარეობას ამძაფრებდა საერთაშორისო ასპარეზზე შექმნილი უმძიმესი პოლიტიკური ვითარება, რაც ერთი მხრივ, გამოწვეული იყო პირველი მსოფლიო ომით და მისი თანმდევი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური კრიზისით. ხოლო მეორე მხრივ, ომში გამარჯვებული სახელმწიფოები რუსეთში ბოლშევიკური გადატრიალების მიმართ აშკარად მტრულ პოზიციას ავლენდნენ.

ლენინმა და ბოლშევიკთა პარტიის სხვა ხელმძღვანელებმა **„პროლეტარიატის რკინის დიქტატურის“** (ტერმინი გამოყენებულია საგანგებო კომისიის დოკუმენტში) დამყარებისთანავე, მიზნად დაისახეს მანამდე არსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილების სრული განადგურება. ამასთან ერთდ საჭირო იყო ბოლშევიკების მოწინააღმდეგეთა კონტრრევოლუციის თავიდან აცილება და მთელი ქვეყნის მასშტაბით სახელმწიფო სისტემის ყველა სფეროში საბჭოთა ძალაუფლების კონტროლის ტოტალური დამყარება. ამ საკითხთან დაკავშირებით თვალსაჩინოა შემდგომში რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავჯდომარის **ვალერიან ობოლენსკის** შეფასება, რომელიც ასე აღწერდა რუსეთში მცხოვრები ბურჟუაზიის, მეფის რუსეთის არმიის ყოფილი ოფიცრების, სასულიერო პირების, შეძლებული გლეხებისა და მათთვის მიუღებელი საზოგადოების სხვა წარმომადგენლების მომავალს: *„აქტიურებსა და სახიფათოებს ჩვენ გავანადგურებთ, სხვებს - გამოვკეტავთ, დანარჩენებს - შავ სამუშაოებზე გამოვიყენებთ, ხოლო ვისაც მუშაობა არ შეუძლია, მათ ბანაკებში ჩავამწყვდევთ.“*³⁷

ვინ ჩამოაყალიბა „საგანგებო კომისია“ და მისი პირველი ნაბიჯები ასეთი რთული საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობის ფონზე, ლენინის მთავრობის თვითგადრჩენისა და ძალაუფლების გამყარებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო ისეთი სადამსჯელო-მაკონტროლებელი სპეციალური სამსახურის შექმნა, რომელიც დაიცავდა ბოლშევიკურ პარტიას და იმოქმედებდა მათ მიერ ახლად უზურპირებული ძალაუფლების შენარჩუნება-განმტკიცებისათვის.

³⁷ კირილ ალექსანდროვი „რატომ მოაწყვეს საბჭოთა ჩეკისტებმა წითელი ტერორი და ჩაახრეს ქვეყანა სისხლში“ ლენტა.რუ, 20.12.2017 წ.;

დასახული ამოცანის პრაქტიკაში აღსასრულებლად საჭირო იყო ერთგული, ქმედითი, დისციპლინირებული და დაუნდობელი ორგანიზაცია, რომლის წევრებიც არ დასვავენ ზედმეტ შეკითხვებს და უყოყმანოდ მოაწერდნენ ხელს ნებისმიერი ბრძანების შესრულებას. აუცილებელი იყო ისეთი ადამიანების შეკრება რომლებიც განუხრელად აღასრულებდნენ მათ წინაშე დასმულ ამოცანებს!

გადამწყვეტმა ნაბიჯებმაც არ დააყოვნა: **1917 წ. 20 დეკემბერს**, პეტერბურგში ოქტომბრის გადატრიალებიდან დაახლოებით ორი თვის შემდეგ, ვ. ლენინის ინიციატივით, კონტრრევოლუციისა და საბოტაჟის წინააღმდეგ საბრძოლველად შეიქმნა **სრულიად რუსეთის საგანგებო კომისია (ВЧК)**, რომლის ჩამოყალიბება და ხელმძღვანელობა დაევალა **ფელიქს ძერჟინსკის**.

მოკლე ბიოგრაფია:



ძერჟინსკი ფელიქს ედმუნდის-ძე

დაიბადა: 1877 წ. 11 სექტემბერს, მამულ ძერჟინოვოში, ოშმიანსკის კვანძი, ვინელის გუბერნიაში, ამჟამინდელ ბელორუსიაში, ხელმოკლე დიდგვაროვანთა ოჯახში.

განათლება: ვილენის გიმნაზიის 7 კლასის დასრულების შემდეგ გამოვიდა სასწავლებლიდან.

1895 წ. შევიდა „პოლონეთისა და ლიტვის სამეფოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში“;

1897 წ. პარტიული საქმიანობისათვის მას იჭერენ და ასახლენებ ნოლინსკში. გადასახლებაში ის აგრძელებს

პოლიტიკურ აგიტაციას, რისთვისაც გადაჰყავთ უფრო შორეულ სოფელ კაიში, საიდანაც გაიქცა და იმალებოდა ჯერ ლიტვაში, ხოლო შემდეგ პოლონეთში;

1906 წ. არის რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის (ЦК РСДРП) წევრი;

აქტიურ მონაწილეობას იღებდა როგორც 1905-1907 წწ., ისე 1917 წ. რევოლუციებში. 1906-1917 წწ. არაერთხელ იყო დაპატიმრებული, 3-ჯერ გადასახლებული, მთლიანობაში დაახლოებით 11 წელი გაატარა ციხეებსა და კატორღაში, სადაც დაავადდა ტუბერკულოზით;

1917 წ. 20 დეკემბრიდან ხდება სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის **პირველი თავჯდომარე**;

1922 წ. თებერვლიდან - ხელმძღვანელობდა სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს (ГПУ) - რომელიც შემდეგ გარდაიქმნა - საბჭოთა კავშირის შინსახკომთან არსებული გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო (ОГПУ- СМК СССР);

1919-1923 წწ. შეთავსებით ეკავა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის თანამდებობა;

1926 წ. 20 ივლისს, კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენარულ სხდომაზე გამოსვლის შემდეგ, გულის შეტევით გარდაიცვალა;

დაჯილდოებულია : წითელი დროშის ორდენით;

დაკრძალულია: წითელ მოედანზე, კრემლის კედელთან;

მტკიცე და დაუნდობელი ხასიათის გამო ზედმეტსახელად შეარქვეს - „რკინის ფელიქსი“.

„რკინის ფელიქსი“ „საერთო რუსეთის საგანგებო კომისიას“ ღიად მიიჩნევდა ბოლშევიკთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემადგენელ ნაწილად. „ჩეკისტები“ იცავდნენ საბჭოთა ხელისუფლებას, უზრუნველყოფდნენ პარტიის გავლენის გაფართოებას და მისი ძალაუფლების შენარჩუნებას, რისთვისაც მუდმივად იყენებდნენ ძალადობრივ მეთოდებს. „ჩეკას“ მუშაობის ამოცანებს ადგენდა ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობა, ხოლო დავალების აღსრულების მეთოდებს განსაზღვრავდა მისი პირადი შემადგენლობა და მათი საქმისადმი დამოკიდებულება.

„საგანგებო კომისიის“ (БЧК) ჩამოყალიბების შემდეგ, მისი აპარატის წევრთა რაოდენობა სწრაფად იზრდებოდა. 1918 წლის იანვარში „ჩეკა“-ში მუშაობდა: 42, ხოლო სექტემბერში უკვე 779 თანამშრომელი. დაარსებიდან სამი წლის შემდეგ, 1921 წლის ბოლოსათვის კი მათი რაოდენობა 1468 კაცამდე გაიზარდა. 1922 წლის იანვარში პირადი შემადგენლობა უკვე 2735 კაცს შეადგენდა.²

„ჩეკაში“ სამუშაოდ იღებდნენ დაუნდობელ და ერთგულ ადამიანებს. თვითონ **ბერჟინსკიმ** ასე განსაზღვრა საგანგებო კომისიაში მიღების კრიტერიუმები: „როცა გვიწევს არჩევანის გაკეთება არც მთლად ნიჭიერ, მაგრამ უეჭველად ჩვენს კაცსა და არცთუ ჩვენთან, მაგრამ ძალიან ნიჭიერ ადამიანს შორის - ჩვენთან, „ჩეკაში“, აუცილებელია დავტოვოთ პირველნი!“³

როგორც იმდროინდელი წყაროებიდან ჩანს, „საგანგებო კომისიაში“ თანამშრომლების მიღება არ ხდებოდა მკაცრად დადგენილი კრიტერიუმებით. იქ ხშირად შეხვდებოდით საეჭვო რეპუტაციისა და წარსულის მქონე პირებს. არც თანამშრომელთა განათლებას ექცეოდა დიდი ყურადღება. პირიქით - „ჩეკისტების“ დიდ ნაწილს არასრული დაწყებითი განათლება ჰქონდათ. **БЧК**-ში გვხვდებოდნენ ისეთებიც, ვისაც საერთოდ არ გააჩნდა არავითარი განათლება. მათ რიგებში შედიოდნენ კრიმინალური მენტალიტეტის პირებიც. ასეთ საკადრო პოლიტიკის პარალელურად, **ბერჟინსკი** ითხოვდა მუდმივ შიდა წმენდასა და კადრების განახლებას. მაგალითად, 1922 წელს, 1918 წელს მიღებული თანამშრომლებიდან დარჩა მხოლოდ 4%.⁴

საგანგებო კომისიის საკადრო საკითხთან დაკავშირებით საინტერესო მასალებია დაცული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში. საჩვენებლად გამოდგება შიდაუწყებრივი ბრძანება „ჩეკას“ საკადრო წმენდის შესახებ:

^{2,3,4} კირილ ალექსანდროვი „რატომ მოაწყვეს საბჭოთა ჩეკისტებმა წითელი ტერორი და ჩაახჩეს ქვეყანა სისხლში“ lenta.ru, 20.12.2017 წ.;

იმ პირთა სია, რომელთაც ჩამოერთვათ „ჩეკაში“ მუშაობის უფლება

6

ამ ბრძანებით ცხადდება იმ პირთა სია, რომელთაც სამუდამოდ ეკრძალებათ „ჩეკაში“, განსაკუთრებულ განყოფილებებში და მსგავს დანაყოფებში მუშაობა.

პენზის გუბჩეკა: **ილინი მიხეილ ეფიმეს-ძე** ლოთობისა და ხულიგნობისათვის (5 წლით ბანაკში თვისუფლების აღკვეთით); **ვორობიოვი ივანე თეოდორეს-ძე** - ქურდობა, ხულიგნობისა და მოქალაქეებთან უხეში მოპყრობისათვის (პატიმრობით სამი წელი); **აბდუევი ალექსი სტეფანეს-ძე** ლოთობისა და როგორც „ჩეკას“ მზვერავისკონსპირაციის დარღვევისათვის; **მიხაილოვი კირილე მარტინის-ძე** ანგარებითი მიზნით, სასწრაფო ტელეფონოგრამის გადაცემაზე უარის თქმისათვის და ნოვონიკოლაევსკის „ჩეკას“ განყოფილების ხელმძღვანელი პირების ბრძანებების შეუსრულებლობისათვის. **გოხი-** როგორც სამსახურისათვის შეუსაბამო პირი, **დობროხოტოვი ვლადიმირი** - კოლჩაკთან „ბეჭვდით ბიუროში“ აგიტატორად სამსახურისათვის. **მირინოვ ალექსანდრე** - როგორც სამსახურისათვის შეუსაბამო და რუსეთის კომპარტიის არაგულშემატკივარი; **ბუტუზოვი ალექსანდრე** - ქურდობისათვის.

ВЧК-ს თავჯდომარის მოადგილე

ქსენოფონტოვი (Ксенофонов)⁵

ასეთი პირების გარდა, რა თქმა უნდა, იყვნენ ისეთი ჩეკისტებიც, რომლებმაც **მერჟინსკის** დროს კარიერა დაიწყეს იმ დროისათვის კარგი საბაზო განათლებით, მაგალითად: **არტურ არტუზოვი, ლავრენტი ბერია, ვსევოლოდ მერკულოვი**, მაგრამ მთლიანობაში სურათი არასახარბიელო იყო. **მერჟინსკის** სიკვდილის შემდეგაც კი, 1920-იანი წლების ბოლოს, საგანგებო კომისიის მემკვიდრე ორგანოში - გაერთიანებულ სახელწიფო პოლიტიკურ სამმართველოში (ОГПУ) საშუალო და უმაღლესი განათლების მქონე პირთა რაოდენობა არ აღემატებოდა ერთ პროცენტს!



გაუნათლებლობასა და არაკეთილსინდისიერებასთან ერთად იყო შემთხვევები, როცა „ჩეკაში“ მუშაობდნენ სადისტური მოდრეკილებების მქონე პირებიც. მაგალითად გამოდგება სტეფან აფანასის ძე საენკოს შემთხვევა. საენკო 1918 წ. რუსეთში მიმდინარე სამოქალაქო ომის დროს შევიდა „ჩეკაში“ და ასრულებდა ხარკოვის საპყრობილის კომენდანტის მოვალეობას.

⁵ შსს-ს არქივი, "сборник приказов и распоряжений - Всероссийской Чрезвычайной Комиссии" ნაწ. II, გვ. 69, 1920 წ.

1919 წ. ხარკოვიში თეთრგვარდიელ მოხალისეთა არმიის შესვლისა და ქალაქიდან წითელი არმიის დანაყოფების განდევნის შემდეგ, ქალაქის საქალაქო დუმამ შექმნა სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა ხარკოვიში მოქმედი „საგანგებო კომისიის“ საქმიანობის მოკვლევა და ქალაქის საპატიმრო ადგილების დათვალიერება.

აღნიშნული კომისიის წევრმა, ქალაქის დუმის ნდობით აღჭურვილმა პირმა **ვალენტინ ლეხნომ (Валентин Лехно)** მოგვიანებით დაწერა მემუარები, რომელშიც იხსენებდა, რომ: „ჩვენ (კომისიის წევრებმა) გამოვიძახეთ მოქ. **პრეობრაჟენსკი**, რომელიც დაეპატიმრებინათ როგორც „კონტრა“ (იგულისხმება კონტრრევოლუციონერი). ოთახში შემოდის ახალგაზრდა კაცი, სანახევროდ სამხედრო ფორმაში გამოწყობილი, სრულიად გაჭაღარავებული. გაირკვა, რომ გუშინ ღამით უკანდახევამდე, ბოლშევიკებმა მასობრივად დახვრიტეს მძევლები და კონტრრევოლუციონერები. დაახლოებით ღამის 2 საათზე ციხეში მივიდა მთელი ხარკოვისათვის ცნობილი საგანგებო კომისარი, „ჩეკას“ ჯალათი **სტეფან საენკო**. მან დაიარა კამერები, ის საგანგებო სიის მიხედვით იძახებდა პატიმრებს, რომლებსაც 10-15 წუთის შემდეგ პირდაპირ ციხის ეზოში ხვრეტდნენ. საენკო, როგორც ყოველთვის, უგონოდ მთვრალი იყო. პატიმარ პრეობრაჟენსკის კამერაში შესვლის შემდეგ, საენკომ ამოიკითხა ორი პატიმარის გვარი, სიაში მესამე კი პრეობრაჟენსკი ამოიკითხა. საკნში გამეფებულ სამარისებურ სიჩუმეში ამ უკანასკნელმა უპასუხა: “ეგ ხომ თქვენ გუშინ დახვრიტეთ?!” „აჰა“... ამოიღმუვლა საენკომ და დილეგიდან გავიდა... საკანმა პრეობრაჟენსკი არ გასცა! მაგრამ იმ ღამის განმავლობაში ის სრულიად გაჭაღარავდა.“⁶

ციხის შენობაში, სარდაფთან ახლოს მდებარე ოთახის ფანჯრის რაფაზე, იმ ოთახისა, სადაც ადამიანებს ხვრეტდნენ, ლეხნომ და კომისიის სხვა წევრებმა იპოვეს: „ერთი მთლიანი და ორი დაგლეჯილი ადამიანის ტყავისგან გაკეთებული ხელთათმანი, რომელიც გაეძროთ ცოცხალი ადამიანებისაგან!“⁷

ის საშინელებები, რაც ხარკოვის „ჩეკაში“ ხდებოდა, მძიმე აღსაწერია. სამწუხაროდ, იქ არსებული ვითრება არ იყო გამონაკლისი. იმ წლებში, პოლიტიკური ოპონენტების მიმართ არაადამიანური მოპყრობა საბჭოთა რუსეთის სხვა მხარეებშიც ჩვეულებრივი მოვლენა იყო. საბჭოთა კავშირმა ს.საენკო არაერთხელ დააჯილდოვა. მას ჩადენილი დანაშაულებებისთვის არ უგია პასუხი და მოხუცებული, ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა.

საკუთარი მოქალაქეების მიმართ ტერორისტული მიდგომების თვალსაჩინოებისათვის კიდევ ერთი დოკუმენტი გამოდგება, რომელიც განკუთვნილია ფ. ძერჟინსკისათვის, რუსეთში მიმდინარე სამოქალაქო ომის დროს და დაცულია საქართველოს შსს-ს არქივში.

^{6,7} კირილ ალექსანდროვი, „რატომ მოაწყვეს საბჭოთა ჩეკისტებმა წითელი ტერორი და ჩაახჩეს ქვეყანა სისხლში“ lenta.ru, 2017 წ. 20 დეკემბერი;

ეს ცნობა თავის დროზე გრიფირებული იყო, როგორც „სრულიად საიდუმლო“. სამწუხაროდ, დოკუმენტის უმეტესი ნაწილი დაშიფრულია და დღეისათვის შესაბამისი გასაღები შიფრის არარსებობის გამო, მისი დიდ ნაწილის წაკითხვა შეუძლებელია:

სრულიად საიდუმლო

მხოლოდ თავჯდომარეს

მძევლების შესახებ

... მნიშვნელოვანი ხიფათის წუთებში საბჭოთა რესპუბლიკა გამოცხადდა ალყაშემორტყმულ ბანაკად. ყოველ მხრიდან ჩვენ მოგვაწვა საერთაშორისო კონტრრევოლუციური ბურჟუაზია. ნაწილ-ნაწილ გლიჯავდნენ ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს საერთაშორისო ჯალათების ხელით, რომლებიც ბოღმით შეშლილნი შეუდგნენ დაბნეული კომუნისტების, საბჭოთა მუშებისა და ზოგადად მუშათა განადგურებას. იმისათვის, რომ გადაგვერჩინა ამხანაგების სიცოცხლეები, ჩვენ იძულებულნი გავხდით აგვეყვანა მძევლები ბურჟუაზიული წრიდან და გამოგვეცხადებინა სახალხოდ, რომ ერთ მოკლული ამხანაგის სანაცვლოდ, ათი ბურჟუა მძევალს დაცვივა თავები. აღნიშნული მძევლები ზოგჯერ ჩვენ აგვეყვავდა იმ ბურჟუაზიული წრიდან, რომლებიც ჩვენს წინააღმდეგ პირადად არ იჩენდნენ აქტიურ ქმედებებს, მაგრამ ისინი ჩვენი მოწინააღმდეგეებისათვის ძვირფასნი იყვნენ. ახლა მგომარება ძალიან შეიცვალა. მუშებმა და გლეხებმა შეძლეს გაერღვიათ ჩვენს გარშემო შემოჭერილი ფოლადის რკალი. ახლა ჩვენ უკვე დავაკავეთ და საშუალება გვაქვს კიდევ ავიყვანოთ ბევრი კონტრ-რევოლუციონერი ელემენტი, როგორც რუსული, აგრეთვე საზღვარგარეთული კონტრრევოლუციიდან.

(საიდუმლო პატაკის ტექსტის შემდეგი ნაწილი დაშიფრულია...)

БЧК-ს თავჯდომარის

მოადგილე

ქსენოფონტოვი

14 ივლისი 1920 წ.⁸

აღნიშნული პატაკიდანაც ნათლად ჩანს, რომ საბჭოთა ხელისუფლება ქვეყანაში მოქმედებდა ტერორისტული მეთოდებით და ძალუფლების შენარჩუნების გზაზე, საკუთარი მოქალაქეების მიმართ არ ერიდებოდა ნორმალური სახელმწიფოსათვის არადამახასიათებელი მეთოდების გამოყენებას. საუბარია ისეთ მეთოდებზე, როგორებიცაა საკუთარი მოსახლეობის მძევლად აყვანა, შანტაჟი და მასობრივი მკვლევლობები.

საგანგებო კომისიის დანაყოფები, 1922 წლიდან გარდაიქმნა „საბჭოთა კავშირის შინსახკომთან (НКВД) არსებულ, მთავარ პოლიტიკურ სამმართველოდ“

(ГПУ), ხოლო 1923 წლიდან - „გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოდ“ (ОГПУ).

უკვე საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, 1923 წ. აპრილში გამართულ რკპ(ბ)-ს XII ყრილობის რეზოლუციის თანახმად, საბჭოთა კავშირში ჩამოყალიბდა „მუშათა კლასის დიქტატურა“, რომელიც სხვანაირად ვერ იარსებებდა, „თუ არა მისი ავანგარდის დიქტატურით, ანუ კომუნისტური პარტიის დიქტატურის არსებობის ფორმით.“ თავის მხრივ, კომუნისტური პარტიის შიგნით გამეფებული იყო ცენტრალური კომიტეტისა და პოლიტბიუროს დიქტატურა, რომლის რეპრესიულ ინსტრუმენტს წარმოადგენდა ახალსახელშეცვლილი „გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო“ (ОГПУ). 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალებიდან 5 წლის თავზე, საბჭოთა სახელისუფებო სისტემის სტრუქტურაში, სპეცსამსახურებმა უმნიშვნელოვანესი ადგილი დაიკავეს.

დაარსებიდან „ჩეკა“-მ მრავალი, ხშირად გრძელი აბრევიატურული სახელწოდება გამოიკვალა, თუმცა შინაარსობრივად და ფუნქციურად დარჩა საბჭოთა წყობილებისა და ბოლშევიკთა პარტიის ერთგულ დანაყოფად - იმ პარტიის ინსტრუმენტად, რომელმაც შექმნა და თავისი მიზნების განხორციელების ერთ-ერთ მთავარ იარაღად აქცია.

სამართლიანობისათვის საჭიროა აღინიშნოს, რომ საქართველო 1918-21 წლებში ასცდა იმ საშინელებებს, რაც სამოქალაქო ომში გახვეულ რუსეთში მძვინვარებდა. სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის (ВЧК) საქართველოს ქვედანაყოფი, საქართველოს გასაბჭოებისთანავე, 1921 წლის თებერვალში ჩამოყალიბდა და მას შემდეგ თავისი ქმედებებით მძიმე კვალი დატოვა მთლიანად საქართველოს მე-20 საუკუნის ისტორიაში.

ВЧК-ს დაარსებიდან 100 წლის საზეიმო ღონისძიებებით აღნიშვნა და იმის ამაყად გაცხადება, რომ დღევანდელი რუსული სპეცსამსახურები არაინ პირველი „ჩეკისტების“ მემკვიდრეობის „ღირსეული“ გამგრძელებლები, დამაფიქრებელი და შემამოფოთებელი ფაქტია და ხაზს უსვავს იმ რთულ რეალობასა და საფრთხეებს, რომლის წინაშეც საუკუნის შემდეგაც ისევ დგას საქართველო.

⁸ წყარო: შსს-ს არქივი, "сборник приказов и распоряжений - Всероссийской Чрезвычайной Комиссии" ნაწ. II, გვ. 30, 1920 წ.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

1. კირილ ალექსანდროვი „რატომ მოაწყვეს საბჭოთა ჩეკისტებმა წითელი ტერორი და ჩახჩეს ქვეყანა სისხლში“ lenta.ru, 20.12.2017 წ.;
(<https://lenta.ru/articles/2017/12/20/v4k/>)
2. შსს-ს არქივი, "сборник приказов и распоряжений - Всероссийской Чрезвычайной Комиссии" ნაწ. II, გვ. 30, 69, 1920 წ.

რისთვის შეიქმნა და რას წარმოადგენდა „ჩეკა“

პაატა ლელაშვილი

რეზიუმე

2017 წლის დასასრულს, საუკუნე გავიდა **ВЧК**-ს „სრულიად რუსეთის კონტრრევოლუციასთან და საბოტაჟთან ბრძოლის საგანგებო კომისიის“ დაარსებიდან. ლენინის მთავრობამ ძალაუფლების გამყარებისათვის ფ.დერჟინსკის ხელმძღვანელობით შექმნა ზემოაღნიშნული ორგანიზაცია. „საგანგებო კომისია“ შექმნისთანავე აქტიურად იყენებდა საკუთარი მოსახლეობის მიმეკლად აყვანის, შანტაჟისა და მასობრივი მკვლელობები მეთოდებს. საქართველოს ისტორიაში, საბჭოთა სპეცსამსახურმა დაიდო ლომის წილი ქვეყნის გასაბჭოებასა და საბჭოთა სისტემის შენარჩუნების საქმეში.

Why it was created and what was the purpose of Cheka

Paata lelashvili

By the end of 2017, one century has passed since the foundation of Cheka - "Russia's Special Commission for Combating Counterrevolution and Sabotage". The government of Vladimir Lenin created this organization with the leadership of F. Derzinski for the strengthening of power. Since the establishment the "Emergency Commission" was actively using the methods of hostage taking, blackmail and mass killings of their own people. In the history of Georgia, the Soviet Special Forces played a decisive role in the Sovietization of Georgia and the maintenance of the Soviet system.

Pourquoi cela a été créé et quel était le but de Cheka

Paata lelashvili

À la fin de l'année 2017, un siècle s'est écoulé depuis la fondation de la Tcheka - «Commission spéciale de la Russie pour la lutte contre la contre-révolution et le sabotage». Le gouvernement de Vladimir Lénine a créé cette organisation avec la direction de F. Derzinski pour le renforcement du pouvoir. Depuis la création de la «Commission d'urgence», les méthodes de prise d'otages, de chantage et d'assassinats de masse de leur propre peuple ont été activement utilisées. Dans l'histoire de la Géorgie, les forces spéciales soviétiques ont joué un rôle décisif dans la soviétisation de la Géorgie et le maintien du système soviétique.

ავტორთა საყურადღებოდ:

ავტორთა თვალსაზრისი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციისას.
რედაქცია პასუხს არ აგებს წარმოდგენილი მასალების სიზუსტეზე.
იბეჭდება ავტორთა მიერ წარმოდგენილი სახით.

Notice to the authors:

The authors and the redaction may have different points of view.

რეგისტრირებულია თბილისის გლდანი-ნაძალადევის
რაიონულ სასამართლოში
რეგისტრაციის ნომერი – 1/9-68

Registred at Gldani-Nadzaladevi Regional Court of Tbilisi
Number of registration - 1/9-68

EAN 9771987830003

ტირაჟი 100